



იურიისტიკის ბიბლიოთეკა

ბესიკ კაიშაური

# ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე

პრაქტიკული სახელმძღვანელო

თბილისი  
2011



იურისტის ბიბლიოთეკა

ბენიკ კანიშაური

ადვოკატი  
სამოქალაქო  
საქმეზე

პრაქტიკული სახელმძღვანელო

თბილისი  
2011

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს სტაჟორი ადვოკატებისთვის; უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის; იურიდიული კლინიკებისთვის და სამოქალაქო სამართალწარმოებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომში წარმოდგენილი სალექციო და სემინარული კურსი იურიდიული კლინიკის სახით ისწავლება სუხიშვილის უნივერსიტეტში მისი რექტორის, პროფესორ ვალერი სუხიშვილის აქტიური მხარდაჭერითა და ხელშეწყობით.

რედაქტორი: როინ მიგრიაული,  
ადვოკატი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;

რეცენზენტი: გოგი გიორგაძე,  
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი;

ავტორი მადლობას უხდის საადვოკატო ბიუროს: „მიგრიაული და პარტნიორები“ - წიგნში წარმოდგენილი ნიმუშების მოწოდებისა და აქტიური თანამშრომლობისთვის.



გამომცემელი: იურიდიული ფორმა  
“ბონა კაუსა”

*ბესიკ კაიშაური -*

*ადვოკატი; სუხიშვილის უნივერსიტეტის ლექტორი;  
დაიბადა 1963 წლის 16 ივნისს;*

*1991 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტი;*

*1992-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკო-  
ნომიკის სამინისტროში იურისტად;*

*1996 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას;*

*1998 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო  
გამოცდები და მუშაობდა ყაზბეგის რაიონული სასა-  
მართლოს თავმჯდომარედ;*

*არის სამი წიგნის ავტორი;*

*ჰყავს ცოლ-შვილი;*

*მისი რეკვიზიტებია: [besik.kaishauri@mail.ru](mailto:besik.kaishauri@mail.ru)*

*ტელ.: 899 31 04 0700*

სამოქალაქო საქმეზე ადვოკატ-წარმომადგენლის პროცესუალური უფლებამოსილება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლში, სადაც ჩამოთვლილია პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში.

აღნიშნული ნორმის მიხედვით – ადვოკატების გარდა სასამართლოში მხარეებს წარმოადგენენ: ორგანიზაციის თანამშრომლები, ამ ორგანიზაციის საქმეებზე; ერთერთი თანამონაწილე, დანარჩენი თანამონაწილეების დავალებით და სხვა ქმედუნარიანი პირები.

როგორც ვხედავთ, ადვოკატის წარმომადგენლობა ფაქულტეტურია და არა სავალდებულო, ვინაიდან მხარეს თვითონაც შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები, ხოლო მის წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი.

მაშასადამე, არა თუ იურიდიული, არამედ არანაირი განათლება არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ პირმა წარმოადგინოს და დაიცვას მხარის ინტერესები სასამართლოში.

ბუნებრივია, ეს გარკვეული ხარვეზი იყო კანონმდებლობაში, რომელიც ნაწილობრივ გამოსწორდა, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა 440-ე მუხლით შეზღუდა წარმომადგენლის საქმიანობა სამოქალაქო პროცესში და მთლიანად ადვოკატებს მისცა წარმომადგენლობის უფლება საპელაციო და საკასაციო წასით საქმის წარმოების ეტაპებზე.

თუმცა, სსსკ 97-ე მუხლის თანახმად პირველ ინსტანციაშიც დასაშვებია სასამართლომ უარი უთხრას პირს წარმომადგენლობაზე, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისთვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები.

ეს ნორმა შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც არ არიან ადვოკატები, რადგან იგულისხმება, რომ ადვოკატებს გააჩნიათ საკმარისი მონაცემები, რომ აწარმოონ საქმე სასამართლოში და დაიცვან მხარის უფლებები.

კიდევ ერთი რამ გვინდა ავღნიშნოთ შესავალ ნაწილში: სასამართლო ადვოკატისგან არ ითხოვს გამოცდილებასა და მხარის უფლებების წარმატებულად დაცვის უნარს. როგორც ვთქვით, ადვოკატთა ტესტირების გავლა კანონს და შესაბამისად, მოსამართლესაც საკმარისად მიაჩნია წარმომად-

გენლის კვალიფიციურობის დასადგენად, მაგრამ სინამდვილეში დაცვის ეფექტურობას განსაზღვრავს დიდი გამოცდილება და სათანადო უნარ-ჩვევები, რომელიც ვერ ექნება დამწყებ ადვოკატს.

სწორედ ამ ბუნებრივი ხარვეზის შევსებას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავს, უამრავი მაგალითების, კაზუსების, სასამართლო და კერძო საადვოკატო პრაქტიკის განხილვა-განზოგადებით სტუდენტებსა და სტაჟიორ ადვოკატებს გამოუმუშავოს დაცვის უნარ-ჩვევები, რომლებიც სამოქალაქო საქმის წარმოებისას გამოადგებათ.

არის ასეთი გამოთქმა:

„ადვოკატი კონიაკსა ჰგავს, რაც უფრო ძველია, მით უფრო ფასობს“

ეს გამოთქმა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საადვოკატო საქმიანობაში გამოცდილების უპირატესობას, ხოლო ვინაიდან გამოცდილება საქმეში გაწაფულობას და სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებას გულისხმობს, ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს ისეთი უნარ-ჩვევების შექენაში, როგორიცაა:

1. კლიენტებთან ურთიერთობისა და კონსულტაციების წარმატებულად წარმოება;

2. დაცვის სწორი პოზიციის გამომუშავება;

3. პროცესუალური დოკუმენტების სწორად შედგენა;

4. მტკიცებულებების მოძიება;

5. სასამართლოში საქმის წარმოება და ა.შ.

# ნაწილი პირველი

## თავი პირველი

### მოქალაქეთა მიღება და კონსულტაციები

#### §1. კონსულტაციის არსი

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2-ე მუხლის თანახმად – საადვოკატო საქმიანობის ერთ ერთ უპირველეს და ყველაზე მოცულობით ფუნქციას წარმოადგენს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა კლიენტისთვის, ანუ იმ პირისთვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა.

იურიდიული რჩევის მიცემა იგივე კონსულტირებაა, ვინაიდან ლათინური წარმოშობის სიტყვა „კონსულტაცია“ სწორედ რომ გულისხმობს სპეციალისტის რჩევას გარკვეულ საკითხებზე.

იურიდიული რჩევები და კონსულტაციები ემსახურება სრულყოფილი პასუხების გაცემას არა იურიდიული განათლების მქონე პირთა იმ კითხვებზე, რომლებიც შეიცავს სამართლებრივ მიზეზ-შედეგებს ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციისა, რასაც წააწყდა მოქალაქე და გამოსავალს ეძებს ადვოკატის მეშვეობით.

ადვოკატის კონსულტაციები შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლებრივი სახის.

მაშასადამე, მოქალაქის მიღებისას ჯერ ის უნდა გაირკვეს მისი პრობლემა განეკუთვნება თუ არა სამართლებრივ სფეროს. (თუმცა, საადვოკატო მომსახურება შეიძლება გასცდეს სამართლებრივი მომსახურების სფეროს. მაგალითად: განქორწინების საქმის წარმოებისას, შესაძლებელია და სავალდებულოცაა, ადვოკატმა სარჩელის დაწერამდე იზრუნოს მხარეთა შერიგებაზე და აწარმოოს მოლაპარაკებები, რომელიც ხშირ შემთხვევაში არასამართლებრივი ხასიათისაა.)

ამის შემდეგ ადვოკატმა უნდა გაარკვიოს სწორი კონსულტაციისადმი თავისი კომპეტენციის საკითხი.

მაგალითად, თუ ადვოკატი მუშაობს მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში, ხოლო მოქალაქემ მიმართა ადმინისტრაციულ დავაზე, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს მომსახურებაზე და ზოგადი კონსულტაციის შემდეგ მოქალაქე გააგზავნოს უფრო კომპეტენტურ კოლეგასთან.

## §2. სიტუაციის ანალიზი და შეფასება

იურიდიული კონსულტაციის დროს ადვოკატი ახდენს სიტუაციის სამართლებრივ ახსნას, ანალიზს, კვალიფიცირებას და თუ აღმოაჩენს, რომ კონკრეტული სიტუაცია და ურთიერთობა არ რეგულირდება ნორმატიული აქტებით, მოქალაქეს უნდა მისცეს რჩევა, რომ პრობლემა მოაწესრიგოს არა სასამართლოს მეშვეობით, არამედ მოლაპარაკებით და სხვა ხერხებით.

მაგალითად: თუ მოქალაქე განქორწინებასა და ქონებრივ წილს ითხოვს მეუღლისგან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოდავე მხარესთან, ნორმატიული აქტებით შეუძლებელი ხდება კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება სასამართლოს გზით, ვინაიდან ქონებრივი დავის განხილვა მეუღლეთა შორის მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინების შემთხვევაში ხდება.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ადვოკატი უარს ეტყვის კლიენტს სასამართლოში წარმომადგენლობაზე და შეიძლება შესთავაზოს დავის მოგვარების ალტერნატიული გზა, მაგალითად: მორიგება – მოლაპარაკება და სხვა.

ადვოკატს ასევე უნდა ახსოვდეს, რომ ყოველთვის კეთილსინდისიერი მოქალაქეები არ მოაკითხავენ მას და ჰმართებს სიფრთხილე, რომ არ გახდეს მავანთა ავანტიურის მსხვერპლი, ვინაიდან ყოფილა შემთხვევები, როცა მოქალაქეები ადვოკატთან კონსულტაციას გადიან მხოლოდ იმ მიზნით, რომ „კონიურულად“ გვერდი აუქციონ კანონს და ასე მიადწიონ სასურველს შედეგს.

რა თქმა უნდა ასეთი მარწმუნებლის ინტერესების დაცვა და მისი მოთხოვნების აღსრულება სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენებს ადვოკატის პრესტიჟსაც და თავისუფლებასაც.

იმისათვის, რომ სწორი შეფასება მიეცეს სიტუაციას და შესაბამისად, სწორი იყოს ადვოკატის რჩევა-კონსულტაცია, - მოქალაქემ შეძლებისდაგვარად დაწვრილებით უნდა გადმოსცეს ყველა ფაქტები და გარემოებები რაც საქმეს ეხება.

უმჯობესია, თუ მოქალაქე კონსულტაციაზე მოვა სათანადო დოკუმენტებით, რომლებიც ასახავენ და ადასტურებენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

მაგალითად: პირი ითხოვს წილს მამის სამკვიდროდან (უძრავი ქონებიდან), მაგრამ მოიტანა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის თანახმადაც აღნიშნული უძრავი ქონება მამის გარდაცვალე-

ბამდე გაჩუქებული ყოფილა სხვა პირზე ანუ, სამკვიდრო მასის არ არსებობის გამო წილის მოთხოვნას აზრი დაეკარგა.

მაშასადამე, არის შემთხვევები, როცა კლიენტი ერთს ლაპარაკობს და ამტკიცებს, ხოლო დოკუმენტები საწინააღმდეგოზე მეტყველებენ. მიტომაცაა საჭირო, რომ ადვოკატი არ ენდოს კლიენტის ზეპირ ინფორმაციას და მოითხოვოს სათანადო დოკუმენტები.

### §3. ინტერესთა შეუთავსებლობა.

სრულყოფილი კონსულტაციის წარმოებამდე ადვოკატმა უნდა გაარკვიოს ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხიც.

მაგალითად, თუ კლიენტთან ინტერვიუების დროს აღმოჩნდა, რომ მის მოწინააღმდეგე მხარეს იცავს ან იცავდა ადრე, უნდა შეწყვიტოს მასთან საადვოკატო მომსახურება, ხოლო მიღებული ინფორმაცია არ უნდა გაამჟღავნოს.

ასევე დაუშვებელია ადვოკატმა თავისი პროფესიული ფუნქციები შეასრულოს იმ საქმეზე, რომელზეც მან უკვე განახორციელა საქმიანობა იმ სტატუსით, რაც ჩამოთვლილია ადვოკატთა შესახებ კანონის მე-8-ე მუხლში.

საბოლოო ჯამში, ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს.

### §4. ფსიქოლოგიური მდგომარეობა

კონსულტაციების დროს გასათვალისწინებელია მოქალაქის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც.

უმეტეს შემთხვევებში ადვოკატთან მოსული მოქალაქეები სერიოზული პრობლემებითა და უარყოფითი პრობლემებით არიან დატვირთულნი. მათ ნერვიულობისა და დაბნეულობის გამო დაკარგული აქვთ ლოგიკური აზროვნების უნარი, რის გამოც ხშირად აზვიადებენ ფაქტებს; ვერ აფასებენ არსებით გარემოებებს და ა.შ.

ასეთ შემთხვევაში ადვოკატმა უნდა დააწყნაროს მოქალაქე და განაწყოს კონსტრუქციული დიალოგისთვის.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კონსულტაციაზე მოსულმა მოქალაქემ შეიძლება განზრახ დაგვიმალოს რეალობა, ან გაგვიმხილოს ფაქტებისა და გარემოებების მხოლოდ ის ნაწილი, რაც მისთვისაა ხელსაყრელი.

მიტომაც, ადვოკატი არ უნდა დაეყრდნოს სიტუაციის კლიენტისეულ შეფასებებს და თვითონ უნდა შეისწავლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, ამისთვის გარდა დოკუმენტების გაცნობისა, ურიგო არ იქნება, თუ ადვოკატი კლიენტს ერთი და იგივე კითხვას რამდენჯერმე დაუსვამს სხვადასხვა კონტექსტში.

მაგალითად: მოქალაქე აღნიშნავს, რომ მისი ძმა უკანონოდ ჩაწერეს კომლის უკანასკნელ წევრად, რითაც ამ უკანასკნელმა მიიღო დედისეული სამკვიდრო, ხოლო თვითონ დარჩა წილის გარეშე.

დამატებითი შეკითხვებით ადვოკატი არკვევს, რომ დედის გარდაცვალებიდან გასულია თორმეტი წელი, ქალბატონს თავის დროზე არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის სამკვიდროს მისაღებად; არც ფაქტობრივად არ ფლობს გარდაცვლილის ქონებას და დაკარგული აქვს სამკვიდროს მიღების უფლება.

მაშასადამე, ამ ქალბატონის ინტერესი არის მხოლოდ და მხოლოდ შურისძიება ძმის მიმართ, რომ მასაც დააკარგეინოს სამკვიდრო და უპატრონოდ დარჩენილი დედისეული ქონება გადაეცეს სახელმწიფოს.

ასეთი გარემოებების გარკვევის შემდეგ ადვოკატმა წესით, უარი უნდა უთხრას მოქალაქეს საადვოკატო მომსახურებაზე.

## §5. ნდობის ამადლება

იმ შემთხვევაში, როცა ადვოკატი ატყობს, რომ კლიენტი უმაღლეს რაღაც ფაქტებს, ან განზრახ ამახინჯებს მათ, საჭიროა იზრუნოს ნდობის ამადლებაზე. მან უნდა აუხსნას მოქალაქეს პროფესიული საიდუმლოს შესახებ, რომ კანონით აკრძალული აქვს, კლიენტის თანხმობის გარეშე გასცეს და გააერცფლოს მისგან მიღებული ინფორმაცია და რომ ვერც ერთი ორგანო, სასამართლოს ჩათვლით, ვერ აიძულებს იმ დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოძალვას, რაც ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობის დროს მიიღო კლიენტისგან.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კლიენტის ნდობას ადვოკატისადმი ამადლებს დამცველის ეკლესიურიობაც.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ათეისტმა ადვოკატმა თვალმაქცურად და ფარისევლურად იმოქმედოს და კლიენტთა მისატყუებლად მოაწყოს ოფისი ხატებით, თუმცა

სასურველია, მართლმადიდებელი ადვოკატის ოთახი იყოს ნაკურთხი და ჰქონდეს ხატების კუთხე, სადაც ადვოკატი მუშაობის. ჟამს სანთელ-საკმეველთან ერთად სათანადო ღოცვებსაც მიაგებს უფალს.

## §6. კონსულტირების ზოგადი გეგმა.

საერთო ჯამში, კონსულტირების ზოგადი გეგმა ასეთია:

1. უნდა მოხდეს სიტუაციის სამართლებრივი შეფასება.

ამ დროს ადვოკატი მოქალაქეს აუხსნის, - სინამდვილეში ადგილი ჰქონდა თუ არა სამართალდარღვევას და თუ ჰქონდა, რა სახის სამართალდარღვევაა სახეზე;

2. ადვოკატი გააცნობს კლიენტს იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებითაც აღნიშნული პრობლემა რეგულირდება;

3. უნდა მოხდეს საქმის პერსპექტივის ახსნა. რა დროსაც ადვოკატი გამოხატავს თავის შეხედულებებს იმის თაობაზე, ღირს თუ არა ამ საქმის დაწყება და გაგრძელება.

აქვე ადვოკატმა კლიენტს უნდა აცნობოს საქმის მოსალოდნელ შედეგებზეც;

4. ადვოკატმა უნდა მისცეს რეკომენდაციები მოქალაქეს და აუხსნას მას პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტების არსებობის შესახებ;

5. ადვოკატმა კლიენტს არ უნდა დაუშალოს ის სირთულეები, რომლებიც შეიძლება წარმოეშვას თავისი უფლებების დაცვის პერიოდში. ამასთანავე, ადვოკატმა უნდა მიუთითოს იმ სუსტსა და ძლიერ მხარეებზე, რას კონკრეტლ საქმესა და დაცვის მიერ არჩეულ პოზიციას ახლავს.

## §7. მთავარი გარემოების გარკვევა.

არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატი სიტუაციის სამართლებრივ შეფასებას ახდენს მთავარი გარემოების გარკვევის გარეშე, რასაც შესაძლოა მოჰყვეს კლიენტის უფლებების უხეში დარღვევები.

ავიღოთ მაგალითი:

მოქალაქემ მიმართა ადვოკატს და სთხოვა დახმარება თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ბინიდან) კუთვნილი წილის ნატურის სახით გამოყოფაზე.

ადვოკატმა ჩახედა საჯარო რეესტრის ამონაწერს, დარწმუნდა, რომ მომმართველი მოქალაქე ნამდვილად იყო ბინის

თანამესაკუთრე მამამისთან ერთად. მის შემდეგ ადვოკატმა შეადგინა სარჩელი, სადაც მოპასუხე მხარედ მოიხსენია კლიენტის მამა და მიმართა სასამართლოს.

მოგვიანებით გაირკვა მთავარი გარემოება, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, (მამა-შვილს შორის) არანაირი დავა არ ყოფილა, ანუ ორივე მხარე თანახმა იყო თანასაკუთრებაში არსებული ქონება ნატურის სახით გაყოფილიყო და საჭირო იყო მხოლოდ, სათანადო ნახაზის შედგენა და ამ ცვლილების საჯარო რეესტრში დაფიქსირება.

როგორც ვხედავთ, არასრულყოფილი კონსულტაციისა და მთავარი გარემოების გაურკვევლობის შედეგად ადვოკატმა ზიანი მიაყენა კლიენტს: დააკარგვინა დროც და გააღებინა ზედმეტი ხარჯებიც.

## §8. მზადება კლიენტთან შეხვედრისთვის და განმეორებითი კონსულტაციისთვის.

კლიენტთან შეხვედრისთვის მზადება გულისხმობს ერთის მხრივ, სათანადო გარემო პირობების შექმნას და მეორეს მხრივ, სათანადო განწყობას კლიენტთან შეხვედრისთვის.

ნდობის ამადლებაზე საუბრისას ჩვენ უკვე შევხეთ ისეთ გარემო პირობებს, რომელიც მეტყველებს რა ადვოკატის ღვთის მოშიშებაზე, დადებით განწყობას უქმნის კლიენტს, რაც საფუძველია მის მხრიდან ნდობისა და კეთილგანწყობისა.

კლიენტთან შეხვედრა-კონსულტირება ყოველთვის არ ხდება ოფისში, მაგრამ სადაც არ უნდა მოხდეს, - უპირველესი, რაზეც ადვოკატმა უნდა იზრუნოს ამ დროს, - ეს არის სიმყუდროვის და ისეთი სულიერი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კლიენტის გახსნას დიალოგისთვის, ნდობას და ურთიერთმოსმენის ატმოსფეროს შექმნას.

რაც შეეხება სათანადო განწყობას კონსულტაციისთვის, იგი არ გულისხმობს მხოლოდ გარე ფაქტორებს, ვინაიდან შეიძლება მყუდრო გარემოშიც შეხვედეთ კლიენტს; შეიძლება სანთელ-საკმეველიც ამშვენებდეს შეხვედრის პროცედურას; შეიძლება ადვოკატიც მშვენივრად გამოიყურებოდეს გარეგნულად და სიტყვიერადაც სათნოებებს აფრქვევდეს, მაგრამ თუ ამას არ დაერთო მისი შინაგანი კეთილგანწყობილება კლიენტისადმი, (ზოგადად კი: სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი), - მაშინ ყველაფერი შეიძლება წყალში ჩაეყაროს ად-

ვოკატს, რადგან ვერ შედგება ის სასურველი საურთიერთობო ატმოსფერო, რომელიც საჭიროა საადვოკატო საქმიანობის, მათ შორის კონსულტირების წარმატებულად განხორციელებისთვის.

შესაძლებელია, ადვოკატმა პირველივე შეხვედრისთანავე ვერ მისცეს კლიენტს სათანადო რჩევა - კონსულტაცია, თუ ხელთ არ ექნება საჭირო დოკუმენტები.

ასეთ დროს ადვოკატი ურჩევს კლიენტს, რომ მოიძიოს, შეაგროვოს და წარმოადგინოს სათანადო საბუთები და მიუთითებს, კონკრეტულად რა და რა დოკუმენტებია საჭირო.

უცილებლობის შემთხვევაში თვითონ ადვოკატი აგზავნის მიმართევებს ამა თუ იმ უწყება - დაწესებულებებში და გამოითხოვს სათანადო მტკიცებულებებს, რის შემდგომაც იბარებს კლიენტს განმეორებითი და კვალიფიციური კონსულტაციისთვის.

განმეორებითი კონსულტაცია თვითონ ადვოკატისთვისაც საჭიროა, ვინაიდან ეს საშუალებას აძლევს უფრო სერიოზულად და სიღრმისეულად შეისწავლოს პრობლემა; მოიძიოს სათანადო სამართლებრივი მასალები; ამასთან, უნდა შეამოწმოს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მოქმედება და კანონშესაბამისობა; გაეცნოს სასამართლო პრაქტიკას არსებულ პრობლემაზე; მოიძიოს დამატებითი ინფორმაციები წიგნებიდან, კოლექციებისგან, სპეციალისტებისგან და ა. შ.

ადვოკატმა კლიენტისაგან სრული სიმართლე უნდა იცოდეს საქმის ირგვლივ

ეს საჭიროა იმისთვის, რომ თავისუფალი ორიენტაცია მოახდინოს სიტუაციაში ისე, რომ არ უღალატოს კლიენტს და არ გასცეს მისი საიდუმლო.

როცა ადვოკატმა იცის სრული სიმართლე, იგი აზრობრივად გამოყოფს აკრძალულ ზონებს, რომელსაც არ მიუახლოვდება არც თვითონ, არც - კლიენტი და მოწმე.

## §9. წერილობითი კონსულტაციები.

არის შემთხვევები, როცა ადვოკატი წერილობით გასცემს პასუხს მოქალაქეთა შეკითხვებზე.

რა თქმა უნდა, ასეთ ცნობას არანაირი დოკუმენტის ძალა არა აქვს, ვინაიდან მასში მხოლოდ ადვოკატის სუბიექტური მოსაზრებებია გადმოცემული, - კონკრეტული ურთიერთობის

(პრობლემის) სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ და აძლევს მიმართულებას მოქალაქეს, თუ როგორ უნდა დაიცვას მან თავისი უფლებები.

უმჯობესია, ადვოკატმა ურჩიოს მოქალაქეს, რომ იმავე სამართლებრივი ურთიერთობის ირგვლივ ცნობა მიიღოს კომპეტენტური ორგანოსგან ან თანამდებობის პირისგან, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ცნობა-ინფორმაცია იქნის მტკიცებულებით მნიშვნელობას სასამართლოში.

## §10. კონსულტირების მთავარი ფორმულა: ფაქტი; კანონი; შედეგი...

კლიენტისთვის საკონსულტაციო დახმარების დროს ადვოკატი მოიძიებს კანონს და ახდენ მის შეფარდებას ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით.

ამ დროს მეტად მნიშვნელოვანია ფაქტობრივი გარემოებების სწორად ასახვა და შეფასება, ხოლო ვინაიდან ფაქტები მხოლოდ კლიენტისთვის არის ცნობილი, დიდი მნიშვნელობა აქვს ნდობის შექმნა-შენარჩუნებითა და კონფიდენციალობის დაცვის სანაცვლოდ მივადწიოთ კლიენტის გახსნას და მისგან სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას. (იხილეთ ინტერვიუს მეთოდი).

ამასთანავე, კონსულტირებისას მთავარია, - იურისტი დაეხმაროს კლიენტს, რომ მან აირჩიოს ის გზა, ის გადაწყვეტილება და ის შედეგი, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია.

ამ არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს ადვოკატი სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრას, თუ სად მიმართოს; როდის მმართოს და როგორ იბრძოდოს კლიენტის ინტერესების დასაცავად ანუ, არსებული ფაქტებისა და კანონების ფარგლებში როგორ დააყენოს კლიენტისთვის სასურველი შედეგი.

## §11. ინტერვიუს მეთოდი.

ინტერვიუ არის საუბარი მოხრობელსა და მსმენელს შორის.

კონკრეტულ შემთხვევაში მოხრობელი კლიენტია, ხოლო ადვოკატი - მსმენელი.

კლიენტთან ინტერვიუს დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადვოკატის მხრიდან მოსმენის ხელოვნების ფლობა.

საქმის არსებითი ნაწილის ზუსტად გაგებისთვის; სწორი კონსულტაციისა და შემდგომში დაცვის სწორი პოზიციის გამომუშავებისთვის, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს რამოდენიმე რჩევა, რომელც დაკავშირებულია სწორ მოსმენასთან:

1. იყავი აქტიური მსმენელი. როდაღრო ჟესტიკულაციით ანიშნე კლიენტს, რომ მას უსმენ;

2. მოსაუბრის მონათხრობთან დაკავშირებით დროგამოშვებით გააკეთე მოკლე შენიშვნები („დიახ“ „მესმის თქვენი“ და ა.შ.). ამით მეტ ნდობას მოიპოვებ კლიენტისგან.

3. ინტერვიუების დროს მიიღე მაქსიმალური ინფორმაცია კლიენტის ტიპზე, რათა ადვილად გამონახო საერთო ენა მასთან და აქციო იგი თანამშრომლად.

4. იყავ დაკვირვებული და შეეცადე გაიგო, რას გრძნობს მოსაუბრე. მნიშვნელოვანია, ადვოკატს ესმოდეს არა მხოლოდ ის, რასაც ამბობს კლიენტი, არამედ უნდა ხვდებოდეს, - რაც ამ სიტყვების და არასიტყვიერი სიგნალების მიღმაა კოდირებული.

სხვადასხვა კატეგორიის კლიენტებთან სხვადასხვანაირი უნდა იყოს ადვოკატის წარდგენა და ურთიერთობა.

თუ კლიენტი ოპტიმისტია - ახასიათებს ასეთი პოზიცია: „მე ყველაფერი კარგად მაქვს და შენც ყველაფერი კარგად გაქვს“ ასეთ ადამიანებთან ადვოკატი უნდა გამოიყურებოდეს თავდაჯერებულად და წარმატებულად.

თუ კლიენტი თავის უპირატესობას უსვამს ხაზს (მე ყველაფერი კარგად მაქვს, შენ ყველაფერი - ცუდად). ასეთ ადამიანს ადვოკატი ცოტა მოწიწებულად უნდა მოექცეს და ერთის მხრივ აჩვენოს, რომ არც ისეა საქმე, როგორც ეს კლიენტი ფიქრობს; ხოლო მეორეს მხრივ, პატივი უნდა სცეს ამ კლიენტის „გამორჩეულობას“ და მოერიდოს მასთან თავისი აზრების დემონსტრირებას.

მესამე კატეგორიის კლიენტი ასე ფიქრობს: „მე ყველაფერი ცუდად მაქვს, შენ ყველაფერი - კარგად“

ასეთ შემთხვევაში ადვოკატმა უნდა თანაუგრძნოს კლიენტს და შემდეგში დადებითად განავითაროს მისი განწყობა, ანუ აჩვენოს, რომ მასაც არა აქვს ყველაფერი ისე ცუდად, როგორც ჰგონია.

პენსივისტი კლიენტის პოზიციაა: „მე ყველაფერი ცუდად მაქვს, შენც ყველაფერი ცუდად გაქვს“

ასეთ კლიენტთან ურთიერთობა რთულია, რადგან ადვოკატის წარმატებაც და ნებისმიერი დადებითი გარემოება აგრესიით განაწყობს, ამიტომ ადვოკატმა უნდა თანაუგრძნოს და ნელნელა გადაიყვანოს კონსტრუქციულ საუბარში.

## §12. სწორი პოზიცია.

კონსულტირების დროს სწორი პოზიციის შემუშავება გულისხმობს მოქალაქისგან მიღებული ზეპირი და წერილობითი ინფორმაციებით დადგენილი ფაქტებისა და გარემოებების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან და ალტერნატიული გზებიდან ისეთი პოზიციის შერჩევას, რომლითაც უფრო სწრაფად და ხარისხიანად იქნება დაცული კლიენტის კანონიერი ინტერესები.

ადვოკატი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, წინასწარ ახდენს მოვლენის განვითარების სხვადასხვა ვარიანტის მოდელირებას და შემდგომშიც სისტემატიურად აფასებს დაგეგმილთან შედარებით რეალური სიტუაციების გადახრების ხარისხს.

ხშირია შემთხვევები, როცა ადვოკატთან მისულმა მოქალაქეებმა არ იციან, რა სახის სამართლებრივი დახმარება სჭირდებათ.

მაგალითად: გამწარებული მოქალაქე მიდის ადვოკატთან და ითხოვს საჩივრის დაწერას პროკურატურაში, რათა კონკრეტული პირის მიმართ აღძრას სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის გამო.

ადვოკატი უსმენს მოქალაქეს, ეცნობა ფაქტებს, გარემოებებს და ადგენს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა არა დანაშაული, არამედ სამოქალაქო სამართლებრივი დავა – (მსესხებელმა გამსესხებელს სესხი არ დაუბრუნა დათქმულ დროში.)

ასეთ შემთხვევაში ადვოკატი გააცნობს მოქალაქეს მოქმედი ნორმების მოთხოვნებს; მიუთითებს დაცვის სწორ პოზიციაზე და თუ მოქალაქე მაინც თავის აზრზე დარჩება, შეუძლია შეწყვიტოს მასთან საადვოკატო მომსახურება.

## §13. მოთხოვნის კანონიერების განსაზღვრა.

როგორც ავღნიშნეთ, ადვოკატმა არ უნდა აიღოს საქმე, თუ არ არსებობს ეჭვგარეშე დოკუმენტები, რომლებიც კლიენტის მოთხოვნის კანონიერებაზე მეტყველებს.

მაგალითად: თუ მოქალაქე ითხოვს ხელისშეშლის აღკვეთას ისეთ ფაქტზე, რომელიც ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ეჭვობს, რომ - მომავალში დადგება, - ასეთი სასარჩელო მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან, თუ ვერ დამტკიცდა, რომ ხელისშეშლა რეალურად არსებობს, მოთხოვნაც ხელისშეშლის აღკვეთისა დარჩება კანონგარეშე მოთხოვნად.

მაშასადამე, ადვოკატის პროფესიული ამოცანაა მოთხოვნის კანონიერების განსაზღვრა, რა დროსაც სამართლებრივი ურთიერთობა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ მოქმედი (მათ შორის საერთაშორისო) ნორმებით, არამედ ანალოგიის რეალიზაციის შესაძლებლობითაც.

არის შემთხვევები, - როცა კლიენტის მოთხოვნის კანონიერება და საფუძელიანობა დასაწყისში ბუნდოვანია, მაგრამ შემდგომ გამხდარა აშკარა, როცა სასამართლო პროცესზე შესწავლილ იქნა ყველა მტკიცებულება.

ხდება პირიქითაც: თავიდან მოთხოვნა ჩანს კანონიერი და მომგებიანი, მაგრამ შემდგომ აღმოჩენილა უსაფუძვლო.

აქედან გამომდინარე: ადვოკატმა მხოლოდ მაშინ უნდა თქვას უარი საქმის წარმოებაში მიღებაზე, როცა წარმოდგენილი და პერსპექტივაში არსებული მასალებითაც ვერ დასტურდება კლიენტის უფლების დარღვევა, ან მისი მოთხოვნის კანონიერება და როცა მისი დაცვა შეუძლებელია მაგალითად: დავის ხანდაზმულობის გამო, ან ახალი გარემოებების და სათანადო მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში.

მოთხოვნის უკანონობის ან უპერსპექტივობის შემთხვევაში - არ არის საკმარისი საქმის აღებაზე უარის თქმა.

აღნიშნული გარემოების შემთხვევაში ადვოკატმა უნდა აუხსნას კლიენტს, თუ რატომ ეუბნება უარს საადვოკატო მომსახურებაზე, მაგრამ არც ეს არის საკმარისი, კერძოდ: ადვოკატმა უნდა დააჯეროს კლიენტი, რომ შეწყვიტოს დავა, ვინაიდან მისი გაგრძელება გამოიწვევს ამ მოქალაქის დაზარალებას როგორც მატერიალურად, ისე ფსიქოლოგიურად და მორალურად.

ასეთ არასასიამოვნო იურიდიულ კონსულტაციას მაინც აქვს თავისი სიკეთე, ვინაიდან ამ დროს ხდება მოქალაქის დროის, ფინანსების და ჯანმრთელობის დაზოგვა.

## §14. კონსულტაციის თვითშეფასება.

თითოეული კონსულტაციის შემდეგ ადვოკატმა უნდა მოახდინოს თვითშეფასება, ანუ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1. კარგად გაერკვა თუ არა კლიენტისგან მოწოდებულ ფაქტობრივ გარემოებებში და თუ გამოყო მთავარი მეორე ხარისხოვანისგან?

2. საჭირო იყო თუ არა დამატებითი ინფორმაციის მიღება - მოძიება?

3. სრულყოფილად გაიგო თუ არა კლიენტის მიზნები?

4. სწორედ განსაზღვრა თუ არა პრიორიტეტები?

5. ფლობდა თუ არა სამართლებრივ ბაზას კონკრეტული პრობლემის ირგვლივ?

6. გასაგებად აუხსნა თუ არა კლიენტს სამართლებრივი საკითხები?

7. დავის გადაწყვეტის ალტერნატივები თუ წარუდგინა კლიენტს?

8. მოსალოდნელ სამართლებრივ და სხვა შედეგებზე თუ ესაუბრა კლიენტს?

9. თუ იზრუნა კლიენტის აქტიურ ჩართვაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების ძებნის პროცესში?

10. თუ შეძლო კლიენტის ნდობის მოხვეჭა?

11. კლიენტისთვის გასაგებად და მისაღებად თუ საუბრობდა?

12. რა ხარვეზები დაფიქსირდა და როგორ უნდა აღმოიფხვრას იგი შემდგომში?

## თავი მეორე

### საქმის მასალების შესწავლა

#### §1. ზეპირი ინფორმაცია

საქმის მასალების შესწავლა ფაქტიურად ზეპირი ინფორმაციით იწყება, რომელსაც ადვოკატი იღებს მოქალაქისგან მასთან კონსულტაციის დროს.

ამ ინფორმაციას, მიხედვად მისი სუბიექტურობისა, მაინც აქვს მნიშვნელობა ადვოკატისთვის დაცვის პოზიციის ფორმირებისთვის, ვინაიდან იურიდიული დახმარების ყოველი მოქმედება ხორციელდება კლიენტის ინტერესების მიხედვით; შესაბამისად, ჯერ უნდა მოვუსმინოთ მოქალაქეს, გავიგოთ მისი ინტერესები და გავითვალისწინოთ კიდევ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კლიენტის ინტერესები და მოთხოვნები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

#### §2. დოკუმენტების შესწავლა

საქმის შესწავლის შემდეგი ეტაპია დოკუმენტების შესწავლა.

თუ კლიენტისგან მიღებული ზეპირი ინფორმაცია არ ეთანხმება დოკუმენტებით მიღებულ ინფორმაციას, უნდა გაირკვეს – რატომაა ეს წინააღმდეგობა. მიზეზები შეიძლება მრავალი იყოს: კლიენტის დაბნეულობა; იურიდიული გაუნათლებლობა; ფაქტების განზრახ დამალვის სურვილი; უნდობლობა და სხვა.

ყოველ შემთხვევაში არსებული წინააღმდეგობების გარკვევა და გათვალისწინება აუცილებელია დაცვის შემდგომი ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისთვის.

ზემოთ ხსენებული შეუსაბამობის დროს ადვოკატმა ეჭვით უნდა შეხედოს თვით დოკუმენტის ნამდვილობასაც და გაარკვიოს:

- შეესაბამება თუ არა დოკუმენტი კანონით დადგენილ ფორმატს;
- დოკუმენტი მიღებულია თუ არა შესაბამისი ორგანოს მიერ;
- ხელმოწერილია თუ არა სათანადო პირის მიერ;

- თუ სხვისი ხელმოწერაა, აქვს თუ არა მას უფლებამოსილი პირის მინდობილობა;

- ხომ არ არის საჭირო ამ დოკუმენტის ბათილობის საკითხის დაყენება.

დამოუკიდებელი ანალიზის უნარი აუცილებელი წინაპირობაა ეფექტური საადვოკატო საქმიანობისთვის.

კერძოდ: დოკუმენტების, მასალების და გარემოებების შესწავლა-ანალიზის დროს დაუშვებელია ადვოკატმა ისარგებლოს ავტორიტეტული და თანამდებობის პირების შეფასებებით ისე, რომ თავად არ მოახდინოს დამოუკიდებელი ანალიზი იგივე ფაქტებისა, გარემოებებისა და დოკუმენტებისა.

თანამიმდევრული მსჯელობა წარმოადგენს საქმის მასალების შესწავლის (დოკუმენტების) ყველაზე პროდუქტიულ საშუალებას.

ადვოკატი თავდაპირველად კითხულობს ყველა დოკუმენტს, პარალელურად მოინიშნავს, თუ რაზე უნდა იქნეს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება, ასევე მოინიშნავს გაურკვევლობებს, ხარვეზებს, საეჭვო გარემოებებს, ხოლო შემდეგ უფრო უღრმავდება მათ და აკეთებს სათანადო დასკვნებს ინფორმაციის საჭირო წყაროები

საქმის მასალების შესწავლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ნივთიერ მტკიცებულებებს; მესამე პირთა ახსნა-განმარტებებს; მოწმეთა ჩვენებებს; ექსპერტთა დასკვნებს და სხვა ინფორმაციის წყაროებს, რომლებიც დაეხმარება ადვოკატს უკეთესად და სიღრმისეულად გაერკვეს სიტუაციის არსში.

### §3. შედარებითი მეთოდი:

საქმის მასალების შესწავლისას ადვოკატმა შეიძლება გამოიყენოს შედარების მეთოდი. ამ დროს ადვოკატი ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციებს: დოკუმენტებს, ჩვენებებს, დასკვნებს და ა.შ.

შესაბამისად, შედარების დროს თუ გამოვლინდა წინააღმდეგობები, უნდა გაირკვეს ამ წინააღმდეგობათა მიზეზები და გადაჭრის გზებიც.

ავიღოთ მაგალითი: ადვოკატს წინ უდევს ორი დოკუმენტი. ერთი გაცემულია და დამოწმებულია სოფლის ადგილობრივი მმართველობის მიერ და გვაუწყებს, რომ ე. ნ-მ თავისი უძრავი ქონება გადასცა მონასტერს.

მეორე დოკუმენტი კი არის რაიონის ტექბიუროს მიერ გაცემული ბინის ტექ. პასპორტი, რომელიც მეტყველებს, რომ ზემოთ ხსენებული უძრავი ქონება სხვის სახელზეა რეგისტრირებული. ესე იგი, ე. ნ-ს სხვისი ქონება გაუჩუქებია, ანუ, უფრო სწორედ, ე. ნ-ს არ გაუჩუქებია უძრავი ქონება.

ამ ორი დოკუმენტის შედარებისა და მათ შორის არსებული წინააღმდეგობის გარკვევისას ჯერ იმაში უნდა გავერკვეთ, რომელი დოკუმენტი უფრო მნიშვნელოვანია მტკიცებულებითი თვალსაზრისით.

#### §4. ფორმალური იურიდიული მეთოდი.

ამ მეთოდის გამოყენებით მოწმდება დოკუმენტების ფორმა, რა დროსაც ადვოკატი ყურადღებას აქცევს შემდეგ ასპექტებს:

ა. დოკუმენტი უნდა იყოს გაცემული შესაბამისი ორგანოსა და თანამდებობის პირის მიერ, რომელიც კომპეტენტურია ასეთი დოკუმენტის გაცემაზე. (მაგალითად, ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში, სოფლის გამგებლის მიერ გაცემულ დოკუმენტთან შედარებით უფრო კომპეტენტურია ტექბიუროს მიერ გაცემული ტექ. პასპორტი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით)

ბ. დოკუმენტი მკაცრად უნდა აკმაყოფილებდეს მისი შედგენის წესებს; უნდა იყოს შესრულებული სათანადო ბლანკზე (თუ მისი გამცემი სახელმწიფო ორგანოა), ასევე უნდა ჰქონდეს კომპეტენტური პირის ხელმოწერა, ბეჭედი და ა. შ.

გ. დოკუმენტს არ უნდა ჰქონდეს მინაწერები; შესწორებები; ამოშლები; დაზიანებები...

დ. არ უნდა იყოს გასული დოკუმენტის მოქმედების ვადა;

ე. თუ საქმეში წარმოდგენილია დოკუმენტის ასლი, უნდა იყოს დამოწმებული იმავე ორგანოს ან ნოტარიუსის მიერ.

მოვიყვანოთ მაგალითი ფორმალურ იურიდიულ მეთოდთან დაკავშირებით:

მხარემ სასამართლოს წარუდგინა ერთ-ერთი არქიტექტურული ფირმის დასკვნა სამშენებლო-საპროექტო და სხვა დარღვევებზე.

ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს შეუძლია ეჭვევეშ დააყენოს ასეთი ფირმის დასკვნა, ვინაიდან მსგავს დასკვნებს აკეთებს საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის სამსახური და კომპეტენტურობის თვალსაზრისითაც, მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა მიიღება მტკიცებულებად.

## §5. ლოგიკური მეთოდი.

ამ მეთოდის გამოყენება ადვოკატს დასჭირდება, როცა ხდება შესაბამისობის დადგენა კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და იმ წესებს შორის, რომელიც ნორმატიული აქტებით არის დადგენილი, ანუ ხდება სამართლებრივი კლასიფიკაცია ფაქტობრივი გარემოებებისა.

მოვიყვანოთ მაგალითი: ადვოკატს მომართა მოქალაქემ, რომელსაც სურს მოწმეთა მეშვეობით დაადასტუროს ბიძაშვილზე ფულის სესხების ფაქტი.

ადვოკატი ზემოთ ხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს შეადარებს იმ ნორმებს, რომლებიც სესხის ხელშეკრულებას არეგულირებენ და აღმოაჩენს, რომ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით სესხის გაცემა ვერ დადასტურდება.

## §6. ანალიზისა და სინთეზის მეთოდი

ანალიზის დროს ხდება რთული მთლიანობის დაყოფა ნაწილებად, ხოლო სინთეზის დროს პირიქით – მოვლენის შესწავლა წარმოებს მისი შემადგენელი ელემენტების პირობითი გაერთიანებით. (ეს გამოიყენება კვალიფიკაციის პროცესში, როცა ხდება სიტუაციის შეფასება რამდენიმე სამართლებრივი ნორმით).

ყველა ამ მეთოდის გამოყენებით; ფაქტობრივი გარემოების ირგვლივ ზეპირი და წერილობითი ინფორმაციების მიღებისა და გაანალიზების შემდეგ ადვოკატმა უნდა გადაწყვიტოს: არის თუ არა შესაძლებლობა, ეს საქმე მიიღოს წარმოებაში და(ან) რა გზით დაიცვას კლიენტის ინტერესები.

მაგალითად: უძრავი ქონების ზეპირი სიტყვიერი ნასყიდობის შემდეგ მყიდველს სურს აიძულოს გამყიდველი გაუფორმოს ბინა. გამყიდველი უარზეა, რადგან ბინები გაძვირდა და სთხოვს დამატებით გადასახადს.

თუ ადვოკატი პირდაპირ სარჩელს შეიტანს ბინის ნასყიდობის ცნობისა და გაფორმების მოთხოვნით, რა თქმა უნდა წააგებს, რადგან მისი კლიენტი ვერ დაადასტურებს უძრავი ქონების ნასყიდობის ფაქტს იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ უძრავი ქონების ნასყიდობა ზეპირსიტყვიერად არ ხდება და ვერც დგინდება.

საერთოდ, წამგებიანი გარემოებებით საქმის წარმოებაში მიღება და აშკარად წამგებიანი მოთხოვნით სასამართლოსად-

მი მიმართვა ნიშნავს მხოლოდ ჰონორარის გამო საქმის მიღებას, რაც არა ეთიკურია და შეიძლება თაღლითობადაც კი მივიჩნიოთ ასეთი სახის საადვოკატო საქმიანობა.

## თავი მესამე

### ადვოკატის სამართლებრივი პოზიცია

სამართლებრივი პოზიცია არის ადვოკატის სუბიექტური მოსაზრება კონკრეტული საქმის არსსა და ხასიათზე, რომელიც მოიცავს ამ საქმის გადაწყვეტის კონკრეტული მოქმედებების დაგეგმარებასაც.

რამდენიმე ვარიანტიდან კონკრეტული პოზიციის არჩევას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორები, მაგრამ მათგან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის გარემოებების შესაბამისობაში მოყვანას იმ ნორმატიულ აქტებთან, რითაც უნდა იქნეს დარეგულირებული და დაცული კლიენტის ინტერესები.

### §1 პოზიციის შემუშავების ეტაპები.

ადვოკატის მხრიდან სამართლებრივი პოზიციის შემუშავება რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

პირველი ეტაპი – მოიცავს უკვე მომხდარი მოვლენების; ფაქტებისა და გარემოებების – სამართლებრივ შეფასებას.

ამ დროს ხდება არსებული ფაქტების სამართლებრივი ანალიზი და იქმნება აუცილებელი ბაზა, რომელიც თავის მხრივ, საუკეთესო წინაპირობაა შემდგომში წარმატებული დაცვისა.

მეორე ეტაპი – მოიცავს მიზნების სამართლებრივ შეფასებას, რა დროსაც დგინდება კლიენტის მოთხოვნების კანონიერებისა და სამართლიანობის საზღვრები.

მაგალითად: შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოქალაქეს არა აქვს სარჩელის წარდგენის უფლება და შესაბამისად, არც მოთხოვნის უფლება ექნება.

ან ასეც შეიძლება მოხდეს: მატერიალური სამართლით მოქალაქეს აქვს უფლება სასარჩელო მოთხოვნისა, მაგრამ პროცესუალური სამართლით ეს უფლება დაკარგული აქვს დავის ხანდაზმულობის გამო.

მესამე ეტაპი – სიტუაციის სამართლებრივი შეფასების შემდეგ დგება, როდესაც ადვოკატი გადადის სასურველი

მიზნის მიღწევისთვის სამართლებრივი საშუალებების მოძიებასა და ანალიზზე.

ამ დროს საქმის არსისა და ხასიათიდან გამომდინარე, ასევე კლიენტის მიზნისა და ინტერესების გათვალისწინებით, ადვოკატი განსაზღვრავს, თუ რა კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიოს კლიენტს: აწარმოოს მოლაპარაკება კონტრაგენტთან, თუ გაუგზავნოს პრეტენზიები; მიმართოს სასამართლოს, არბიტრაჟს, თუ სხვა უწყებას...

მეოთხე ეტაპი - ეხება პროგნოზირებას, რომელიც მიზნებისა და საშუალებების განსაზღვრის შემდეგ უნდა გააკეთოს ადვოკატმა, მაგრამ ამ პროგნოზირების დროს კლიენტისთვის ასპროცენტიანი გარანტიის მიცემა არ შეიძლება, ვინაიდან საბოლოო სამართლებრივ შეფასებას იძლევა არა ადვოკატი, არამედ სასამართლო.

ზემოთ ავლნიშნეთ და კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ სამართლებრივი შეფასებისა და პოზიციის განსაზღვრისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს კონკრეტული საქმის გარემოებები და კლიენტის მიზნები.

მეორეს მხრივ, ადვოკატის მხრიდან საქმის ირგვლივ არსებული ყველა გარემოების სამართლებრივი შეფასება წინ უსწრებს და ხელსაც შეუწყობს სამართლებრივ შეფასებას, რომელიც სასამართლომ უნდა მოახდინოს საქმის არსებითად განხივა-გადაწყვეტისას.

შესაბამისად, წარმოვაჩინოთ რა ადვოკატის როლს მართლმსაჯულების სისტემაში, ხაზგასმით ავლნიშნავთ: ადვოკატს შეუძლია მნიშვნელოვნად ოპტიმიზირებული გახადოს სასამართლოს მუშაობა და ხელიც შეუწყოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, თუ გონიერულ ფორმულირებას გაუკეთებს საქმის ირგვლივ არსებულ მტკიცებულებებს და მოარგებს მას თავის პოზიციას.

აქვე ავლნიშნავთ, რომ საქმის ირგვლივ სწორი სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზის მოძიება რთული პროცესია და არ არის გამორიცხული, რომ სხვადასხვა სამართლის დარგიდანაც დაგვეჭირდეს სათანადო ნორმის მოძიება საჭირო პოზიციის განმტკიცებისათვის.

## §2. მოქმედება საკანონმდებლო ხარვეზების დროს

ადვოკატმა ყოველთვის უნდა ექებოს და ჰპოვოს გამოსავალი კონკრეტული სიტუაციიდან, ხოლო კანონის არასრულყოფილება არ უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ კლიენტმა ვერ მიიღოს ხარისხიანი სამართლებრივი დახმარება:

ზემოთ აღნიშნული ეხება ნორმათა კოლიზიასაც, როცა ერთი და იგივე გარემოება დარეგულირებულია რამდენიმე ერთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ნორმებით.

ამ დროს ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ზოგად სამართლებრივი წესები, კერძოდ:

1. თუ წინააღმდეგობა არის ეროვნულ და საერთაშორისო ნორმებს შორის, უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო ნორმებს;

2. თუ წინააღმდეგობა არის საერთო და სპეციალურ ნორმებს შორის, უპირატესობა მიენიჭება სპეციალური ხასიათის ნორმებს;

3. საქმის გადაწყვეტა ანალოგიით დასაშვებია მხოლოდ მარეგულირებელი ნორმის არ არსებობის ან არასრულყოფილების შემთხვევაში;

4. განსახილველი გარემოება და გარემოება, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი ნორმით, უნდა შეესაბამებოდნენ ერთმანეთს არსებითად და სამართლებრივი ნიშნებით;

5. ანალოგიის გამოყენება უნდა მოხდეს იმავე დარგის სამართლის ნორმების მიხედვით და თუ ასეთი არ მოიძებნა, მხოლოდ ამის შემდეგ მივმართაეთ სხვა დარგის ნორმებს და სამართლის ანალოგიას;

6. საჭირო ნორმების მიგნების შემდეგ უნდა შემოწმდეს ნორმის ტექსტის სიზუსტე, ვადა, ცვლილებები და ა.შ.

7. კარგი იქნება თუ ადვოკატი ჩახედავს გამოსაყენებელი ნორმის კომენტარებსა და მისი გამოყენების პრაქტიკასაც.

8. საქმის კვალიფიკაციას ადვოკატი ახდენს რეალური გარემოებების შედარებით სამართლებრივ მოდელთან.

ასეთი ანალიზის შემდეგ მივიღვართ დასკვნამდე საფუძვლიანია თუ არა კლიენტის მოთხოვნა.

ასეთივე სქემით ვაფასებთ მოწინააღმდეგე მხარეს და განვსაზღვრავთ, თუ რა პოზიცია შეიძლება დაიკავოს მან; რა სახით შეიძლება დაიცვას თავი; რა გარემოებებს შეიძლება დაეყრდნოს და ა.შ.

მტკიცება და მტკიცებულებები

§1. მტკიცების არსი და საგანი.

მტკიცება მტკიცებულებასთან შედარებით უფრო ფართო ცნებაა და ნიშნავს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად ინფორმაციების მოპოვებას, შემოწმებას, შეფასებას და მტკიცების პროცესში მონაწილეთა მოქმედებასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

მტკიცება შედარებით მყარი ცნებაა, ხასიათდება დინამიურობით და მოიცავს მტკიცებულებასაც, რომელიც თავის მხრივ, მოპოვებულ ინფორმაციებს წარმოადგენს.

ჭეშმარიტების დადგენაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუ არ არის განსაზღვრული მტკიცების საგანი, რომელიც კვლევის მიმართულებას ემსახურება.

სანამ მტკიცებულებების შეკრებას შეუდგებოდეს, ადვოკატმა უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანი და საზღვრები.

სამოქალაქო საქმეზე მტკიცების საგანს, ანუ საძიებელ ფაქტებს უწოდებენ იმ იურიდიულ ფაქტებს, რომელთა გადაწყვეტით უზრუნველყოფილი ხდება საქმის არსებითად განხილვა.

მტკიცების საგანი დგინდება მხარეთა მტკიცებით, უარყოფით და მატერიალური სამართლის ნორმების ერთობლიობით.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მტკიცების საგანი ესაა ერთობლიობა გარემოებებისა, რომელთა დადგენა აუცილებელია კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოსატანად.

ზუსტად რომ განვსაზღვროთ მტკიცების საგანი, აუცილებელია დავადგინოთ მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი და კანონი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ კონკრეტული დავის გადაწყვეტისას.

მხარეთა სამართლებრივ ურთიერთობებს კი ვერ განვსაზღვრავთ ზუსტად, თუ არ შევისწავლით გარემოებებს, რომელიც წინ უძღოდა ან სდევდა ამ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მტკიცების საგნის განსაზღვრა ხელს უწყობს სარჩელის საგნისა და საფუძვლის ზუსტად განსაზღვრას და პროცესის სწორად წარმართვას.

ადვოკატისთვის მტკიცების საგნად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებები, რომელთა დამტკიცებაც ადვოკატს ევალება თავისი პოზიციის გასამყარებლად.

## §2. ფაქტები და გარემოებები

მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები და გარემოებები შეიძლება დაეყოს რამდენიმე ჯგუფად:

პირველ ჯგუფში შედიან: გარემოებები, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენენ.

ხოლო თუ ადვოკატი იცავს მოპასუხეს, ამ ჯგუფის მტკიცების საგანში წარმოდგენილი იქნება მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფენ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობას.

ზემოთ ხსენებული ფაქტები და გარემოებები მატერიალურ-სამართლებრივი სახისაა და დაკავშირებულია მატერიალურ სამართლის ნორმებთან.

მაგალითად: თუ სარჩელი ეხება ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, მტკიცების საგანში შევა ის ფაქტები და გარემოებები, რითაც დადასტურდება: ხელშეკრულების დადება, ვალდებულების არსებობა, ვადები, ვალდებულების არ შესრულება ან არასათანადოდ შესრულება და ზარალის ოდენობა.

მაშასადამე, მატერიალური სამართალი ითვალისწინებს გარკვეული სახის ხელშეკრულებას, რომლის დადებისა და დარღვევის ფაქტი წარმოადგენს მტკიცების საგანს.

გასათვალისწინებელი პრაქტიკული რჩევა:

თუ ადვოკატი საქმეში ჩაერთო სასარჩელო განცხადების წარდგენის შემდეგ და აღმოაჩინა, რომ კლიენტს არ წარუდგენია საქმისთვის საჭირო და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, ან ეყრდნობა გარემოებებს, რომელსაც არა აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა, დამცველმა ეს შეცდომა აუცილებლად უნდა გამოასწოროს სათანადო მტკიცებულებების წარდგენით, ხოლო თუ სარჩელის საფუძველი და სასარჩელო მოთხოვნაც არასწორადაა წარდგენილი, ადვოკატმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს.

მეორე ჯგუფის მტკიცების საგანში შედიან: დასამტკიცებელი ირიბი ფაქტები, რომლებიც თვითონ არ წარმოადგენენ იურიდიულ ფაქტებს, მაგრამ ირიბად ეხებიან განსახ-

იღველ საქმეს და იძლევიან იმ დასკვნების საფუძველს, რომ საქმისთვის გადამწყვეტ და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს და გარემოებებს ნამდვილად ჰქონდა ან არ ჰქონდა ადგილი.

მაგალითად: მოპასუხის არ ყოფნა იმ ადგილზე და იმ დროს, სადაც და რა დროსაც მოხდა მოსარჩელის ქონების დაზიანება, წარმოადგენს ამგვარი სახის ირიბ ფაქტს, რომელიც იქნება ალიბი და საფუძველი სარჩელის უსაფუძვლოდ ცნობისა.

მესამე ჯგუფში შედის პრეზუმციული და ეჭვ-გარეშე ფაქტები.

ამ ჯგუფში მოიაზრება კანონის მიერ დადგენილი ვარაუდი, რომ გარკვეული ფაქტი არსებობს, თუ დადგინდა მასთან დამაკავშირებელი სხვა ფაქტი.

მაგალითად: საჯარო რეესტრის ჩანაწერი პრეზუმციულია და მისი წარმომდგენი თავისუფლდება იმის მტკიცებისგან, რომ ის ნამდვილად მესაკუთრეა ჩანაწერში დაფიქსირებულ უძრავი ქონებისა.

თუმცა მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს უარყოს პრეზუმციული ფაქტის არსებობა და (ან) კანონიერება,

მაგალითად: ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია გაასაჩივროს საჯარო რეესტრის ჩანაწერი და დაამტკიცოს ამ პრეზუმციული დოკუმენტის უკანონობა.

მეოთხე ჯგუფში შედის პროცესუალური მნიშვნელობის ფაქტები.

ამ დროს მატერიალური სამართლის ნორმით გათვალისწინებული ფაქტებისა და გარემოებების არსებობის მტკიცებამ შეიძლება საერთოდ დაკარგოს მნიშვნელობა პროცესუალური ფაქტის არსებობის გამო.

მაგალითად: სარჩელი წარმოადგინა არასათანადო მოსარჩელემ. ასეთ შემთხვევაში არის საფუძველი საქმის შეწყვეტისა, ანუ სასამართლო ასეთ საქმეს არ განიხილავს, რაოდენ მყარი მტკიცებულებებიც არ უნდა ერთვოდეს მას.

ყურადღება: პრეიდუციული და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები არ შედის მტკიცების საგანში.

პრეიდუციულია ფაქტი, რომელიც დადგენილია სასამართლოს მიერ, ძალაშია შესული და სავალდებულოა ყველასთვის.

საყოველთაოდ ცნობილია ფაქტები (სტიქია, ომი დ. ა. შ.), რომლებიც ცნობილია ადამიანთა ფართო წრისთვის.

### §3. მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება.

მტკიცებულებების შეგროვებასა და შეფასებას ადვოკატი იწყებს მტკიცების საგნის განსაზღვრის შემდეგ.

ამ პროცედურებისთვის ადვოკატი ხშირად იყენებს მიმართვისა და შუამდგომლობის ფორმებს; გამოითხოვს ამა თუ იმ მტკიცებულებას და თან მიუთითებს, რა ფაქტებისა და გარემოებების დასამტკიცებლად სჭირდება ეს მტკიცებულება.

ადვოკატი აგროვებს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომელიც მის პოზიციას განამტკიცებს და ადასტურებს მისი (კლიენტის) მოთხოვნის საფუძვლიანობას;

ადვოკატი აგროვებს აგრეთვე იმ მტკიცებულებებს, რომლითაც თავს იცავს და უარყოფს მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნებს.

თუ მიმართვა არ დაკმაყოფილდა და ორგანიზაციამ ადვოკატს არ მიაწოდა გამოთხოვილი მტკიცებულება, დამცველი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ითხოვს დახმარებას.

შუამდგომლობის დროულად დაყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს და უნდა გვახსოვდეს, რომ ზემდგომმა ინსტანციამ შეიძლება მხოლოდ იმიტომ არ დააკმაყოფილოს ადვოკატის შუამდგომლობა, რომ დამცველმა მანამდე არ მიმართა იმავე შუამდგომლობით პირველი ინსტანციის სასამართლოს.

მტკიცებულებათა შეფასებისას ადვოკატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ მტკიცებულებებს, (მათ შორის: მოწინააღმდეგე მხარის აზრსა და პოზიციას), რომლებიც უარყოფენ მის დაცვით პოზიციას.

წესები რითაც ადვოკატი ახდენს მტკიცებულებათა წინასწარ შეფასებებს, იგივეა, რასაც ეყრდნობა სასამართლოც, კერძოდ:

1. მტკიცებულებების შეფასება ხდება შინაგანი რწმენით და ეფუძნება საქმეში არსებული მასალების სრულ და ობიექტურ შესწავლას;

2. არანაირ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა;

3. ყოველი მტკიცებულება (მისი დასაშვებობა და საფუძვლიანობა) უნდა შემოწმდეს და შეფასდეს როგორც ცალკე, ისე სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

დოკუმენტების შემოწმებისას, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ყურადღება უნდა მიექცეს მის სათანადოობას, ანუ იმ გარემოებას, რომ დოკუმენტი გაცემული იყოს სათანადო ორგანოსა და თანამდებობის პირის მიერ.

უნდა შემოწმდეს ასევე დოკუმენტის ასლისა და მისი ორიგინალის შესაბამისობა, რათა გამოირიცხოს დოკუმენტის შინაარსის ტექნიკურად შეცვლის შესაძლებლობა.

## თავი მეხუთე

### დოკუმენტების მომზადება

#### §1 დოკუმენტების დაჯგუფება.

დოკუმენტები, რომელსაც ადვოკატი ადგენს, შეიძლება იყოს პროცესუალური და არაპროცესუალური.

პროცესუალურია დოკუმენტები, რომელთა შედგენა ხდება გარკვეული წესების დაცვით, წერილობითი ფორმით და რომელიც გამოიყენება სასამართლოში მტკიცებულებითი მნიშვნელობით.

ხოლო არაპროცესუალური დოკუმენტი მხოლოდ ინფორმაციული მნიშვნელობისაა, თუმცა ზოგიერთ მათგანმა, გარკვეულ ეტაპზე შეიძლება შეიძინოს მტკიცებულებითი ძალა.

პროცესუალური დოკუმენტები კლასიფიკაციის, პროცესის ხასიათისა და სტადიების მიხედვით იყოფა რამდენიმე ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება დოკუმენტები, რომელიც ეხება სასამართლოში საქმის აღძვრამდე პერიოდს.

ასეთი დოკუმენტებია:

- ადვოკატის მიმართვები და განცხადებები სხვადასხვა ორგანიზაციებისადმი, ამა თუ იმ საბუთის (მტკიცებულების) და ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ;

- ადვოკატის შუამდგომლობები სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

- განცხადებები; აქტები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ადვოკატის მიერ მზადდება შემდგომში სასამართლოში წარსადგენად.

- მეორე ჯგუფში შედის დოკუმენტები, რომელიც ეხება საქმის აღძვრას სასამართლოში. ასეთი დოკუმენტებია:

- სასარჩელო განცხადებები;
- შეგებებული სარჩელი;
- შესაგებელი;
- განცხადებები უღაო წარმოების საქმეზე.

მესამე ჯგუფს განეკუთვნება დოკუმენტები, რომლებიც ეხება საქმის სასამართლოში განხილვის პერიოდს.

ასეთი დოკუმენტებია:

- განცხადებები;
- შუამდგომლობები;
- ახსნა-განმარტებები;
- დაზუსტებული მოთხოვნები;
- ადვოკატის დასკვნითი სიტყვები.

მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება მეორე ინსტანციის სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტები, რომელშიც შედის:

- სააპელაციო საჩივარი;
- შესაგებელი;
- სხვადასხვა სახის შუამდგომლობები.

მეხუთე ჯგუფში შედის დოკუმენტები, რომელიც ეხება ძალაში შესული გადაწყვეტილებების ხელახლა განხილვას.

ასეთი დოკუმენტებია:

- განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ;
- განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

მეექვსე ჯგუფში შედის დოკუმენტები, რომელიც შეეხება საააღსრულებო წარმოებას.

ესენია:

- განცხადება სააღსრულებო ფურცლს გაცემაზე;
- განცხადება დუბლიკატის გაცემაზე;
- განცხადება გაშვებული ვადის აღდგენაზე;
- აღმასრულებლისადმი მიმართული განცხადებები;
- აღმასრულებლის ქმედების (უმოქმედობის) გასაჩივრება და ა.შ.

- მეშვიდე ჯგუფში შედის დოკუმენტები, რომელიც პროცესის რამდენიმე ინსტანციაში გამოიყენება. მაგალითად: შესაგებელი და ა.შ.

განვიხილოთ თითოეული პროცესუალური და არა-პროცესუალური დოკუმენტის მომზადების თავისებურებანი:

## §2. განცხადება.

განცხადება სპეციალური ფორმით შედგენილი წერილობითი დოკუმენტია, რომელიც შეიძლება იყოს პროცესუალურიც და არაპროცესუალურიც.

განცხადება იწერება ცალკეულ პირთა მიერ რომელიმე ორგანიზაციის, წარმოება-დაწესებულების ან მისი ხელმძღვანელის სახელზე და შეიცავს თხოვნას, საჩივარს ან რაიმე ამბის შეტყობინებას.

ასეთი სახის განცხადება შეიძლება იყოს კოლექტიური ხასიათისაც და განცხადების ავტორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე ორგანიზაცია ან უწყება.

განცხადება იწერება საერთო ფორმის მიხედვით, რომლისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. პირველ სტრიქონზე, მარჯვენა ან მარცხენა ნაწილში იწერება ადრესატის ზუსტი მისამართი (სრული დასახელება წარმოება-დაწესებულების, ორგანიზაცია-უწყების ან თანამდებობის მქონე იმ პირისა, რომელსაც განცხადება ეგზავნება)..

2. მომდევნო სტრიქონზე ზევით, მარჯვენა ან მარცხენა მხარეს, იწერება იმ პირის (ორგანიზაციის) გვარი, სახელი (სახელწოდება) ვის ინტერესებსაც წარმოადგენს ადვოკატი;

3. იქვე მიეთითება ზუსტი მისამართი წარმომადგენელ-ადვოკატისა თუ განცხადება იწერება მისი სახელით;

4. გარკვეული ინტერვალის შემდეგ იწერება სიტყვა „განცხადება“

5. მომდევნო სტრიქონზე (აბზაცით) იწერება განცხადების შინაარსი, რომელიც შედგება სამი ნაწილისგან:

ა. შესავალი, სადაც ნაჩვენებია განცხადების დაწერის გამომწვევი მიზეზები;

ბ. ძირითადი ნაწილი, სადაც წარმოდგენილია შინაარსის დასაბუთება;

გ. დასკვნითი ნაწილი, სადაც მითითებულია განმცხადებლისთვის მოსალოდნელი და სასურველი შედეგები.

6. მარცხენა მხარეს მიეთითება განცხადების შედგენის თარიღი;

7. განცხადების ბოლოს აუცილებელია განმცხადებლის ხელის მოწერა.

### §3. მიმართვა.

მიმართვა წერილობითი, არაპროცესუალური დოკუმენტია, რომელსაც ადგენენ ტიტულოვან ფურცელზე და მისი ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი (ორგანიზაცია), ვისაც ეკუთვნის ეს ტიტულოვანი ფურცელი.

მიმართვის ადრესატი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე თანამდებობის პირი, ორგანიზაცია-დაწესებულება, სასამართლო და სხვა უწყებები.

მიმართვა შეიცავს თხოვნას და მისი ფორმატი შემდეგი სახისაა:

1. ისევე, როგორც განცხადების დროს, პირველ სტრიქონზე, მარჯვენა ნაწილში, იწერება ადრესატის ზუსტი დასახელება და მისამართი;

2. მომდევნო სტრიქონზე, ინტერვალისა და აბზაცის დაცვით, იწერება მიმართვის შინაარსი. (განმცხადებლის სახელის, გვარის და მისამართის მითითება არ არის საჭირო, რადგან ტიტულზეა მითითებული. ასევე არ არის საჭირო მითითება სიტყვისა „მიმართვა“)

3. მიმართვის შინაარსი შედგება სამი ნაწილისგან, რომელიც განცხადების შინაარსის ანალოგიურია და ისიც სრულდება მიმართვის ავტორის ხელმოწერით, ხოლო თარიღი და დოკუმენტის ნუმერაცია მიეთითება მიმართვის თავში: ტიტულოვანი ფურცლის მარცხენა და მარჯვენა ნაწილებში.

### §4. სასარჩელო განცხადება.

სასარჩელო განცხადება პროცესუალური დოკუმენტია, რომელიც ემსახურება სამოქალაქო (სადაო) საქმის აღძვრას სასამართლოში.

მისი შედგენის წესი დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით.

სასარჩელო განცხადება შეიცავს სავალდებულო და არასავალდებულო რეკვიზიტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელს სასამართლო არ მიიღებს წარმოებაში, თუ მასში არ იქნა გათვალისწინებული და წარმოდგენილი სავალდებულო რეკვიზიტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ხოლო არა სავალდებულო რეკვიზიტების წარმოუდგენლობა სარჩელის წარმოებაში მიღებას არ შეაფერხებს, ხოლო მოსარჩელეს შეუ-

ძლია ეს მოთხოვნები დააყენოს შემდგომაც,- სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე.

სავალდებულო რეკვიზიტებია:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის სარჩელი.

აქ ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრინციპები.

მაგალითად: თუ გასაჩივრებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ დავა უნდა განიხილოს სააარბიტრაჟო სასამართლომ, ხოლო ადვოკატი სარჩელით შედის სასამართლოში, ამით არღვევს უწყებრივ ქვემდებარეობას.

მეორე მაგალითი: ქარელში მცხოვრებ მოქალაქეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში შეაქვს სარჩელი ალიმენტსა და ქონებრივ დავაზე, ხოლო მოპასუხე, - მოსარჩელის მეუღლე, ცხოვრობს თბილისში. ამ შემთხვევაში განსჯადობის პრინციპია დარღვეული ნაწილობრივ, ვინაიდან, ალიმენტის დანიშვნასთან დაკავშირებით კი შეიძლება სარჩელის წარდგენა მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით, (სსსკ 19-ე მუხ.) მაგრამ ქონებრივი დავა განიხილება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

(მსგავსი გარემოების შემთხვევაში ადვოკატმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს, რომ ორივე მოთხოვნა განხილულ იქნეს ერთად, მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით და სამართლებრივ საფუძველთან ერთად (სსსკ 19-ე მუხლის მე-2-ე ნაწ.) უნდა დაასაბუთოს თავის შუამდგომლობის საფუძველიანობაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო განჩინებით ცალკე საქმედ გამოყოფს და განიხილავს მხოლოდ ალიმენტის შესახებ მოთხოვნას.)

2. მოსარჩელის სახელი გვარი (სახელწოდება) და მისამართი.

აქ ადვოკატმა უნდა იზრუნოს მოსარჩელის სათანადოობაზე, ხოლო სათანადო მოსარჩელე ის არის, ვისი უფლებაც დარღვეულია.

არის შემთხვევები, როცა გულშემატკივარი მოდის ახლობლის უფლებათა დასაცავად. ამ შემთხვევაში ადვოკატმა უნდა გაარკვიოს, თვითონ უფლებაშელახულ პირს თუ სურს სარჩელით მიმართოს სასამართლოს, ხოლო ნების გამოხატვის შემთხვევაში განსაზღვროს წარმომადგენლობის საკითხი.

უნდა გვახსოვდეს, რომ არასწორად მითითებული მისამართიც შეიძლება გახდეს სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი.

**მაგალითად:** მოსარჩელის მიმართ გამოტანილ იქნა განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ. განჩინება გაეგზავნა მითითებულ მისამართზე, სადაც კარგა ხანია აღარ ცხოვრობს მოსარჩელე. შესაბამისად, რაკი განჩინება არ ჩაბარებია, ვერც გამოასწორა ხარვეზი, რასაც მოჰყვა ახალი განჩინება: სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მდგომარეობა ასე არ გართულდებოდა, თუ მოსარჩელე მიუთითებდა იმ ფაქტობრივ მისამართს, სადაც ქირით ცხოვრობდა.

**3. მოპასუხის გვარი, სახელი (სახელწოდება) და მისამართი.**

აქაც ისევე, როგორც მოსარჩელის შემთხვევაში, უნდა იყოს გარკვეული სათანადოობის საკითხი და მისამართიც უნდა იყოს მითითებული როგორც ძირითადი, ისე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

(სახელწოდების მითითება ხდება მაშინ, როცა მხარე იურიდიული პირია.)

**4. მოსარჩელის მოთხოვნა.**

ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტია სავალდებულო რეკვიზიტებს შორის. იგი წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნის შინაარსს და შეიძლება იყოს გამოხატული მიკუთვნებით; აღიარებითი ან გარდაქმნითი მოთხოვნის სახით.

რათა მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად გამართლებული და გამართული იყოს, მას უნდა წაეუძღვაროთ სამართლებრივი საფუძვლებიც, ანუ უნდა მივუთითოთ ის ნორმები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას.

აქვე უნდა ითქვას, რომ სარჩელში სამართლებრივი საფუძვლის მითითება სავალდებულო არ არის, ანუ ადვოკატს შეუძლია უშუალოდ პროცესზე წარმოადგინოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა საქმის განხილვამდე მოსამართლის დასარწმუნებლად ურიგო არ იქნება, თუ მოთხოვნებს თან დაეურთავთ სამართლებრივ არგუმენტაციას, სათანადო ნორმების მითითებით.

საერთოდ, სარჩელი უნდა შეიცავდეს ორ უმთავრეს ელემენტს: საგანს და საფუძველს.

სარჩელის საგანში იგულისხმება მოსარჩელის მოთხოვნა, ხოლო სარჩელის საფუძველია ის გარემოებები, რომელსაც ეყრდნობა მოსარჩელე.

#### 1 5 დავის საგანი.

1) დავის საგანი, იგივე სარჩელის საგანი, არის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი არსი და შინაარსი.

ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება დავის საგანს, მეტად მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელის სწორად წარმოდგენა სასარჩელო განცხადებაში.

მაგალითად: მოქალაქე სწუხს, რომ განქორწინებული ცოლი არ აძლევს უფლებას მოინახულოს არასრულწლოვანი შვილი და ითხოვს მშობლის უფლება ჩამოერთვას მის ყოფილ მეუღლეს.

ამ შემთხვევაში პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შვილის მონახულების და მასთან ურთიერთობის უფლება ელახება მოქალაქეს. შესაბამისად, დავის საგანს და სასარჩელო მოთხოვნის შინაარსსაც წარმოადგენს შვილთან ურთიერთობის დღეების განსაზღვრა სასამართლოს მეშვეობით და არა მშობლის უფლების ჩამორთმევა.

ამიტომ, როცა სარჩელს ადგენს ადვოკატი, კლიენტის მოთხოვნა ბრმად არ უნდა გაიზიაროს, არამედ ჩასწვდეს პრობლემის არსს და ისე განსაზღვროს დავის საგანიც, შინაარსიც და მისგან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნაც.

#### აღიარებითი სარჩელი

დავის საგნის განსაზღვრისას სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს იურიდიული ინტერესების მითითება, თუ სარჩელი აღიარებითია და შეეხება უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის მოთხოვნებს.

მაგალითად: მოქალაქე მიმართავს სასამართლოს და ითხოვს შინაურული ანდერძის ნამდვილობის აღიარებას. ამ შემთხვევაში სარჩელში დავის საგნის გასწვრივ უნდა მიუთითოს თავისი იურიდიული ინტერესი, რომ სურს მოანდერძის სამკვიდროს მიღება.

აქვე უნდა ითქვას, რომ იურიდიული ინტერესის ნამდვილობა თვითონ ადვოკატმაც უნდა გადაამოწმოს.

მაგალითად: ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში თუ ამოჩნდა, რომ მოანდერძემ შინაურული ანდერძის შემდეგ სხვა ანდერძი გასცა, ან კუთვნილი ქონება გაჩუქებული აქვს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი აღარ არსებობს და კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია ურჩიოს კლიენტს უარი თქვას სარჩელზე, რადგან 'შინაურული ანდერძის ნამდვილობის აღიარება' ამ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოს მოსარჩელის უმთავრეს იურიდიულ ინტერესს, რომელიც მდგომარეობს მოანდერძის სამკვიდროს მიღებაში.

#### 6 დავის ფაქტობრივი გარემოებები.

სარჩელში მითითებული უნდა იყოს ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას.

ეს ფაქტები და გარემოებები წარმოადგენენ იმ იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც ქმნიან სარჩელის საფუძველს.

ერთობლიობაში ეს ფაქტობრივი გარემოებები ქმნიან მტკიცების საგანს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა სარჩელში უნდა წარმოადგინოს ის ფაქტები და გარემოებები, რომელიც სასამართლო მსჯელობის საგანი იქნება და რომელთა დადასტურების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებულად ჩაითვლება.

#### მაგალითად:

მოსარჩელე ითხოვს რა მოპასუხის მიმართ ალიმენტის დაკისრებას,

ფაქტებსა და გარემოებებს შორის წარმოადგინა ბავშვის დაბადების ფაქტი (მოწმობა, სადაც არ ჩანს, რომ მოპასუხე ბავშვის მამაა); მეზობლების აქტი, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელისა და მოპასუხის ერთად ცხოვრების პერიოდში ბავშვის დაბადების ფაქტს და მოითხოვა მოწმეთა დაკითხვა, რომლებიც მიუთითებენ, რომ მამა არ ზრუნავს შვილზე.

ბუნებრივია, ასეთი ფაქტებით, გარემოებებითა და მტკიცებულებებით მოსარჩელის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან მოპასუხის მხრიდან ალიმენტის ვალდებულება ვერ დამტკიცდება მამობის დადგენის გარეშე და სათანადო მოთხოვნა რომც იყოს სარჩელში, ვერც მამობა დამტკიცდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

## 7. მტკიცებულებები

ფაქტობრივი გარემოებების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებებით.

მტკიცებულებათა შეკრება, შემოწმება და შეფასება ხდება სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ.

შესაძლებელია რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებდეს ერთი მტკიცებულება.

შესაბამისად, სარჩელში თითოეული ფაქტობრივი გარემოების გვერდით უნდა იყოს მითითებული ის მტკიცებულება, რითაც ეს ფაქტი ან გარემოება დასტურდება.

მეორეს მხრივ, ადვოკატი უნდა მოერიდოს სარჩელში ისეთი მტკიცებულების, ფაქტის ან გარემოების დაფიქსირებას, რომელსაც მნიშვნელობა არა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისთვის.

მაგალითად: მოსარჩელე ითხოვს ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას და მტკიცებულებად წარმოადგენს მეზობელ-თანასოფლელთა ხელმოწერებით შედგენილ აქტს, რომლებიც ადასტურებენ, რომ მოპასუხემ ზეპირსიტყვიერი გარბევით მოსარჩელეს მიჰყიდა სადაო მიწის ნაკვეთი და ამის შემდეგ, იგივე ნაკვეთი გაყიდა სხვა პირზე ნოტარიული წესით.

ბუნებრივია, ასეთი აქტი და ფაქტი არაფრის მაქნისია, როცა საქმე ეხება უძრავი ქონების ნასყიდობას.

ისიც ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არასწორად არის დაყენებული და განწირულია მარცხისთვის.

არასავალდებულო რეკვიზიტებია ის მოთხოვნები, რომელთა გაუთვალისწინებლობა არ იწვევს სარჩელის ხარვეზზე დატოვებას.

კერძოდ აქ შედის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ:

ა. სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს მტკიცებულებათა წარმოდგენა;

ბ. სასამართლომ გამოითხოვოს დაწესებულებისგან ის მტკიცებულება, რომლის გაცემაზეც არამართლზომიერად უარი უთხრეს მოსარჩელეს;

გ. სასამართლომ მოიწვიოს მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი, რომლებიც დაადასტურებენ სარჩელში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს

ამ მოთხოვნების დაყენება შესაძლებელია საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზეც, შუამდგომლობის წესით.

## §5. შუამდგომლობა

შუამდგომლობა არის სასამართლოსადმი მიმართვის გავრცელებული ფორმა, რომელსაც იყენებს ადვოკატი, სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნისთვის.

შუამდგომლობის შედგენა ხდება განცხადების ფორმატის სახით და შეიცავს შემდეგ თავისებურებებს:

- ნაცვლად სიტყვისა „განცხადება“ - მიეთითება „შუამდგომლობა“.

- მოთხოვნის დაყენებამდე, შესავალი ნაწილის შემდეგ უნდა მოხდეს შუამდგომლობის დასაბუთება;

- მოთხოვნა უნდა იყოს კონკრეტული, ნათელი და არგუმენტირებული;

- დასაბუთება-არგუმენტაცია უნდა მოხდეს მხოლოდ იმ გარემოებებისა, რომელსაც კავშირი აქვს შუამდგომლობაში დაყენებულ მოთხოვნასთან;

- შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით საქმის მოსამზადებელ სტადიაზე;

- გამოჩენის შემთხვევაში (ახალი და არსებითი გარემოებების დროს) მხარეს შეუძლია შუამდგომლობა დააყენოს სასამართლო სხდომაზეც;

- საპატიო და ობიექტური მიზეზების შემთხვევაში შეიძლება შუამდგომლობა მიღებულ იქნეს მთავარ სხდომაზეც.

პრაქტიკაში გავრცელებული შეცდომები შუამდგომლობების დაყენებისას.

- ადვოკატი აყენებს შუამდგომლობას მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე, მაგრამ არ მიუთითებს (ვერ ამტკიცებს) რომ საკუთარი ძალებით ვერ შეძლო ამ მტკიცებულებების მიღება;

- მხარეს უგვიანდება შუამდგომლობის მოძიება-მომზადება-წარდგენა და სასამართლოს წინაშე არ აყენებს შუამდგომლობას „საპატიო მიზეზის გამო მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე“;

- მხარე აყენებს შუამდგომლობას მოწმეთა მოწვევა-დაკითხვაზე, მაგრამ არ მიუთითებს, რა ინფორმაცია შეიძლება მოგვაწოდოს მოწმემ განსახილველი სქმის ირგვლივ;

- ადვოკატი აყენებს შუამდგომლობას ექსპერტიზის დანიშვნაზე, მაგრამ არ მიუთითებს კონკრეტულად რა უნდა იქნეს გამოკვლეული და რა კითხვები უნდა დაესვას ექსპერტს;

- მხარე აყენებს შუამდგომლობას სახელმწიფო ბაჟის გადავადება-შემცირება-განთავისუფლებაზე, მაგრამ არ ურთავს მტკიცებულებას ქონებრივი მდგომარეობის და სხვა საპატიო გარემოებების შესახებ.

## §6. შესაგებელი

შესაგებელი მოპასუხის თავდაცვის საპროცესო საშუალებაა და იგი მიმართულია სარჩელის საფუძვლის წინააღმდეგ, რითაც მოპასუხეს სურს გააქარწყლოს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა.

როგორც პროცესუალური დოკუმენტი, შესაგებელი იწერება სპეციალურ ფორმატზე, რომელსაც სასამართლო, სარჩელთან ერთდ, უზაენის მოპასუხე მხარეს თავის მითითებებითა და შენიშვნებით.

შესაგებლები პირობითად შეიძლება დაეყოს შემდეგ კატეგორიებად:

1. უბრალო შესაგებელი - მოიცავს მხოლოდ სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტებისა და გარემოებების უბრალო უარყოფას და მას არავითარი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია.

მაგალითად: აღძრულია სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ, ხოლო მოპასუხე შესაგებელში მიუთითებს, რომ ზიანი მას არ მიუყენებია.

2. მტკიცებულებითი შესაგებელი - არ შემოიფარგლება მხოლოდ სარჩელის უარყოფით და წარმოადგენს სათანადო მტკიცებულებებს.

მაგალითად: ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, თუ მოპასუხე წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ ზიანის მიყენების დროს იგი იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ეს იქნება ალიბი, რითაც მოპასუხე განთავისუფლდება მატერიალური პასუხისმგებლობისგან.

3. მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი - ემყარება ისეთ გარემოებებს, რომელიც იწვევს მატერიალურ-სამართლებრივ შედეგებს და მისი მიზანია სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობის გაქარწყლება.

მაგალითად: თუ შესაგებლით დამტკიცდა, რომ ზიანი ანაზღაურებულია, სარჩელს უარი ეთქმევა უსაფუძვლობის გამო, ანუ, მატერიალურ-სამართლებრივი დარღვევისა და დავის საფუძვლის არ არსებობის გამო.

4. საპროცესო-სამართლებრივი შესაგებელი - ემყარება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც იწვევენ საპროცესო-სამართლებრივ შედეგებს.

მაგალითად: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე მოსარჩელეს შეიძლება უარი ეთქვას მხოლოდ იმის გამო, რომ გასულია საპროცესო ვადები.

## §7. შეგებებული სარჩელი

შეგებებული სარჩელი არის პროცესუალური დოკუმენტი, რომელიც სარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს მოპასუხისთვის.

განსხვავებით შესაგებლისაგან, შეგებებული სარჩელი შეიძლება არ იყოს მიმართული სარჩელის ფაქტობრივი თუ იურიდიული დასაბუთებულების გაქარწყლებისაკენ.

შეგებებული სარჩელი - ჩვეულებრივი სარჩელია და მასზე ვრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც ნებისმიერ სხვა სარჩელზე. (იხ. სსკ 178-ე და 179-ე მუხ.)

სარჩელს შეგებებული იმიტომ ჰქვია, რომ იგი აღიძვრება სხვა (ძირითადი) სარჩელის გამო, თუმცა იგივე სარჩელის აღძვრა შესაძლებელია დამოუკიდებლადაც.

სპეციალური პირობები, რომელსაც უნდა პასუხობდეს შეგებებული სარჩელი:

ა. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად.

მაგალითად: მოსარჩელემ პირვანდელ სარჩელში მოითხოვა გასესხებული თანხის (4000ლ.) დაბრუნება; ხოლო მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ წარადგინა შეგებებული სარჩელი, რითაც მოითხოვა ზარალის ანაზღაურება იმავე 4000 ლარის ოდენობით.

ბ. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად, ან ნაწილობრივ უნდა გამორიცხავდეს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილებას.

მაგალითად: მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის ბინიდან გასახლება, ხოლო მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა ამ სადაო ბინის თანამესაკუთრედ ცნობა.

გ. შეგებებულსა და პირვანდელ სარჩელებს შორის უნდა იყოს ურთიერთკავშირი.

მაგალითად: მოსარჩელემ აღძრა სარჩელი განქორწინების შესახებ; ხოლო მოპასუხემ შეიტანა შეგებებული სარჩელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ.

პირვანდელი და შეგებებული სარჩელის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა ხდება ერთდროულად.

ამ შემთხვევაში სიფხიზლე და დროული რეაგირება პმართებს ადვოკატს, როცა ხედავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის სასარჩელო მოთხოვნა გარკვეულია და მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის სარჩელი საჭიროებს დამატებით გამოკვლევას; ექსპერტიზის დასკვნებს და ა. შ.

ასეთ დროს დაინტერესებული მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ითხოვს ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანას, - თანახმად სსკ 245-ე მუხლისა.

მაგალითად: მოსარჩელემ აღძრა სარჩელი ხელის შეშლის აღკვეთაზე, ხოლო მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოსარჩელის უკანონო მიშენების დანგრევა.

პირველი მოთხოვნა გამოკვლეული იყო, ხოლო შეგებებული სარჩელის მოთხოვნა საჭიროებდა დამატებით საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის გამოკვლევასა და დასკვნას, რის გამოც სასამართლომ საქმე მთლიანად (ორივე სარჩელით) შეაჩერა და განჩინებით გაუშვა ექსპერტიზაზე, მაშინ როცა, მოსარჩელის ადვოკატის შუამდგომლობის შემთხვევაში თავისუფლად შეიძლებოდა გამოტანილიყო ნაწილობრივი გადაწყვეტილება.

## §8. საჩივარი

საჩივარი წარმოადგენს წერილობითი ფორმით შედგენილ პროცესუალურ დოკუმენტს, რომლითაც მომჩივანი ცდი-

ლობს თავისი შეღახული უფლებების აღდგენას და (ან) უფლებების დამრღვევის დასჯას.

მაგალითად: მოქალაქემ შეიძლება იუსტიციის საბჭოში შეიტანოს საჩივარი და ამა თუ იმ უფლება შემლახავი მოქმედებისთვის მოითხოვოს მოსამართლის დისციპლინარული დასჯა.

სამოქალაქო წარმოებაში პროცესუალურ საჩივრებს წარმოადგენენ:

სააპელაციო საჩივარი; საკასაციო საჩივარი და კერძო საჩივარი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

### §9. სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეებზე სპეციალურ ფორმატზე იწერება სსკ 368-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით.

შეენერდებით რამოდენიმე გარემოებაზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად მიგვანიშნებს ამ საპროცესო დოკუმენტის შედგენის დროს.

კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც:

1. გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული ფაქტობრივად.

აქ იგულისხმება მტკიცების საგნის არასწორად განსაზღვრა; მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილება; სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა არსებულ მტკიცებულუბებთან და ა.შ.

2. გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული იურიდიულად.

აქ უნდა მიეთითოს, თუ რომელი კანონია დარღვეული და რაში გამოიხატება ეს დარღვევა.

კერძოდ, გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, როდესაც:

ა. მასში გამოყენებულია კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებულიყო;

ბ. არ არის გამოყენებული კანონი, რომელიც უნდა გამოყენებულიყო;

გ. გამოყენებული კანონი არასწორად არის განმარტებული.

საჩივარში ასევე უნდა მიეთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ გადაწყვეტილების ფაქტობრივ და (ან) სამართლებრივ უსწორობასა და დაუსაბუთებლობას.

საჩივარში უნდა იყოს მითითება იმ მტკიცებულებებზეც, რომლებიც ადასტურებენ ზემოთ ხსენებულ გარემოებებს.

### 3. სახეზეა ახალი ფაქტობრივი გარემოებები.

ფაქტობრივი გარემოება არის კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა მხარეებს შორის სადარ ურთიერთობისას.

სააპელაციო სასამართლო ახალ ფაქტობრივ გარემოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ საპატიო მიზეზის გამო არ შეგებლათ მასზე მითითება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას.

### 4. სახეზეა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლიტური საფუძვლები.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და იგი უნდა გაუქმდეს, როცა არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლიტური საფუძვლები, რომელთა ნამდვილობის დასაბუთება კმართებს აპელანტს თავის სააპელაციო საჩივარში.

## §10. კერძო საჩივარი

კერძო საჩივარი იწერება სასამართლოს განჩინებებზე და მისი განხილვა წარმოებს ზემდგომ სასამართლოში.

კერძო საჩივრის შესავალ ნაწილში მიეთითება როდის, რომელი სასამართლოს (მოსამართლის) მიერ იქნა გამოტანილი გასაჩივრებული განჩინება.

აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში მიეთითება, თუ რატომ არის განჩინება უკანონო, უსაფუძვლო ან უსამართლო; რომელი კანონი იქნა დარღვეული მოსამართლის მიერ; რომელი ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა შეფასებული სათანადოდ და ა.შ.

დასკვნით ნაწილში მოცემულია მოთხოვნა განჩინების გაუქმების შესახებ და მითითებულია მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.

კერძო საჩივარი შეიტანება იმ სასამართლოში და იმ მოსამართლის სახელზე, ვინც გამოიტანა გასაჩივრებული განჩინება.

## §11. ახსნა-განმარტებითი ბარათი

ახსნა-განმარტებითი ბარათი არაპროცესუალური დოკუმენტია, იწერება განცხადების ფორმით, მაგრამ იგი შეიძლება იყოს გაცილებით ვრცელი და ინფორმაციული. მასში უნდა ჩანდეს პიროვნების ან ორგანიზაციის სურვილი ან მოთხოვნა.

## §12. ხელწერილი

ხელწერილი არის დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია პიროვნების ან ორგანიზაციის პასუხისმგებლობა გარკვეული საკითხებისადმი.

ხელწერილი შეიძლება იყოს მატერიალური, ფინანსური ან მორალური პასუხისმგებლობის ამსახველი.

ხელწერილი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. დოკუმენტის დასახელება;
2. ხელწერილის მიმცემის თანამდებობა, გვარი და სახელი;
3. რისთვის არის გაცემული ხელწერილი ( აქ უნდა აღინიშნოს მატერიალური ფასეულობის, საგნის, დოკუმენტის ზუსტი დასახელება; ფულადი თანხა იწერება სიტყვებით, ფრჩხილებში ციფრებით.)
4. საჭირო შემთხვევაში აღინიშნება, რომელი საბუთის აფუძველზე გაიცა ხელწერილი;
5. თარიღი და მიმღების ხელმოწერა;
6. თუ ხელწერილი დაწერილია დიდ თანხაზე, მასში აღინიშნება მიმღების მისამართი და საპასპორტო მონაცემები;
7. ხელწერილი შეიძლება დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ.

## §13. დახასიათება – რეკომენდაცია.

დახასიათება არის პიროვნების მახასიათებელი თვისებების წერილობითი ჩამოყალიბება.

რეკომენდაცია არის პიროვნების მუშაობის ან საქმიანობის შესახებ დადებითი წერილობითი დახასიათება, რომელიც პიროვნებას მიეცემა სამუშაოზე ან სხვა ორგანიზაციაში წარსადგენად.

ერთი და მეორეც არაპროცესუალური დოკუმენტია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ადვოკატმა თავის კლიენტის პიროვნული თვისებების წარმოსაჩენად.

## §14. ოქმი

ოქმი არის საბუთი, რომელიც ადგენს რაიმე ოფიციალური შეკრების (კრების, სხდომის ან თათბირის) ჩატარების ადგილს, დროსა და მიზანს, დამსწრეთა შემადგენლობას; ასახავს მოსმენილ მოხსენებათა და გამოსვლათა შინაარსს და მიღებულ გადაწყვეტილებას.

შესავალ ნაწილში აღინიშნება, თუ სად, როდის, ვის მიერ და რა საკითხზე იქნა შედგენილი ოქმი;

აღწერილობით ნაწილში ხდება დაკონკრეტება ქმედებისა, რის გამოც შედგა ოქმი.

ოქმი შეიძლება მოიცავდეს დასკვნით ნაწილსაც, მაგალითად: ოფიციალურ შეკრებაზე განხილულ საკითხებზე რა დადგენილება იქნა მიღებული.

ოქმებში აისახება მხოლოდ ძირითადი აზრები, გარემოებები და ფაქტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საკითხის განხილვისთვის.

ოქმის ძირითადი ნაწილებია:

1. საბუთის დასახელება და მისი ნომერი;
2. კრების, სხდომის, თათბირის ჩამტარებელი ორგანიზაციის დასახელება;
3. კრების ჩატარების თარიღი;
4. კრების მონაწილეთა შემადგენლობა;
5. კრების ხელმძღვანელთა გვარები და ინიციალები;
6. დღის წესრიგი;
7. ოქმის ტექსტი, რომელშიც წარმოდგენილია: ა) რა მოისმინეს; ბ) ვინები გამოვიდნენ და გ) რა დაადგინეს
8. კრების თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერა.

## §15. ანგარიში

ანგარიში წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც უნდა წარედგინოს კლიენტს, - ფიზიკურ პირს, დაწესებულებას, ან წარმოებას, შესრულებული სამუშაოსათვის ფულის მისაღებად.

ანგარიშის სტრუქტურა შემდგენილია:

1. აღინიშნება, ვის ეძლევა ანგარიში;
2. ვინ იძლევა ანგარიშს;
3. დოკუმენტის დასახელება;

4. იმ დოკუმენტის (კონტრაქტის) დასახელება, რის საფუძველზეც გაიცა ანგარიში;

5. აღნიშვნა იმისა, თუ რისთვის უნდა იქნეს მიღებული განკუთვნილი თანხა

6. ჯამი ფულისა, რომელიც გაიცემა ამ ანგარიშით;

7. თარიღი და ხელმოწერა.

## §16. ცნობა

ცნობა წარმოადგენს ცალკეულ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის რომელიმე ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხშირ შემთხვევაში მიზანდასახულია, რის გამოც იგი შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ ორგანიზაციამ, რომლისთვისაც არის განსაზღვრული.

ზოგჯერ ცნობა გაიცემა ზოგადი მითითებით: „მოთხოვნის აღვილზე წარსადგენად“

ცნობა შედგება შემდეგ ნაწილებისგან:

1. იმ ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, რომელმაც გასცა ცნობა;

2. ცნობის სარეგისტრაციო ნომერი და მისი გაცემის თარიღი;

3. დოკუმენტის დასახელება;

4. იმ პირის დასახელება, ვისაც ეძლევა ცნობა;

5. ცნობის ტექსტი;

6. ცნობის მიზანი;

7. ბეჭედი და ხელმოწერა.

## §17. წერილი - შეკითხვა

წერილი - შეკითხვა წარმოადგენს მიმართვას განსაზღვრული ადრესატისადმი იმ მიზნით, რომ მიღებული იქნეს საჭირო ცნობები, განმატებები, მითითებები ან დოკუმენტები.

წერილ-შეკითხვაში დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რისთვისაა საჭირო ეს ცნობები და დოკუმენტები.

წერილი-შეკითხვა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. კუთხის შტამპი, რომელზეც აღნიშნულია გამგზავნის დასახელება და მისამართი. (შტამპი საჭირო აღარ არის, თუ წერილი-შეკითხვა სრულდება ბლანკიან (ტიტულოვან) ფურცელზე);

2. წერილის ნომერი და თარიღი;
3. მიმღები ორგანიზაციის და თანამდებობის პირის დასახელება და მისამართი;
4. წერილის ტექსტი;
5. გამგზავნი პირის ხელმოწერა.

### §.18 წერილი – თხოვნა

წერილი-თხოვნა წარმოადგენს მიმართვას დაწესებულების ან საწარმოს მიმართ და შეიცავს თხოვნას დახმარების შესახებ.

წერილი-თხოვნის მთავარი შემადგენელი ნაწილები იგივეა, რაც წერილი-შეკითხვისა.

### §19. რეკლამაცია (პრეტენზია)

რეკლამაცია (პრეტენზია) ეწოდება მოთხოვნას ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილი დანაკარგების ანაზღაურების შესახებ, რომელიც წარედგინება დამრღვევ მხარეს.

რეკლამაციის შემადგენელი ნაწილებია:

1. რეკლამაციის გამგზავნის კუთხის შტამპი ან ტიტულოვანი ფურცელი სადაც აღინიშნება დოკუმენტის ნომერი და თარიღი;
2. იმ ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის დასახელება, რომელსაც გამოეცხადა პრეტენზია;
3. რეკლამაციის შინაარსი;
4. დანართების ჩამონათვალი;
5. ხელმოწერა

### §20. ხელშეკრულება

ხელშეკრულება წერილობითი შეთანხმებაა, რომელსაც დებს ორი მხარე განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ან სხვა ფაქტის გამო.

ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილებია:

1. დოკუმენტის დასახელება;
2. დოკუმენტის შედგენის თარიღი და ადგილი;
3. ხელშეკრულების მონაწილე მხარეების დასახელება;
4. ხელშეკრულების დადების იურიდიული საფუძველი;

5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მოცულობის დახასიათება;
6. შესრულების ვადები;
7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება და ანგარიშის წესი;
8. სანქციები ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში;
9. დავის განხილვის წესი;
10. მხარეთა იურიდიული მისამართები;
11. მხარეთა ხელმოწერები.

## §21. აქტი

აქტი არის საბუთი, რომელიც შედგენილია რამდენიმე პირის მიერ გარკვეული ფაქტების ან მოვლენების დასადასტურებლად.

აქტის დადასტურებას წინ უძღვის შესაბამისი ფაქტებისა და მოვლენების ყოველმხრივ შესწავლა და დასაბუთება უღაო მტკიცებებით, რომლებიც დადგენილია იმ პირთა მიერ, ვინც იღებდა მონაწილეობას ამ აქტის შედგენაში.

აქტს ხელს აწერს ყველა, ვინც მონაწილეობს ფაქტების შემოწმებაში და თუ რომელიმე მონაწილე არ ეთანხმება აქტში დაფიქსირებულ დასკვნებს, - უფლება აქვს აქტშივე წარმოადგინოს თავისი აზრი და ამის შემდეგ მოაწეროს ხელი.

აქტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. საბუთის დასახელება;
2. შედგენის ადგილი და თარიღი;
3. აქტის შემდგენელ პირთა სახელი და გვარი;
4. აქტის შედგენის საფუძველი;
5. აქტის შინაარსი (ფაქტების და მოვლენების აღწერა);
6. დანართის ნუსხა (თუ არის);
7. აქტის შემდგენელთა ხელმოწერები.

## თავი მეექვსე

### ადვოკატი სასამართლოში

#### §1. მოსამზადებელი პერიოდი.

სასამართლოში საქმის არსებითად განხილვამდე, ანუ მოსამზადებელ პერიოდში, ადვოკატმა მაქსიმალური ზომები უნდა მიიღოს სათანადო მტკიცებულებების შეკრება, მოძიებასა და გამოთხოვაში.

რაც უფრო აქტიური და ნაყოფიერი იქნება ადვოკატის მოქმედებები მოსამზადებელ ეტაპზე, მით უფრო ხარისხიანი და შედეგიანი იქნება დაცვა და მტკიცება მთავარ სხდომაზე.

დოკუმენტის გამოთხოვის პროცედურა პირობითად შეიძლება დაკყოთ სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე თვითონ კლიენტი ცდილობს სათანადო ორგანოსგან მიიღოს სასურველი ცნობა (საბუთი); თუ კლიენტმა ეს ვერ შეძლო, მეორე ეტაპზე ერთვება ადვოკატი და თუ მის მიმართვასაც არ მოჰყვა სასურველი შედეგი, იგი შუამდგომლობით შედის სასამართლოში და ითხოვს დახმარებას დოკუმენტის გამოთხოვაში.

§1.1. შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა. მითითებას იმ გარემოებაზე, რომ გამოსათხოვ დოკუმენტს აქვს დაცვის პოზიციისთვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა;

ბ. მითითებას იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული დოკუმენტი იმყოფება კონკრეტულ ორგანიზაციაში (თანამდებობის პირთან) და მისი გამოთხოვა მხარემ სცადა, მაგრამ – უშედეგოდ;

გ. თხოვნას, რომ სასამართლომ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტი. (აქვე მითითებული უნდა იყოს ზუსტი რეკვიზიტები დოკუმენტისა და იმ ორგანიზაციისა (თანამდებობის პირისა) ვისგანაც უნდა მოხდეს დოკუმენტის გამოთხოვა.)

თუ ინფორმაცია ტექნიკური საშუალებებითაა დაფიქსირებული – ადვოკატმა სათანადო შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს, ამ ინფორმაციის მტკიცებულებად მიღება-ჩართვაზე, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო და პირადი საიდუმლოებების დაცვის გათვალისწინებით.

ადვოკატმა წინდახედულება უნდა გამოიჩინოს და მის მიერ მოპოვებული მასალები (დოკუმენტები) კლიენტს ხელში არ ჩაუგდოს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ კლიენტმა ეს დოკუმენტები გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის მიმართ ანგარიშსწორების იარაღად. მაგალითად: დაიწყოს ამ დოკუმენტებით მანიპულირება, შანტაჟი, მუქარა, გამოძალვა და ა.შ.

ასეთ შემთხვევაში ადვოკატმა მიღებული დოკუმენტები პირდაპირ სასამართლოს უნდა წარუდგინოს.

მსგავსი დამოუკიდებლობის უფლება ეძლევა ადვოკატს იმ შემთხვევაში, თუ იგი კეთილსინდისიერად უდგება როგორც კლიენტის ინტერესებს, ისე კანონიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვას.

§1.2. შეცდომების გამოსწორება უნდა მოხდეს მოსამზადებელ ეტაპზე.

ადვოკატის უპირველესი შეცდომა მის თავდაჯერებაში მდგომარეობს, როდესაც მას ჰგონია, რომ ყველაფერი გააკეთა და შეუძლია მშვიდად დაელოდოს პროცესს.

მაგალითი: კლიენტი ითხოვს გასესხებული თანხის დაბრუნებას. ადვოკატმა მოამზადა სარჩელი; დააყენა ზემოთ ხსენებული მოთხოვნა; დაურთო სათანადო დოკუმენტები და დაელოდა მთავარ სხდომას.

პროცესზე კი გაირკვა, რომ სასარჩელო მოთხოვნაში გამორჩენილი იყო უმთავრესი დეტალი, კერძოდ: არ იყო მითითებული, რომ მოთხოვნის უყრუნველყოფა მომხდარიყო იპოთეკით დატვირთული საგნით.

მოსამართლე ბუნებრივია, ამ შეცდომას თავისი ინიციატივით ვერ გამოასწორებს ვინაიდან სამოქალაქო საქმის წარმოებისას ასეთი ინიციატივის უფლება მას არა აქვს.

სამწუხაროდ, მთავარ სხდომაზე ვედარც ადვოკატი გამოასწორებს აღნიშნულ შეცდომას, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებული ფორმით წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე.

შესაბამისად, ადვოკატის უყურადღებობამ და უსაფუძვლო თავდაჯერებულობამ დააზარალა კლიენტი, რადგან მას ახალი სარჩელის შეტანა მოუწევს იპოთეკით დატვირთული საგნის რეალიზაციაზე, მაშინ როცა ეს მოთხოვნა პირველივე სარჩელში შეიძლებოდა დამდგარიყო და დაკმაყოფილებულიყო.

ადვოკატს უნდა ახსოვდეს: ნებისმიერ და ერთი შეხედვით უმნიშვნელო საქმესაც (მაგალითად ალიმენტს) ძირფესვიანი შესწავლა სჭირდება დაცვის სწორი პოზიციის შესარჩევად და წარსამართლავად. ეს კი თავის მხრივ, საჭიროებს ამ საქმის ირგვლივ ცოდნას, გამოცდილებას, პრაქტიკას, ერთგულებას და ყურადღებუიანობას.

§1.3. ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნისას ადვოკატმა ყურადღება უნდა მიაქციოს კითხვების სწორად და სრულყოფილად დასმას.

აქვე გასათვალისწინებელია დამატებითი ცოდნის აუცილებლობა, რომელიც ადვოკატმა უნდა შეიძინოს იმ საკითხების ირგვლივ, რაზეც ტარდება ექსპერტიზა.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი და შენიშვნები ექსპერტიზის დასკვნის მიმართ, მას შეუძლია მოითხოვოს განმეორებითი ექსპერტიზა და (ან) ექსპერტის დაკითხვა.

§1.4. კლიენტის პროცესისთვის მომზადება ასევე შედის ადვოკატის მოვალეობაში და ესეც უნდა მოხდეს მთავარ სხდომამდე.

ამ დროს ადვოკატმა თავის დაცვის ქვეშ მყოფს უნდა გააცნოს მხარის უფლება-მოვალეობები; უნდა მისცეს სათანადო რჩევები, თუ როგორ მოიქცეს პროცესზე; რისგან შეიკავოს თავი; რა დროს რა თქვას და რა არ თქვას; რომ გამოხატოს პატივისცემა სასამართლოს და მონაწილე მხარეების მიმართ და აუხსნას პასუხისმგებლობათა შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს წესების დაღვევას სასამართლო პროცესზე.

(ყოფილა შემთხვევა, როცა მოსარჩელის ნევროზულმა და უზრდელურმა გამოხტომებმა იმდენად გააღიზიანა მოსამართლე, რომ მხოლოდ ამის გამო არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი)

§1.5. შუამდგომლობის დაყენება აქტიურობის ნიშანია, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალი და უსაფუძვლო შუამდგომლობის წარდგენა შეიძლება მეტყველებდეს არა ადვოკატის აქტიურობაზე, არამედ ხაზს უსვამდეს მოსამზადებელ ეტაპზე დამცველის უმოქმედობას; დაბნეულობას და არაპროფესიონალიზმს, რაც აღიზიანებს მოსამართლეს და უარყოფითად განაწყოებს დამცველისადმი.

§1.6. მტკიცებულების წარდგენის დაყოვნებას თან ახლავს რისკი და საშიშროება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ

მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ სასამართლომ წარდგენილი შუამდგომლობები და მტიცებულებები შეიძლება აღარ მიიღოს წარმოებაში, შესაბამისად – არ განიხილოს იგი და ამით დაზარალდეს კლიენტი.

ამიტომ, თუ მოსალოდნელია ამა თუ იმ მტიცებულების წარდგენის შეყოვნება, ადვოკატმა მოსამზადებელ ეტაპის დასასრულამდე ცალკე მოტივირებული შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს, რომ ეს შეყოვნება ჩაუთვალოს საპატიოდ.

შესაძლებელია, მტიცებულების წარდგენის შეყოვნება დაცვის ტაქტიკა იყოს კონკრეტულ საქმეზე, მაგრამ ადვოკატს სიფრთხილე ჰმართებს, რომ ამ ტაქტიკით ზიანი არ მიაყენოს მარწმუნებელს (კლიენტს).

§1.7. მტიცებულების მიკუთვნება კონკრეტულ დავასთან უნდა მოხდეს მოსამზადებელ ეტაპზე და უნდა გამოირიცხოს ისეთი მტიცებულება, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კონკრეტულ დავის გადაწყვეტაში სამართლებრივი მნიშვნელობა ვერ ექნება.

მაგალითი: მოსარჩელემ წარადგინა მორიგების ხელწერილი, რაზეც ხელს აწერს მოპასუხეც და ადასტურებს სადაო მიწის ნაკვეთის ჩუქების ფაქტს.

ასეთი მტიცებულება ვერ შევა მტიცების საგანში და ვერ გადაწყვეტს კონკრეტულ დავას, ვინაიდან მსგავს ხელწერილებს არანაირი სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს, როცა საქმე ეხება უძრავი ქონების გასხვისებას.

§1.8. მტიცებულებათა გამოვლენა როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ხდება დამცველის საუბრით მარწმუნებელთან ჯერ კიდევ კონსულტირების პერიოდში.

ამ საუბრის დროს ადვოკატი მონიშნავს და აფიქსირებს იმ ფაქტობრივ მონაცემებსა და მტიცებულებებს, რომლების აუცილებელია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან თავდასაცავად.

შესაძლებელია, მოქალაქემ ისეთი მტიცებულება წარმოადგინოს, რომელსაც მნიშვნელობა არა აქვს საქმისთვის, ან პირიქით: შესაძლებელია კლიენტს გააჩნია მტიცებულება, რომელიც მას უმნიშვნელოდ მიაჩნია, საქმისთვის კი – არსებითია.

აქედან გამომდინარე, ადვოკატს განსაკუთრებული ყურადღება და ძალისხმევა ჰმართებს საჭირო მტიცებულებათა გამოვლენა – შეგროვებისა და დროულად წარდგენისათვის.

სამწუხაროდ, ყველა მოძიებული და მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად დამაგრება არ ხდება, ვინაიდან მტკიცებულებად ჩაითვლება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მიიღება სარწმუნო წყაროდან და - კანონით გათვალისწინებული ფორმით.

მაგალითად: მოწმის წერილობითი ჩვენება სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ არ მიიღება მტკიცებულებად, ვინაიდან მოწმის დაკითხვა ითვალისწინებს არა მხოლოდ მის ჩვენებას, არამედ - მის პასუხებსაც მხარეების მიერ დასმულ კითხვებზე.

§1.9. მტკიცებულებათა ბაზის გამყარება ხდება იმ ინფორმაციითაც, რომელიც შემდგომში შეიძლება მტკიცებულებად ვერ იქცეს, მაგრამ განამტკიცოს ადვოკატის პროზიციები და მოსამართლეს შეუქმნას სათანადო შინაგანი რწმენა.

მაგალითი: ძმამ მეორე ძმას აჩუქა ხეხილიანი ნაკვეთი. როდესაც გამჩუქებელი გარდაიცვალა, მისმა ცოლმა (ნ-მა) გაიფორმა ქმრის სამკვიდრო და მათ შორის ზემოთ ხსენებული ნაკვეთიც, ვინაიდან გაჩუქება მოხდა შინაურულად, - ნოტარიული და რეესტრული გაფორმების გარეშე.

ამის შემდეგ ნ-მა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა არა მხოლოდ ხელის შეშლის აღკვეთა, არამედ ზარალის ანაზღაურებაც.

მოპასუხის ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა სოფლის მოსახლეობის ხელმოწერებით შედგენილი განცხადება, რომლითაც ისინი ადასტურებდნენ ჩუქების ფაქტს, გამოდნენ ნ-ს ამორალურ ქმედებას და ითხოვდნენ მოწმეებად დაკითხვას.

სასამართლო ასეთ განცხადებას მტკიცებულებად ვერ მიიღებდა და არც მოწმეებად დაკითხავდა განმცხადებლებს, მაგრამ ყველაფერი ეს გათვლილი იყო მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად და ზნეობრივ-ტრადიციული ფასეულობების წარმოსაჩენად.

შედგეიც დადგა: სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების ნაწილში.

§1.10. დავის დეესკალაცია, ანუ მხარეთა მორიგება ასევე წარმოდგენს მოსამზადებელ ეტაპზე გადასაწყვეტ საკითხს, რომელისკენაც ყოველთვის ისწრაფვის სასამართლო, მაგრამ ხშირად არ მოსდევს შედეგი, ვინაიდან სასამართლოში მხარეები მოუმზადებლები მოდიან მორიგებისთვის, რაშიც ნებით თუ უნებლიედ სცოდავენ მათი დამცველი ადვოკატები.

სასამართლოში მოსულ დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთთან გაწყვეტილი აქვთ კავშირი, რისი აღდგენაც თვითონ უჭირთ. სწორედ აქ უნდა წაახმარონ ხელი ადვოკატებმა, ანუ - დაეხმარონ მხარეებს ჯანსაღი კავშირის აღდგენაში გარკვეული კომპრომისებისა და ურთიერთდათმობების ხარჯზე.

არაეთიკურია, - როცა ხელშეწყობის ნაცვლად ადვოკატები ხელს უშლიან მორიგებას. (მით უფრო, როცა დაპირისპირებული მხარეები ერთი ოჯახის წევრები არიან).

ხშირად ასეთი ხელისშეშლის მიზეზი ადვოკატის მომგებიანი პოზიციაა, ან მას ანგარება ამოძრავებს და ფიქრობს, რომ ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებისას მიიღებს დამატებით გასამრჯელოს.

მორიგებისთვის მზადებისას ადვოკატებმა უნდა დაარწმუნონ მხარეები იმ რეალობაში, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ფსიქოლოგიურ - მორალური დაკმაყოფილების მიღწევა, რაც უმტესწილად, შესაძლებელია სწორედ მორიგებით, ანუ დავის გადაწყვეტის მშვიდობიანი გზით.

უნდა გვახსოვდეს: პრობლემა უთანხმოებას ბადებს; უთანხმოება მეტოქეობას წარმოშობს; ხოლო მეტოქეობა ბრძოლისა და ომის პირველწყაროა, რა დროსაც მხარეები ურთიერთდაჯაბნის, დაზიანების და განადგურების მიზნებით არიან შეპყრობილნი.

სწორედ ამ შემთხვევაში ჰმართებს ადვოკატს, შეეცადოს კონფლიქტის დეესკალაციას სასამართლოში დავის არსებითად განხილვამდე.

დავის დეესკალაციის ძირითადი პრინციპებია:

1. ადვოკატი უნდა დაეხმაროს თავის კლიენტს, რომ მან აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე და აღიაროს თავისი წვლილი კონფლიქტის გაღვივებაში.

2. ადვოკატი უნდა შეეცადოს, რომ მოპირისპირე მხარის ქცევამ თავისი კლიენტი მანიპულაციის საგნად არ აქციოს, ანუ - არ გადაახვევინოს საკუთარ ეთიკურ ნორმებს.

3. ადვოკატი უნდა დაეხმაროს თავის კლიენტს, რომ გაითვალისწინოს მოპირისპირე მხარის ინტერესები და დადებით ემოციებზე ორიენტაციით დაძლიოს ჯიბრი, პატივმოყვარეობა და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები.

დავის კონსტრუქციული გზით წარმართვისას შესაძლებელია აღმოვაჩინოთ, რომ სასამართლოს ჩარევის გარეშე შეიძლება პრობლემების გადაჭრა, ვინაიდან ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია ურთიერთდამომობებისა და კომპრომისების ხარჯზე.

## §2. მთავარი სხდომა

როცა საქმე საკმარისად მომზადებულია, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, საქმის არსებითად განხილვის მიზნით, იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისთვის.

თუ სასამართლო პროცესზე მონაწილეობს მხარე (მოსარჩელე და მოპასუხე) იგი იძლევა ახსნა განმარტებას ფაქტობრივ გარემოებებზე, ხოლო სამართლებრივ საკითხებზე ყურადღებას ამახვილებს ადვოკატი.

თუ პროცესზე მონაწილეობს მხოლოდ ადვოკატი, (რწმუნებულის სტატუსით) მაშინ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე იგი იძლევა ინფორმაციას, მაგრამ – არა ახსნა-განმარტებას.

თუ რწმუნებული მარწმუნებლის სახელით მისცემს ახსნა-განმარტებას, ასეთი ინფორმაცია ვერ ჩაითვლება მტკიცებულებად, სანამ დადასტურებული არ იქნება მარწმუნებლის მიერ.

მაგალითად: თუ რწმუნებული იტყვის: „ჩემმა მარწმუნებელმა ნამდვილად ისესხა ფული მოსარჩელისგან“.

ასეთი ახსნა-განმარტება ვერ ჩაითვლება სესხის აღიარებად და მხოლოდ მასზე დაყრდნობით სარჩელის დაკმაყოფილება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იქნება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულმა ადვოკატმა უნდა დააყენოს შუამდგომლობა, რომ ახსნა-განმარტება მისცეს უშუალოდ მხარემ და არა მისმა რწმუნებულმა.

§2.1. მოსამართლის დარწმუნება ერთერთი მთავარი ამოცანაა ადვოკატისთვის სასამართლოში საქმის წარმოებისას და ძირითადად, ეს ხდება სწორედ მთავარ სხდომაზე, როდესაც არსებული მტკიცებულებებითა და მსჯელობით ადვოკატი ზემოქმედებს მოსამართლეზე; არწმუნებს სასამართლოს თავისი პოზიციის სიმართლეში და ეხმარება ჭეშმარიტების დადგენაში.

ჭეშმარიტების დადგენა სასიკეთოა, მაგრამ იგი მაინც მოსამართლის პრეროგატივაა.

ადვოკატისთვის ჭეშმარიტების დადგენაზე წინ ყოველთვის დგას კლიენტის ინტერესები.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პროცესში ადვოკატს არ უნდა დააფიქვდეს, რომ მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სამართლებრივი დახმარება აღმოუჩინოს კლიენტს და აქედან გამომდინარე, არ უნდა იმოქმედოს მის საზიანოდ.

**§2.2. მტკიცებულებათა მიმართ კომენტარების გაკეთება ადვოკატის უფლებაა და არა ვალდებულება.**

ამ უფლებით ადვოკატმა უნდა ისარგებლოს ზომიერად, თავისდროულად და გონივრულად.

უმჯობესია, ადვოკატმა მოსამართლის ყურადღება მიაპყროს მტკიცებულებათა შინაარსისა და ფორმის ზოგ თავისებურებებს და შესთავაზოს მათი შეფასების საკუთარი ვარიანტი.

**§2.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნა დასაშვებია მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მაგრამ უმჯობესია, ადვოკატი მოერიდოს ასეთ შუამდგომლობას, ვინაიდან დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ხშირად თან ახლავს ნეგატიური შედეგები.**

კერძოდ: ხშირად უქმდება ასეთი გადაწყვეტილება; საქმე ჭიანჭურდება; გარემოებები შეუსწავლელი რჩება და ა.შ.

**§2.4. მხარეების და მოწმეების (ექსპერტის, სპეციალისტის) დაკითხვის ხელოვნება ადვოკატისგან მოითხოვს გარემოებების კარგად ცოდნას, აგრეთვე - სათანადო ტაქტს, კორექტულობას, მათდამი პატივისცემას, ნათელი, მოკლე და თანამიმდევრული შეკითხვების მიცემას და ა.შ.**

რამდენიმე მოწმის არსებობის შემთხვევაში ადვოკატმა დასაკითხად უნდა შეარჩიოს ისეთი, - რომელიც პირველწყაროა სასურველი ინფორმაციისა.

ადვოკატმა უნდა გააფრთხილოს თავისი კლიენტი თუ რა, როგორ და როდის უნდა დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს, ან ურჩიოს - საერთოდ თავი შეიკავოს შეკითხვების დასმისგან.

**§2.5 დაცვის აქტიური საშუალება გარკვეულწილად აგრესიული ფორმისაა და მისი მიზანია სასამართლოს იძულება - ყურად იღოს დამცველის აზრი, ხედვა და პოზიცია.**

ზემოთ ხსენებული აქტივობა განსხვავდება მოჩვენებითი აქტივობისგან, როცა ადვოკატი მხოლოდ მსმენელზე „თამაშობს“ ხოლო კლიენტის პრობლემის გადაჭრაზე ნაკლებად შესტკივა გული.

აქტიური დაცვა გულისხმობს კლიენტისთვის სასარგებლო ფაქტებისა და მტკიცებულებების მოძიებას; დრული და საფუძვლიანი შუამდგომლობების დაყენებას; საჩივრებს და ა. შ.

გასათვალისწინებელია, რომ დაცვის ასეთი მეთოდი წარმოშობს კონფლიქტებს, ამიტომ ადვოკატი, რომელიც ირჩევს დაცვის ასეთ სქემას, მკაცრად უნდა განსაჯოს თითოეული თავისი მოქმედების კანონიერება.

§2.6 პასიური დაცვა არ ნიშნავს ადვოკატის მხრიდან მოვალეობისადმი ფორმალურ მიდგომას.

პასიური დაცვის დროს ადვოკატი არ ამჟღავნებს თავის ვერსიებს და სასამართლოს თავს არ ახვევს თავის პოზიციებს და ამას აკეთებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგალითად მხარეთა შორის მორიგების პროცესში ან როცა ადვოკატი აშკარად ხედავს, რომ თავისი კლიენტის სასარგებლოდ მიდის პროცესი.

§2.7. შერეული ფორმის დაცვა ეს არის აქტიური და პასიური დაცვის ფორმების ერთობლივად და ეტაპობრივად გამოყენება.

ეს მეთოდი ეფექტურია იმით, რომ ამცირებს „გადამლაშების“ საშიშროებას და ანეიტრალებს კონფლიქტურ სიტუაციას.

§2.8 სხდომის ოქმისადმი ყურადღება ადვოკატის ვალდებულებაა.

სასამართლო პროცესის დროს ადვოკატის ყურადღება უნდა იყოს მიპყრობილი სხდომის მდივნისკენაც, რათა მან მოასწროს და ოქმში სრულყოფილად დააფიქსიროს ყველა საჭირო ინფორმაცია.

საქმის დასრულების შემდეგ ადვოკატი ვალდებულია, დროულად გაეცნოს სხდომის ოქმს და წარადგინოს შენიშვნებიც, თუ აღმოაჩენს შეუსაბამობას პროცესის მიმდინარეობასა და საოქმო ჩანაწერებს შორის.

§2.9.1. დასკვნითი, საპაექრო სიტყვა

დასკვნითი სიტყვა სამოქალაქო საქმეზე შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

ა. ადვოკატის პოზიციის გამოკვეთა;

ბ. მტკიცებულებითი ნაწილი. ამ დროს ხდება იმ მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზი, რომლებიც ამტკიცებენ ადვოკატის პოზიციას. აქვე შედის მოწინააღმდეგის პოზიციის უარყოფელი მტკიცებულებებიც.

გ. მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასება;

დ. დასკვნები საქმეზე.

ე. საპაექრო სიტყვაში ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესავალი ნაწილი, აქცენტები სხვადასხვა მომენტებზე; ემოციურ - ლოგიკური და ეთიკური გადახვევები.

პროცესზე განუხილველი მტკიცებულებები მხედველობაში არ მიიღება, მაგრამ თუ გამოვლინდა გარემოებები, რომელსაც საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, - მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება საქმის განხილვის განახლებისა.

ამ დროს განიხილება ეს ახლად გამოვლენილი გარემოებები და ადვოკატსაც შემდეგ შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული მტკიცებულება საპაექრო სიტყვაში.

სასამართლო კამათის დროს, თავის დასკვნით სიტყვაში, ადვოკატი აყალიბებს ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც წინ უძღოდა დავას და მიუთითებს ამ დავის წარმოშობის მიზეზებზე.

დასკვნით სიტყვაში კლიენტთან შეჯერებული პოზიციის ჩამოყალიბების შემდეგ ადვოკატმა უნდა აჩვენოს და ხაზი გაუსვას ამ პოზიციის შესაბამისობას კანონთან და იმ მტკიცებულებებთან, რომელიც შესწავლილ იქნა სასამართლო პროცესზე.

§2.9.2 დასკვნითი სიტყვის ანალიზი და თავისებურებები.

ადვოკატმა დასკვნით სიტყვაში უნდა გაანალიზოს:

1. მტკიცებულებები, რომელიც მისი კლიენტის პოზიციებს განამტკიცებს;

2. კლიენტის პოზიციის უარყოფელი მტკიცებულებები და აქვე აჩვენოს ამ მტკიცებულებათა აბსურდულობა და უსაფუძვლობა.

3. დავას მისცეს სამართლებრივი შეფასება და მიუთითოს მარეგულირებელ ნორმებზე.

4. მოიხსენიოს და გაანალიზოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მსგავს საკითხებზე.

დასკვნითი სიტყვა ადვოკატების ნამდვილი საშუალებაა, რა დროსაც ადვოკატის მთელი ორგანიზაციულ-ანალიტიკური, განმარტებითი და ექსპერტული უნარები მიმართულია დაარწმუნოს მოსამართლე თავისი პოზიციის მართებულებაში.

წარმატების მისაღწევად დასკვნით სიტყვაში წარმოდგენილი არგუმენტაცია უნდა იყოს ლოგიკური, სარწმუნო და სამართლებრივად გამართული.

განსაკუთრებით ეფექტურია, თუ მოწინააღმდეგეს თავის საკუთარ სიტყვებს ან დოკუმენტებს დაუპირისპირაბთ.

უადო ფაქტები მოიცავენ ჩვენებებს, ნივთმტკიცებებს და სხვა მტკიცებულებებს, რაც თქვენ წარმოადგინეთ, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს არ გაუქარწყლებია.

კამათის ეტაპზე ადვოკატს გამოაქვს დასკვნები და ამტკიცებს მათ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, თუმცა მხოლოდ დასკვნები საკმარისი არ არის, თუ მათ არ ახლავს განმარტება, რაც დასკვნის სისწორეს და წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მის კავშირს დაადასტურებს.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად გამოიკვეთება დეტალები, რომლებსაც გარკვეულ დასკვნებამდე მიყავართ. აღნიშნულ დეტალებს ადვოკატი ერთმანეთთან დააკავშირებს დასკვნით სიტყვაში, რაც სასურველ შედეგს დააყენებს.

გარემოებითი მტკიცებულებების ღირებულებებისა და დამაჯერებლობის ასახსნელად კარგი ქნება თუ გამოვიყენებთ ანალოგიებს.

ანალოგიას გააჩნია უნარი ახსნას ადამიანური ქცევა სხვა ადამიანური ქცევის მეშვეობით.

შესაბამისად, მოწმის ჩვენება შესაძლებელია გაძლიერდეს ან შესუსტდეს მოვლენათა შემოთავაზებული ვერსიის შედარებით საყოველთაოდ აღიარებულ და გასაგებ გამოცდილებასთან ან საქმიანობასთან.

მოწმეთა მოტივების და სარწმუნოების კომენტარებისას ადვოკატს შეუძლია აუხსნას მოსამართლეს, თუ რატომ აზვიადებს მოწმე, რატომ მაღავს ინფორმაციას, რატომ იტყუება და რატომ არ უნდა ირწმუნონ მისი.

ამგვარად ხდება მოწინააღმდეგე მხარის პოზიციების გაქარწყლება შეცდომების, შეუსაბამობების და წინაარმდეგობების წარმოჩინებით.

დამაჯერებელი საპაექრო სიტყვა არგუმენტებზე უნდა იყოს აგებული, რომელიც ერთის მხრივ, გულისხმობს მეორე მხარის დარწმუნებას, ხოლო მეორეს მხრივ, - არგუმენტაციის არსი მდგომარეობს სხვათა აზრის გამართლება - უარყოფაში და სხვათა პოზიციის შეცვლა - შესუსტებაში.

ადვოკატი უნდა იყოს ორატორი და არა ინფორმაციის მიმწოდებელი, ვინაიდან ორატორი გარდა ინფორმაციის მიწოდებისა, იყენებს შთაგონება - დარწმუნების მეთოდებსაც.

ადვოკატის დაცვითი სიტყვა გაჯერებული უნდა იყოს აზრით, ვიდრე სიტყვებით და აზროვნებით, ვიდრე - ლაპარაკით.

დასკვნითი სიტყვა თვალნათლივი და ლოგიკური უნდა იყოს.

სიტყვის თვალნათლივობა მდგომარეობს მის მისაწვდომობაში, რომ იგი გასაგები იყოს მსმენელისთვის.

ხოლო სიტყვის ლოგიკურობა მდგომარეობს მისი შინაარსის თანამიმდევრულად გადმოცემას ლოგიკის კანონონების დაცვით, რისთვისაც საჭიროა დაცვითი სიტყვის გეგმის და კომპოზიციის შემუშავება.

დასკვნითი სიტყვის გეგმა - ესაა მისი შინაარსის სქემა, რომელშიც აისახება ერთი აზრიდან მეორეზე გადასვლის ლოგიკა, ისე რომ, მეორე აზრი გამომდინარეობდეს პირველიდან; მესამე - მეორიდან და ა.შ.

დაცვის კომპოზიციის მეშვეობით ხდება ზემოთ ხსენებული გადასვლები და იგი შეიცავს დაცვითი სიტყვის შესავალს, მთავარ ნაწილსა და დასკვნას.

დასკვნითი სიტყვის ლაკონურობა ნიშნავს განთავისუფლებას იმ ზედმეტი სიტყვებისა და აზრებისგან, რომლებიც ხელს უშლიან მთავარი აზრის განვითარებასა და ეკონომიურობასა.

სიტყვის ექსპრესიულობა ნიშნავს სიტყვის გამოხატვა-გამომსახველობას, (განცდებისა და გრძნობების გამოხატვას), და იგი საჭიროა იმისთვის, რომ შეინარჩუნო მსმენელის ყურადღება და ინტერესი. გაუადვილოს მასალის აღქმა და დამახსოვრება.

### §3. გასაჩივრება.

საჩივრის შეტანა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში შეუძლიათ მხოლოდ მხარეებს, აქედან გამომდინარე -

თუ ადვოკატს შეაქვს საჩივარი, იგი აღჭურვილი უნდა იყოს მინდობილობით, რითაც მინიჭებული ექნება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

გასაჩივრების აზრი და მიზანი უნდა იყოს სასურველი შედეგის დადგომა. ამიტომ, ადვოკატმა კლიენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ურჩიოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, თუ საჩივარი საფუძვლიანია და გამომდინარეობს როგორც კანონიდან, ისე საქმის მასალებიდან.

კანონის უცოდინრობა და უყურადღებობა არავის ეპატიება, ამიტომ აპელაციის დროს ადვოკატის მიერ თავის მართლება: „არ ვიცოდი, რომ ჩემს კლიენტს ასეთი მტკიცებულება გააჩნდა“ - არ იქნება მიჩნეული საპატიო გარემოებად და სასურველი მტკიცებულებაც დაუშვებლად იქნება ცნობილი, მხოლოდ მის გამო, რომ პირველ ინსტანციაში თავისდროულად არ იქნა იგი წარდგენილი.

თუ ახალ მტკიცებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არის საშიშროება, რომ ამ მტკიცებულებას აპელაცია არ მიიღებს, შესაძლებელია საქმის გამოთხოვა, მოთხოვნის იმ ნაწილში, რისთვისაც ეს მტკიცებულება გვეჭირებოდა. რის შემდეგაც ხელახლა მიემართავთ პირველი ინსტანციის სასამართლოს, აღნიშნულ მოთხოვნით, გადამწყვეტ მტკიცებულებასთან ერთად.

მაგალითად: მოსარჩელე ითხოვდა დანაშაულიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას და სარჩოს დაკისრებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელემ არ წარმოადგინა დანაშაულის შედეგად დაღუპული მარჩენალის ხელფასის ცნობა, აპელაციაში კი აღმოჩნდა, რომ ასეთი ცნობა არსებობდა, მაგრამ მისი წარუდგენლობა საპატიო არ იყო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა გამოითხოვა საქმე სარჩოს დაკისრების ნაწილში და აღნიშნული მოთხოვნით, სათანადო მტკიცებულებასთან ერთად, ხელახლა მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს. (თუმცა არის იმის საშიშროებაც, რომ მეორე მხარე არ დაეთანხმოს აპელანტს - აპელაციაში საქმის გამოთხოვას.)

## თავი მეშვიდე

### საადვოკატო ეთიკა

#### §1. საადვოკატო ეთიკის არსი

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა მხარეს სამართალი ვერ არეგულირებს და ამ დროს მარეგულირებელ ნორმებად გვევლინებიან ე.წ. არასანქციონირებული ქცევის წესები ზნეობისა, ჩვევებისა და სარწმუნოებისა, მათ შორისაა ეთიკაც, რომელიც წარმოადგენს ფილოსოფიური დარგის მეცნიერებას და სწავლობს მორალს, - როგორც ადამიანის და საზოგადოების ერთ-ერთ საციცოცხლო ფასეულებას.

საადვოკატო ეთიკა, - წარმოადგენს პროფესიული ეთიკის ნაირსახეობას, რომელიც არეგულირებს გარკვეული სოციალური ჯგუფის (ადვოკატთა ასოციაციის წევრების) ქცევის წესებსა და მოქმედებებს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოქმედებები არ არის დარეგულირებული სამართლის ნორმებით.

არასწორია იმ ადვოკატის პოზიცია, - რომელიც არ სცნობს ეთიკის პრინციპებს და მიიჩნევს, რომ საადვოკატო საქმიანობაში მთავარია შედეგი, ხოლო რა სახით მიაღწევ ამ შედეგს, მნიშვნელობა არა აქვს (!)

ბზა (ბზობა) საქართველოს ადვოკატთა პროფესიონალური სიმბოლოა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ადვოკატებმა პროფესიონალური ეთიკის უმთავრეს პრინციპად მივიჩნიეთ ქრისტიანული ზნეობა, რაც თავის მხრივ ნიშნავს, - ღვთის სიტყვის, სიმართლის, სიკეთის და სიყვარულის დამკვიდრებისთვის ბრძოლას.

ადვოკატს მუდამ უნდა ახსოვდეს: ის იურიდიული და მორალური ვალდებულებები, რომელიც მას გააჩნია: კლიენტის, სასამართლოს, კოლეგების, საზოგადოების, ქვეყნისა და ღმერთის წინაშე.

ადვოკატს ჰმართებს: იყოს პატიოსანი. ეს ზნეობრივი მოთხოვნა თავის თავში მოიცავს ისეთ სათნოებებს, როგორიცაა: სამართლიანობა, პრინციპულობა, გულწრფელობა, ერთგულება და ა.შ.

ადვოკატის პატიოსნება გამოიხატება კლიენტის დაცვის განხორციელებაში ისე, რომ არ დაარღვიოს მოქმედი კანონმდებლობა და ღვთიური კანონზომიერებანი.

მაგალითად, სულაც არ იქნება კანონდარღვევა, თუ ადვოკატი გაჭირვებულ კლიენტს ათას ლარს მოსთხოვს მომსახურების სანაცვლოდ, მაგრამ იგივე ქმედება აშკარად ჩაითვლება ღვთიური კანონზომიერებისა და შესაბამისად, ქრისტიანული ეთიკის წესების დარღვევად.

მადლის მიღების სურვილი მუდამ უნდა გააჩნდეს დამცველს საადვოკატო საქმიანობის პროცესში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფულზე და მატერიალურ კეთილდღეობაზე უპირატესი უნდა იყოს ღვთიური, უანგარო სიკეთე, რომელიც სინერგიას, ანუ ღვთიურ ენერგიას ქბადებს.

## §2. საპონორარო პოლიტიკა

საპონორარო პოლიტიკას, როგორც ავლნიშნეთ, წინ უნდა უსწრებდეს მადლის მიღების სურვილიც, ანუ - ქრისტიანული ზნეობის კრიტერიუმები, თუმცა, ამავედროულად, პონორარის სიდიდის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

1. საქმის სირთულე;
2. ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობა;
3. კონკრეტულ რეგიონში არსებული მდგომარეობა;
4. კლიენტის სოციალური მდგომარეობა;
5. პროცესის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;
6. იძულებითი უარის თქმა სხვა საქმის წარმოებაზე;
7. სამართლიანობა და გონივრულობა.

## §3. ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტის დროსაც ადვოკატის მოქმედების მთავარი განმსაზღვრელია ეთიკური ნორმები.

ადვოკატს არა აქვს უფლება წარმოდგინოს და დაიცვას ორი ან მეტი კლიენტი, თუ ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ თუ არის რისკი ამ კლიენტების ინტერესთა შეჯახებისა.

ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ახალი კლიენტისადმი მომსახურებაზე, თუ არსებობს საშიშროება იმისა, რომ ასეთმა

მოქმედებამ შეიძლება კომპრომიტირება გაუკეთოს ნდობას, რომელიც ამ ადვოკატის მიართ გამოხატა კლიენტმა.

მაგალითად: ადვოკატმა აღმოაჩინა, რომ უცხო მოქალაქე, რომელიც მასთან მოვიდა და დაწერილებით მოუყვა თავის პრობლემების შესახებ, არის მოპასუხე იმ კლიენტისა, ვისთანაც გააფორმა ხელშეკრულება ერთი კვირის წინ.

ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა არ უნდა გათქვას და არც უნდა გამოიყენოს ის საიდუმლოება, რომელიც ამ მოქალაქისგან უნებლიედ მოისმინა.

#### §4. კოლეგიალურ ეთიკა

კოლეგიალურ ეთიკურ ნორმებიდან ადვოკატს უნდა ახსოვდეს:

1. ადვოკატის დამოკიდებულება კოლეგებისადმი უნდა იყოს აგებული ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე;

2. ადვოკატმა არ უნდა უთხრას უარი თავის კოლეგას კონსულტაციაზე;

3. ადვოკატმა განსაკუთრებული გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს ახალბედა კოლეგების მიმართ, რომელთა წინაშე მუდამ დგას შეცდომის დაშვების რისკი და შიში.

4. ადვოკატმა არ უნდა იჭორაოს თავის კოლეგაზე და არ უნდა დაამციროს იგი;

5. ადვოკატმა უნდა დაიცვას თავისი კოლეგა, თუ მის მიმართ აუგი სიტყვები მოისმინა კლიენტისგან;

6. პროცესუალური დაპირისპირება არ უნდა გადაიზარდოს კოლეგასთან პიროვნულ დაპირისპირებაში;

7. თავის საქმიანობასა და ურთიერთობებში ადვოკატს უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ ის არის ღვთის მსახური და თავის საადვოკატო საქმიანობით ახორციელებს ღვთისგან დაკისრებულ მისიას.

#### თავი მერვე

##### ადვოკატის საქმიანობის ორგანიზაციული საკითხები

ადვოკატის საქმიანობა შემოქმედებითი ხასიათისაა და იგი თვითონ აგებს თავის პროფესიონალურ პოლიტიკას.

კერძოდ: ყოველ ადვოკატს თავისი მეთოდი აქვს კლიენტთან ურთიერთობისა; თავისი ხედვა აქვს – პრობლემების გადა-

ჭრისა; თავისი ტექნიკა და ტაქტიკა აქვს მიზნის მისაღწევად და ა.შ.

შესაბამისად, ბევრი ადვოკატი და არა მხოლოდ ადვოკატი, აღნიშნავს, რომ არ შეიძლება არსებობდეს საადვოკატო საქმიანობის ერთიანი სტანდარტული წესები.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის შემოქმედებითობას ვალიარებთ და ვაფასებთ, მაინც ვრჩებით იმ აზრზე, რომ საქმიანობაში სპონტანურობა ვნებს ადვოკატს, ხოლო საადვოკატო საქმიანობის ეფექტურობა და პროფესიონალური სრულყოფილება აუცილებლად საჭიროებს იმ წესებისა და გამოცდილების გათვალისწინებას, რაზეც ვისაუბრეთ წინამდებარე წიგნში.

## §1. ადვოკატის სამუშაოს დაგეგმარება

ადვოკატის სამუშაოს დაგეგმარება უნდა ხდებოდეს კონკრეტული საქმეების მიხედვით.

ადვოკატის მოქმედება რომ იყოს გააზრებული და თანამიმდევრული, საჭიროა მისი დაგეგმარება, რა დროსაც ხდება სიტუაციების შესაძლო განვითარების მოდელირება.

დაგეგმარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. მიზნების განსაზღვრა;
2. საჭირო ინფორმაციების შეკრება და გაანალიზება;
3. ალტერნატივების განხილვა და არჩევა;
4. სასურველის მიღწევისათვის კონკრეტული ამოცანების დასახვა;
5. ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი მოქმედებების ჩამონათვალი
6. რესურსების განსაზღვრა (რა გვაქვს და რა უნდა გვქონდეს);
7. პრიორიტეტების განსაზღვრა (ჯერ რომელი ამოცანა გადავჭრათ);
8. თანამიმდევრობის განსაზღვრა;
9. პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრა;
10. ვადების განსაზღვრა;
11. რესურსების განაწილება პასუხისმგებელ პირებზე.
12. გეგმის გადასინჯვა-კორექტირება ყოველი პროცესუალური მოქმედებისა და ახალი გარემოებების შემდეგ.

## §2. ლიტერატურა, პრაქტიკა და თვითშეფასება.

ადვოკატმა უნდა იცოდეს ყველა ცნობილი მიდგომა და ნააზრვეი, რაც კონკრეტული პრობლემის (დავის) გადაწყვეტას ეხება.

ამისთვის საჭიროა სპეციალური და მათ შორის სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა, განსაკუთრებით, - როცა რთულ საქმეზე გვიხდება კლიენტის ინტერესების დაცვა.

გვახსოვდეს, რომ სასამართლოზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ადვოკატი, რომელიც თავის სიტყვაში მოიხმობს და იხსენიებს ცნობილი მეცნიერების დოქტრინებს.

ადვოკატმა თვალყური უნდა ადევნოს არა მხოლოდ უზენაესი და სააპელაციო, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა პრაქტიკას და გაითვალისწინოს თავისი გამოცდილი კოლეგების პრაქტიკაც.

კარგია, თუ ადვოკატი სისტემატიურად ეცნობა ზემოთ ხსენებულ პრაქტიკას და სპეციალურ კართოტეკაში აღნუსხავს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების სპეციფიკურ თავისებურებებს.

პროფესიონალური წინსვლის საქმეში ადვოკატს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს თვითკონტროლის და თვითშეფასების ჩვეუად ქცევა, რომელიც ძირითადადში ორიენტირებული იქნება დაშვებული შეცდომების გაანალიზება - გამოსწორებაზე.

საჭიროა ისეთი გეგმის შემუშავება, სადაც პასუხი გაეცემა კითხვებს: „როგორ მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ...“

ასეთი მიდგომა საჭიროა იმდენად, რამდენადაც არ ვიცით, -როგორ განვითარდება მოვლენები ჩვენი გეგმის მიხედვით.

დივერსიული დაგეგმარება გამოიყენება ისეთ საქმეებზე, რომელსაც ახასიათებს ინტერესთა განსაკუთრებულად მწვავე კონფლიქტი.

დივერსიული დაგეგმარების მზანია პასუხი გაეცეს კითხვას:

„რამ შეიძლება მოგვაყენოს ზიანი და რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს არ მოხდეს“.

### §3. მართლმადიდებელი ადვოკატის საქმიანობის დაგეგმარება.

წიგნის ეს ბოლო მონაკვეთი მხოლოდ იმ ადვოკატებს ეხება, რომლებიც ცხოვრობენ ცხოვებისთვის, - არიან ეკლესიური და საქმიანობენ უფლის საფარქვეშ.

ბუნებრივია - მართლმადიდებელმა ადვოკატმა თითოეული საქმე და საქმის ირგვლივ გადადგმული თითოეული ნაბიჯი (დაცვის პოზიცია) უნდა შეუთანხმოს არა მხოლოდ კლიენტს, არამედ, პირველ ყოვლისა, - უფალს!

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, - მართლმადიდებელმა ადვოკატმა თავისი საქმიანობის დაგეგმარებისას დამატებით უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. აუცილებლად უნდა აკურთხოს ოფისი, სადაც საქმიანობს და იქვე მოაწყოს სალოცავი კუთხე;

2. ყოველი სამუშაო დღის დასაწყისსა და დასასრულს წარმოთქვას სავედრებელი და სამადლობლო ღოცვები;

3. კონტროლი გაუწიოს თავის საქმიანობიდან გამომდინარე ცოდვით შეცდომებს და მოინანიოს აღსარებაში;

4. თავისი კლიენტები მოიხსენიოს ღოცვებში, ხოლო მოძღვარს ბარძიმა და კვეთაში მოახსენებინოს ის კლიენტები, რომელთა მდგომარეობა განსაკუთრებულად რთულადაა;

5. იმარხულოს და ეზიაროს თვეში ერთხელ მაინც;

6. ყოველი შაბათის ღოცვის წინ იფიქროს გასული კვირის საქმიანობის „შავ-თეთრ“ გარემოებებზე;

7. ყოველი კვირის წირვის წინ აღნუსხოს ახალი კვირის სამოქმედო გეგმა, ხოლო ღოცვებზე სინერგიის მობილჩეობა მოახდინოს ამ გეგმის აღსასრულებლად;

8. მაქსიმალურად შეეცადოს თავის საქმიანობასა და ურთიერთობებში დაამკვიდროს ქრისტიანული მორალი და ქცევის წესები.

9. მიზნების განსაზღვრა, საქმე, ურთიერთობა და საჰონორარო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქრისტიანულ ზნეობის ნორმებს.

10. გვახსოვდეს: მიზანთა მიზანი ეს არის - ღმერთი! ანუ, ნებისმიერ მიზან-ამოცანას; საქმეს და ურთიერთობას ღმერთთან უნდა მივყავდეთ.

11. ყოველი სტუდენტის, იურისტის, ადვოკატის და არა მხოლოდ ადვოკატის ცხოვრების დევიზი უნდა იყოს:

„ცოდნა ცხოვრებისთვის და ცხოვრება ცხოვრებისთვის!“

# ნაწილი მეორე

(განყოფილება პირველი)

## კაზუსები და სიტუაციები

### კაზუსი №1

ადვოკატს მიმართა მოქალაქე მურმან კ-მ და მოახსენა, რომ მისმა მეზობელმა, ქალბატონმა მარგო ა-მ უანდერძა თავისი საცხოვრებელი ბინა, რომლის გადაფორმებას ვერ ახერხებს, ვინაიდან ნოტარიუსმა უარი უთხრა სამკვიდროს გახსნაზე.

უარი განაპირობა იმ ფაქტმა და გარემოებამ, რომ ანდერძი იყო მარტივი, - შინაურული ფორმით შესრულებული, თვითონ მოანდერძე კი გარდაცვლილი იყო და ანდერძის ნამდვილობას მხოლოდ მოწმეებით ნოტარიუსი ვერ დაადგენდა.

ბატონმა მურმანმა ადვოკატს წარუდგინა შემდეგი დოკუმენტები:

1. შინაურული ანდერძი, რომლითაც ჩანს რომ მარგო ა-მ მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება მემკვიდრეობით დაუტოვა მურმან კ-ს. (ანდერძი ხელმოწერილია მოანდერძისა და ექვსი მოწმის მიერ.)

2. მარგო ა-ს გარდაცვალების მოწმობა. (გარდაცვალებიდან გასულია 5 თვე და ცხრა დღე).

3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, -რომლითაც ჩანს რომ ნაანდერძევი ბინის მესაკუთრეა მარგო ა.

4. ცნობა საბინაოდან, საიდანაც ირკვევა, რომ მარგო ა. იყო მარტოხელა მოხუცი ქალი, რომელსაც მძიმე ავადმყოფობისას უპატრონა, ხოლო დაკრძალვისას ხარჯები გასწია მურმან კ-მ.

5. ტრანზაქციები ენერგო-პროდან; რომლითაც ჩანს რომ მარგო ა-ს ბინაში ელექტრო ენერგია გამოყენებულია და გადახდილია მარგო ა-ს გარდაცვალების შემდეგაც.

6. აქტი მეზობლებისა; რომლებიც ადასტურებენ, რომ მარტოხელა ავადმყოფ მარგო ა-ს მოუარა მურმან კ-მ და იგი ფლობს მარგოს უძრავ-მოძრავ ქონებას მისი გარდაცვალების შემდეგ.

7. ცნობა სოც. სუბსიდიებიდან; რითაც ირკვევა, რომ მურმან კ. განეკუთვნება სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფთა კატეგორიას.

აღნიშნული დოკუმენტების, ფაქტებისა და გარემოებების გაცნობის შემდეგ ადვოკატმა ურჩია მურმან კ-ს სასწრაფოდ მიემართა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის და მისი მეშვეობით (გრაფოლოგიური ექსპერტიზით) დაედგინა, რომ წარმოდგენილი შინაურული ანდერძი ნამდვილად ეკუთვნის მარგო ა-ს.

ასეთი დასკვნის შემდეგ მურმან კ-ს შეეძლო მიემართა ნოტარიუსისთვის და მოეთხოვა სამკვიდრო მოწმობა, რის შემდეგაც საჯარო რეესტრში დაარეგისტრირებდა თავის საკუთრების უფლებას მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებაზე.

შეკითხვები და დავალებები:

1. არის თუ არა ადვოკატის რჩევა-კონსულტაცია სწორი, თავის დროული და თუ არა, - რატომ?

2. რომელი მთავარი გარემოება საჭიროებდა დაზუსტებას, შეფასებასა და სწრაფ რეაგირებას?

3. რა იქნებოდა მოკლე გზა მურმან კ-ს პრობლემის სამართლებრივად მოგვარებისა?

4. რა პრობლემები შეიძლება წარმოეშვას მურმან კ-ს ადვოკატის რჩევის გაზიარების შემთხვევაში?

5. დასჭირდება თუ არა მურმან კ-ს სარჩელის წარდგენა სასამართლოში, ვინ იქნება მოპასუხე, რა მოთხოვნას დააყენებს და რომელ მტკიცებულებებს დაეყრდნობა?

6. სამართლებრივად აუხსენი კლიენტს მოცემული სიტუაცია;

7. შეაფასე ფაქტობრივი გარემოებაბი.

## კაზუსი №2

ადვოკატს მიმართა მოქალაქე ანრი ა-მ და მოახსენა, რომ 2007 წლის 26 აპრილს არმენ ა-სგან შეიძინა საცხოვრებელი სახლი ხაშურის რაიონ სოფელ ფლეეში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ბინას უკანონოდ ფლობს გივი ა-ს ოჯახი, ვისგანაც თავის დროზე შეიძინა აღნიშნული ბინა არმენ ა-მ ანრი ა-ს სურს სასამართლოს წესით უზრუნველყოს თავისი კუთვნილი ბინის გამონთავისუფლება მოპასუხე გივი ა-ს ოჯახის უკანონო მფლობელობიდან და აღკვეთოს თავის საკუთრების ხელყოფა.

ადვოკატმა ანრი ა-ს გადაახდევინა სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში საქმის განხილვისთვის (ბინის ღირებულების

3%). მოამზადა სათანადო სარჩელი; დაურთო უტყუარი მტკიცებულება: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებდა, რომ სადაო ბინის მესაკუთრეა ანრი ა. და მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს.

შეკითხვა:

რა შეცდომა დაუშვა ადვოკატმა?

### კაზუსი № 3

გიგა ოსაძეს სურს განქორწინება ანა ქურდაძესთან და მისთვის დედობის უფლების ჩამორთმევა, ვინაიდან ეწევა უზნეო ცხოვრებას (დალატობს) და არ აძლევს ბავშვთან ურთიერთობის საშუალებას.

ასევე მას სურს აღიმენტზე უარის თქმა სოციალური დაუცველობის მოტივით.

გ. ოსაძემ სამართლებრივი დახმარებისთვის ადვოკატს წარუდგინა შემდეგი დოკუმენტები:

1. ქორწინების მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ გიგა ოსაძე და ანა ქურდაძე რეგისტრირებულ ქორწინებაში არიან 2005 წლიდან.

2. დაბადების მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ გიგა ოსაძისა და ანა ქურდაძის ქალიშვილი მაია ოსაძე დაიბადა 2007 წლის 23 ნოემბერს.

3. სარჩელი, რომლითაც ანა ქურდაძე ითხოვს აღიმენტს გიგა ოსაძისგან ბავშვის სარჩოდ, - თვეში 200 ლარის ოდენობით.

4. ცნობა საკრებულოდან, რომლითაც ირკვევა, რომ გიგა ოსაძის ოჯახი სოფელ კასერში ფლობს 1,30 ჰა. მიწის ნაკვეთს. (ეს ცნობა თან ერთვის ანა ქურდაძის სარჩელს)

5. მეზობელთა ახსნა-განმარტება (დახასიათება), რითაც ადასტურებენ გიგა ოსაძის დადებით თვისებებსა და ანა ქურდაძის ამორალური ცხოვრების ფაქტებს.

6. ცნობა სოც. სააგენტოდან მისი ოჯახის სოც. დაუცველობის შესახებ.

ადვოკატთან საუბრისას გ. ოსაძემ აღნიშნა:

1. ერთ წელზე მეტია, რაც ის და თავის მეუღლე ფაქტობრივად გაყრილები არიან და ცალ-ცალკე ცხოვრობენ;

2. ამ ერთი წლის განმავლობაში ბავშვი ორჯერ ჰყავდა თავის სახლში ერთ-ერთი კვირით;

3.სასამართლოში მიმართვაძღვე სად უნდა მიემართა განმცხადებელს?

4.სასამართლოში რა ფორმით და რა მოთხოვნებით უნდა მიემართა?

5.რატომ არის აღნიშნული საქმე სადაო და არა უდაო წარმოებისა?

### კაზუსი №6

2009 წლის 25 დეკემბერს გორის რაიონულმა სასამართლომ პავლე გიორგაძეს დააკისრა აღიშენების გადახდა ორი მცირეწლოვანი შვილის სარჩოდ ყოველთვიურად 70 - 70 (სულ 140) ლარის ოდენობით.

პ. გიორგაძეს სურს რა სარჩელის შეტანა აღიშენების შემცირებაზე, - მიმართა ადვოკატს 2010 წლის 10 იანვარს და აცნობა შემდეგი ინფორმაციები:

1. არის ფაქტიურად უმუშევარი და მისი შემოსავლის წყაროს წარმოდგენს ტაქსისტობა (დღეში 5 - 10 ლარი შემოსავალი);

2. ჰყავს მეორე ცოლი, რომელიც 7 თვის ფეხმძიმეა;

3. არანაირი უძრავ-მოძრავი ქონება მის სახელზე არ ირიცხება;

4. ექვსი თვეა ცხოვრობს ქირით;

5. მესამე თვეა გამოტანილი აქვს სესხი ბანკიდან და იხდის პროცენტებს;

შეკითხვები:

1.უნდა ურჩიოს თუ არა ადვოკატმა პ. გიორგაძეს სარჩელის წარდგენა აღიშენების შემცირების მოთხოვნით?

2.რა დროს იქნება უპრიანი პ. გიორგაძისთვის სარჩელის წარდგენა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნით?

3.რას ურჩევდით პ. გიორგაძეს ამ ეტაპზე?

### კაზუსი № 7

2005 წლის 7 მაისს ოლეგ ლატარიამ მიმართა ადვოკატს და სთხოვა სამართლებრივი დახმარება. ან აღნიშნა, რომ მისმა ძმამ - ვასილ ლატარიამ 2004 წლის 13 აგვისტოს სანოტარო აქტის საფუძველზე მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, სადაც ვასილ ლატარია მოხსენიებულია, როგორც გარდაცვლილ არჩილ ლატარიას ერთადერთი

კანონისმიერი შემკვიდრე, მაშინ როცა ოლეგ ლატარიაც კანონიერი შვილი და პირველი რიგის შემკვიდრეა გარდაცვლილ არჩილ ლატარიასი.

ოლეგ ლატარია ითხოვს ზემოთ ხსენებული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობას და მამის დანაშთი ქონების ნახევრის მესაკუთრედ ცნობას სამკვიდროს წილის მიღების გზით.

ოლეგ ლატარიამ ადვოკატს წარუდგინა შემდეგი დოკუმენტები:

1. არჩილ ლატარიას გარდაცვალების მოწმობა (გარდაცვლილია 1968 წლის 23 აგვისტოს);

2. ქ. დუშეთის აღმასკომის 1986 წლის №16 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დაინგრა ქ. დუშეთში გაგარინის №15 - ში მდებარე არჩილ ლატარიას კუთვნილი ავარიული ბინა და მის აადგილზე აშენებულ იქნა ახალი ბინა ვასილ ლატარიას მიერ.

3. 2004 წლის 7 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ქ. დუშეთში გაგარინის № 15 - ში მდებარე საცხოვრებელი სახლი აღრიცხულია გარდაცვლილ არჩილ ლატარიას სახელზე, ხოლო მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენებულია ზ.ა. სახლი, დარეგისტრირებულია არჩილ, ვასილ და ოლეგ ლატარიების საერთო საკუთრებად.

4. 2004 წლის 13 აგვისტოს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში ვასილ ლატარიას სახელზე აღირიცხა არჩილ ლატარიას კუთვნილი უძრავი ქონება.

შეკითხვები:

1. აქვს თუ არა სამართლებრივი საფუძველი ოლეგ ლატარიას მოთხოვნას?

2. რა ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება ადვოკატმა?

3. რა საშიშროება არსებობს მოპასუხის მხრიდან?

4. რა დამატებითი მტკიცებულებაა საჭირო?

5. როგორი უნდა იყოს მტკიცების თანამიმდევრობა?

6. მოახდინე ნორმის შეფარდება და განმარტება ოლეგ ლატარიას პოზიციის სასარგებლოდ.

## კაზუსი № 8

ადვოკატი წერს სარჩელს დანაშაულიდან გამომდინარე მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ადვოკატი დაეყრდნო რა კლიენტისაგან მიღებულ ინტერესსა და ინფორმაციას, სასარჩელო მოთხოვნები დააყენა ასე:

მოსარჩელე მოპასუხისგან ითხოვდა მისი დანაშაულის შედეგად (ავტოავარიის დროს) დაღუპული ი. კ-ს (მოსარჩელის შვილის) დაკრძალვის ხარჯებს (1400 ლარის ოდენობით); მორალურ ზიანს 20 ათასი ლარის ოდენობით და სარჩოს ი. კ-ს არასრულწლოვანი ორი შვილის სასარგებლოდ, თვეში 100 - 100 ლარის ოდენობით.

სარჩელს თან ერთვოდა შემდეგი მტკიცებულებები:

1. ცნობები სარიტუალო დაწესებულებებიდან, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ ჩასასვენებელში; საფლავის ქვაში და ა.შ. მთლიანობაში გადახდილ იქნა 1400 ლარი;

2. განაჩენი, რომლითაც დადგენილია, რომ დ. ლ-ს შეერაცხა ი. კ-ს სიცოცხლის მოსპობა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად.

3. ი. კ-ს არასრულწლოვანი ბავშვების დაბადების მოწმობები;

4. სარჩელს ერთვოდა სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ი. კ. მათთან ერთად მუშაობდა სამხედრო ნაწილში, რომელიც შემდგომ გაუქმდა.

შეკითხვები:

1. რა შეცდომებია ადვოკატის მიერ შედგენილ სასარჩელო მოთხოვნებში?

2. რა დამატებითი მტკიცებულებები უნდა მოეძია ადვოკატს?

3. რატომ იყო მორალური ზიანის მოთხოვნა უსაფუძვლო?

4. უზენაესი სასამართლოს რა პრაქტიკა არსებობს მსგავს საქმეებზე?

5. როგორ მოიქცეოდით, თუ მთავარ სხდომაზე აღმოაჩენდით, რომ მთავარი მტკიცებულება აკლია ერთ-ერთ მოთხოვნას?

## კაზუსი № 9

თამარ თ-ძე რეგისტრირებულ ქორწინებაშია ბადრი გ-სთან 2007 წლის 18 მარტიდან.

2008 წლის 28 ნოემბერს შეეძინათ შვილი - ვასილი.

2007 წლის 18 მარტიდან 2009 წლის 13 მაისამდე თამარი ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობდა მისამართზე: ქ. თბილისი თემქაის დასახლება, 11 მ-რ კვ 1 ბ. №16

2009 წლის 12 მაისს თამარი ქმარმა მიატოვა, რომელიც რუსეთში გადაიხვეწა;

2009 წლის 13 მაისს თამარი დედამთილმა გამოავლინა სახლიდან ჩვილ ბავშვთან ერთად.

თამარს აინტერესებს თავისი უფლებები და სურს სასამართლოში სარჩელის შეტანა ალიმენტის და თანასაკუთრებიდან გამომდინარე ქონებრივი დავის შესახებ.

თამარმა ადვოკატს წარუდგინა შემდეგი დოკუმენტები:

1. ქორწინების მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ იგი ნამდვილად არის რეგისტრირებულ ქორწინებაში ბადრი გ-სთან 2007 წლის 18 მარტიდან;

2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ ბინა მდებარე მისამართზე ქ. თბილისი თემქის დასახლება. 11 მ-რ კვ 1 ბ№16 ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა ბადრი გ-მ 2008 წლის 19 ივლისს და მხოლოდ მასზეა დარეგისტრირებული საკუთრების უფლებით;

3. სანოტარო აქტი „უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება“ - რომელიც ადასტურებს, რომ ბინა, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ-რ, კვ.1 ბ. №16 ბადრი გ-მ მიჰყიდა დედამისს, ნადია გ-ს 2009 წლის 11 მაისს.

4. შვილის, - ვასილ გ-ს დაბადების მოწმობა.

5. თავისი პირადობის მოწმობა (თამარი ჩაწერილია ზესტაფონში და ამჟამადაც იქ ცხოვრობს, - თავის მშობლებთან) შეკითხვები:

1. რა სამართლებრივი დახმარება შეიძლება გავუწიოთ თამარს?

2. რა ფაქტობრივი გარემოებების დადგენაა საჭირო და რისთვის?

3. შეიძლება თუ არა ზესტაფონის სასამართლომ განიხილოს დავა?

4. რას ურჩევდით თამარს 2009 წლის 1 მაისს რომ მოემართა თქვენთვის და ეთქვა, რომ ქმარი აპირებს ბინის გასხვისებას?

5. რა შუამდგომლობა უნდა დააყენოს ადვოკატმა, როცა მოპასუხე გაურკვეველი დროით გადახვეწილია საზღვარგარეთ?

6. განსაზღვრე მხარეები, დავისა და მტკიცების საგანი.

7. რატომ არის ქონებრივი დავა წამგებიანი თამარისთვის?

2010 წლის 16 მაისს მოქალაქე მაია ზაუტაშვილმა მიმართა ადვოკატს და სთხოვა სამართლებრივი დახმარება პრობლემაზე, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

2010 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა მაია ზაუტაშვილის მამა – მიშა ზაუტაშვილი;

მიშა ზაუტაშვილს დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები: მაია, ვიტალი და ნანა ზაუტაშვილები, რომლებიც ცხოვრობენ ქ. გორში.

გარდაცვალების შემდეგ მიშა ზაუტაშვილს დარჩა სამკვიდრო ქონება: საკუთარი სახლი მდებარე ქალაქ ხაშურში, სადაც ცხოვრობდა იგი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექ. ინვენტარიზაციის არქივის ცნობით ზ.ა. სამკვიდრო ბინის მესაკუთრედ რეგისტრირებულია მიხეილ ზაუტაშვილი;

მაია ზაუტაშვილი ფიქრობს, რომ ზემოთ ხსენებული შეუსაბამობის გამო ვერ მიიღებენ სამკვიდროს მემკვიდრეები.

კერძოდ: გარდაცვალების მოწმობაში დაფიქსირებულია მიშა ზაუტაშვილი, ხოლო სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ დარეგისტრირებულია მიხეილ ზაუტაშვილი, ასევე მემკვიდრეების დაბადების მოწმობებში მამად მოხსენიებულია მიხეილ ზაუტაშვილი.

მაია ზაუტაშვილს სურს დაიჭიროს თადარიგი, მოაწესრიგოს მამის საბუთები და მერე მიმართოს ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად, ანუ მ. ზაუტაშვილის სურვილსა და ინტერესს წარმოადგენს სასამართლოს მეშვეობით დადგინდეს, რომ მიშა ზაუტაშვილი და მიხეილ ზაუტაშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა.

ადვოკატმა გაითვალისწინა კლიენტის ინტერესი და მისი მოთხოვნის თანახმად მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დასადგენად: რომ გარდაცვლილ მიშა ზაუტაშვილის კუთვნილებას წარმოადგენდა მიხეილ ზაუტაშვილის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება.

შეკითხვები:

1. რა არსებითი შეცდომა დაუშვა ადვოკატმა და რა წინააღმდეგობაა კლიენტის მოთხოვნას და მოქმედ კანონს შორის?

2. რა შეიძლება მოჰყვეს ამ შეცდომას?

3.რის შემდეგ და რომელი სასამართლოსთვის უნდა მიემართა მ. ზაუტაშვილს?

4.რა ოდენობით უნდა გადაეხადა ბაუი?

5.ვინ უნდა იყოს განმცხადებელი და რა მოთხოვნები უნდა იყოს განცხადებაში?

### კაზუსი № 11

ქალბატომ მარიამ მ-ს 3 დღის წინ მოუვიდა გაფრთხილება პოლიციიდან, რომ თავისი ნებით 5 დღის ვადაში დაცალოს ბინა, რომელშიც 20 წელია ცხოვრობს.

ადეოკატი ეცნობა ქალბატონ მარიამის მიერ წარმოდგენილ შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციებს:

1.პოლიციისთვის ქ-ნ მარიამის გამოსახლების მოთხოვნით მიუმართავს ბინის ერთ-ერთ თანამესაკუთრეს ნათია კ-ს;

2.წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სადაო ბინა შედგება 74 კვმ საიდანაც 15,80 კვმ აღრიცხულია ნათია კ-ს საკუთრებად, ხოლო 56 კვმ დარეგისტრირებულია მარიამის გერის ღია გ-ს სახელზე.

3.ნათია კ. არის ქ-ნ მარიამის უფროსი გერის გურამ გ-ს ცოლი, რომელსაც სასამართლომ სარგებლობის უფლებით მიაკუთვნა არაპრივატიზირებული ბინის ერთი ოთახი (15,80 კვმ)

4.ქ-ნი მარიამი არის მეორე ცოლი გარდაცვლილ ანდრო გ-სა, რომელიც იყო მამა ღია გ-სა და მამამთილი ნათია კ-სა.

5.ნათია კ-ს ქმარი გურამ გ. გარდაიცვალა 2000 წელს;

6.ქ-ნ მარიამის ქმარი ანდრო გ. გარდაიცვალა 2004 წელს;

7.ქ-ნი მარიამი რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო ანდრო გ-სთან 1990 წლიდან;

8.სადაო ბინის ორდერში ბინის პრივატიზაციამდე ჩაწერილები იყვნენ ანდრო გ; გურამ გ; ღია გ;

9.გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 26 ნოემბრის №432 ბრძანებით დადგინდა ქ. გორში გელაშვილის ქ.№23 ბინის 56 კვმ-ის საკუთრებაში გადაცემა ღია გ-თვის ხოლო 15,80 კვმ ნათია კ-სთვის. შესაბამისად, გაიცა №225 საკუთრების მოწმობა, რის საფუძველზეც აღნიშნული ფართის ნაწილი 56 კვმ საჯარო რეესტრში აღირიცხა ღია გ-ს საკუთრებად ხოლო იმავე ბინის 15,80 კვ მ აღირიცხა ნათია კ-ს სახელზე.

10. ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციული ქმედებები განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 10

მარტის №73 ბძანებულების საფუძველზე, მას შემდეგ, რაც კანონისმიერი მოსარგებლებების საბუთები ქალაქის გამგეობაში წარადგინეს ქალბატონმა ღია გ-მ (ბინის ორდერი); და ქალბატონმა ნათია კ-მ (სასამართლოს გადაწყვეტილება)

11. კონსულტაციისას ადვოკატმა ჰკითხა ქ-ნ მარიამს, ხომ არ ინახებოდა მასთან გარდაცვლილ ანდრო გ-ს საბანკო ანგარიშების წიგნაკი, რაზეც ქალბატონმა მარიამმა დადებითად უპასუხა.

შეკითხვები და დავალებები:

1. ქალბატონ მარიამის ინტერესების დაცვისას რა არის პრიორიტეტული, ანუ, ჯერ ვის უნდა მიმართოს ადვოკატმა, რა განცხადებით, რა მოთხოვნით და რა დანართებით?

2. როგორ უნდა მოიქცეს ქ-ნი მარიამი რომელმაც გაუშვა მეუღლის სამკვიდროს მიღების 6 თვიანი ვადა?

3. ერთიანობაში რა პრობლემები აქვს ქალბატონ მარიამს და რომელი სამართლებრივი ნორმებით უნდა დარეგულირდეს იგი?

4. როგორ აუხსნიდი კლიენტს ზ.ა პრობლემებს; მათი გადაჭრის სირთულეებს; ალტერნატიულ გზებს და მოსალოდნელ შედეგებს?

5. სასამართლოში რა სახის სასარჩელო განცხადებით უნდა შევოდეს ქალბატონი მარიამი და რა უნდა იყოს დავის საგანი?

6. განსაზღვრე დავის ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითე შესაბამის მტკიცებულებებზეც.

7. დააკონკრეტე სასარჩელო მოთხოვნა და მიუთითე შესაბამის სამართლებრივ საფუძველებზე.

8. დააყენე შუამდგომლობა სათანადო არგუმენტაციით.

## კაზუსი №12

ქალბატონმა ვერამ განცხადებით მიმართა სრს ქურთის თემის სამსახურს და მოითხოვა თავისი შვილის ზაზა რეზის ძე საურის დაბადების აქტის რეგისტრაცია, რაზეც უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ქ. ცხინვალის სამშობიარო სახლიდან წარმოდგენილი ცნობა იყო არაუფლებამოსილი დაწესებულებისა და პირის მიერ დამოწმებული და გაცემული.

სრს -ს უარის საფუძველზე ადვოკატმა მოამზადა სასარჩელო განცხადება „ადმინისტრაციული აქტის გამოცემის“

მოთხოვნით, მოპასუხედ ჩართო სრს ქურთის თემის სამსახური და მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს.

შეკითხვები:

1. არსებობს თუ არა სხვა (არასასარჩელო) ალტერნატივა ქალბატონ ვერას ინტერესების დაცვისა?

2. რატომ ჯობია უდაო წარმოებით ზემოთ ხსენებული პრობლემის მოგვარება?

3. რომელი სამართლებრივი ნორმები არეგულირებს ზემოთ წარმოდგენილ სამართლებრივ ურთიერთობას?

4. რომელი საერთაშორისო ნორმის გამოყენებაზე შეიძლება მივუთითოთ სასამართლოს ზ.ა პრობლემის გადაწყვეტისას?

### კაზუსი № 13

კარლო კ-მ სარჩელი აღძრა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მესამე პირებად ჩართო ანო და ვანო.

სარჩელი ეხებოდა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 31 აგვისტოს №455 ბრძანებულების გაუქმებას, რომლის საფუძველზეც სადაო ბინა საკუთრებაში გადაეცა ანოს და ვანოს.

სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით კარლო კ-მ ასევე მოითხოვა ყადაღა დადებოდა სადაო ბინას, ვინაიდან ანო და ვანო აპირებდნენ აღნიშნული ბინის გაყიდვას და მტკიცებულებად წარმოადგინა გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება.

სასამართლომ 2009 წლის 24 ოქტომბრის №334 განჩინებით უარი უთხრა კარლო კ-ს სარჩელის უზრუნველყოფაზე და მიუთითა, რომ თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტისა, - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ყადაღის დადების შესახებ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოპასუხის სახელზე არსებულ ქონებაზე, ხოლო კარლო კ. ითხოვდა ყადაღის დადებას მესამე პირების საკუთრებაში არსებულ ქონებაზე.

კარლო კ-ს სურს აღნიშნული განჩინების გასაჩივრება.

შეკითხვები და დავალებები:

1. რამდენად კანონიერია ზემოთ ხსენებული განჩინება?

2. რომელი ნორმით უნდა ესარგებლა მოსამართლეს?

3. განმარტე, რატომაა ზ.ა. განჩინება უკანონო და უსაფუძ-

ვლო.

კობა ბიბილაშვილი ითხოვს წილს მამის – ვასილ ბიბილაშვილის სამკვიდროდან, კერძოდ მას სურს წილი უძრავი ქონებიდან (ბინიდან) რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში ვახტანგის ქ. №712 – ში. მაგრამ შეექმნა პრობლემები, რისთვისაც 2009 წლის 24 ივლისს მიმართა ადვოკატს და წარუდგინა შემდეგი მტიცებულებები:

1. ვასილ ბიბილაშვილის გარდაცვალების მოწმობა (გარდაიცვალა 2009 წლის 12 თებერვალს);

2. კობა ბიბილაშვილის დაბადების მოწმობა, სადაც მამად მოხსენიებულია ვასილ ბიბილაშვილი, ხოლო დედად – დოდო კაციაშვილი);

3. ვასილ ბიბილაშვილის ქორწინების მოწმობა, საიდანაც ჩანს, რომ ვასილ ბიბილაშვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო ანა საურთან 1989წლიდან;

4. ცნობა საჯარო რეესტრიდან №368 (18. 02. 2009წ) რომლითაც ირკვევა, რომ ბინა, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ვახტანგის ქ. №712 საჯარო რეესტრში საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის არც ვასილ ბიბილაშვილის და არც ანა ბიბილაშვილის სახელზე;

5. ცნობა საბინაოდან №76 (17.02.04) რომლითაც ირკვევა, რომ ვახტანგის ქ. №712 –ში მდებარე არაპრივატიზირებულ ბინაში ჩაწერილები არიან ვასილ ბიბილაშვილი და ანა საური.

6. ცნობა ძველი თბილისის რაიონის გამგეობიდან №03\14 (01.02.09) რომლითაც ირკვევა, რომ აღნიშნული გამგეობის მიერ შექმნის დღიდან (2007წ 1 იანვრიდან) დღემდე ვახტანგის ქ. №712 მდებარე ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა (პრივატიზაცია) არ განხორციელებულა.

დამატებით კობა ბიბილაშვილმა აცნობა ადვოკატს, რომ ნოტარიუსი არ აძლევს სამკვიდრო მოწმობას, ვინაიდან იგი უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობის გასაცემად ითხოვს საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტსა და საჯარო რეესტრის ამონაწერს ვახტანგის ქ. № 712 – ში მდებარე ბინაზე, რომელიც პრივატიზირებული არ არის (კობა ბ-ს განმარტებით).

შეკითხვები და დავალებები:

1. სამართლებრივი ანალიზი გაუკეთე და შეაფასე მოცემული სიტუაცია;

2. რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება მოცემული სიტუაცია?

3. შეამოწმე წარმოდგენილი დოკუმენტები.

4. ხომ არ არის საჭირო დამატებითი ინფორმაცია?

5. რა ალტერნატივები არსებობს კობა ბიბილაშვილის ინტერესების დაცვისა?

### კაზუსი №15

2009 წლის 18 თებერვალს ადვოკატს მიმართა მოქალაქე ჯემალ ნ-მ რომელიც 2006 წლის 15 თებერვლამდე მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს №1 სასწავლო ცენტრის ოფიცრად.

თავდაცვის მინისტრის №245 ბრძანების საფუძველზე ჯ. ნ. განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, მაგრამ მისთვის არ აუნაზღაურებიათ 2004-2005 წლების სახელფასო დავალიანება და სანიეთე ქონების კონპესაცია.

ადვოკატმა მოამზადა სამოქალაქო სარჩელი და ერთი კვირის შემდეგ მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, ვინაიდან №1 სასწავლო ცენტრი მდებარეობდა ქ. გორში.

შეკითხვები:

1. რა მტკიცებულებები უნდა დაერთოს აღნიშნულ სარჩელს?

2. დავა სამოქალაქოა თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი?

3. ვისი განსჯადია აღნიშნული საქმე?

4. ადვოკატს 3 დღეში უნდა წარედგინა სარჩელი, რატომ?

5. რომელი ნორმატიული აქტები არეგულირებენ მსგავს ურთიერთობებს?

### კაზუსი №16

ვახტანგ დ-მ ზეპირსიტყვიერად შესწავლა ადვოკატს, რომ მის სოფელში მეზობლად მცხოვრები ვასილ ხ. ყველანაირად ავიწროვებს და აზიანებს, რაც გამოიხატება შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებში:

1. ვასილ ხ-ს სამეზობლო საზღვარი გადმოწეული აქვს 1 მეტრით და ამით მიტაცებული აქვს ვახტანგ დ-ს მიწის ნაკვეთის ნაწილი;

2.ვახტანგ დ-ს სახლის კედლიდან 1,5 მ-ის მოშორებით ჩარგული აქვს კაკლის ხე, რომელიც აზიანებს ვ. დ-ს სახლის კედელს;

3.სარწყავი რუ, რომელსაც იყენებს მხოლოდ ვასილ ხ. აბევე აზიანებს ვ. დ-ს, ვინაიდან ყოველი მორწყვის შემდეგ ვასილ ხ. წყალს უშვებს ვახტანგ დ-ს საკარმიდამო მიწის ფართში, რომელიც იტბორება და ზიანდება სახლის საძირკველ-იც.

4.ასევე სამეზობლო გზაზე ჩაყრილი თხილის ნარგავები ხელს უშლის ვახტანგ დ-ს მიმოსვლაში.

დავალება:

1.ჩამოწერე გეგმა, - რა და რა მოქმედებების განხორციელებაა საჭირო ვახტანგ დ-ს ინტერესების დასაცავად

### კაზუსი №17

ადვოკატს მიმართა ირმა ო-მ და წარუდგინა სარჩელი მის წინააღმდეგ, სადაც მოსარჩელე დათიკო ტ. ითხოვს ჩუქების ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობას და გაჩუქებული საცხოვრებელი ბინის 1/2 - წილზე მესაკუთრედ ცნობას.

დვოკატი გაეცნო დავის არსის მოკლე მიმოხილვას, რომელშიც წარმოდგენილი იყო შემდეგი ფაქტები და გარემოებები:

1. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ 1965 წლიდან იყო რეგისტრირებულ ქორწინებაში დალი დ-სთან, ვისთანაც შეეძინა შვილი - შადიმან ტ.

2. ერთად ცხოვრების პერიოდში მიიღეს ბინა, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი გიაურის ქ. №6 რომელიც შემდგომში პრივატიზირებულ იქნა და საკუთრებაში დარეგისტრირდა დალი დ-ს სახელზე;

3. პრივატიზაციის დროს დათიკო ტ-ს უარი არ უთქვამს თავის წილობრივ საკუთრებაზე;

4. დალი დ. გარდაიცვალა 2009წ 31 აგვისტოს;

5. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისთვის ეხლა (2009 წლის სექტემბერში) გახდა ცნობილი, რომ გიაურის ქ. №6-ში მდებარე ბინა ირმა ო-სთვის უჩუქებია მის მეუღლეს მასთან (დათიკო ტ-სთან) შეთანხმების გარეშე.

ქალბატონ ირმასგან ადვოკატმა დამატებით შეიტყო შემდეგი:

- ბატონი დათიკო და ქალბატონი დალი ფაქტიურად გაყრილები იყვნენ და 17 წელია ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ;

- ბატონი დათიკო სინამდვილეში არ ჩიოდა და მისი სახელით მოქმედებდა მისი შვილი შადიმანი, რომელიც 20 წელია რუსეთში იყო გადახვეწილი და ეხლა ჩამოვიდა დედის სამკვიდროს მისაღებად.

- აღნიშნულ სახლიდან სახლის ტოლფასი ავეჯი და ძვირფასეულობა უკვე წაიღო შადიმანმა;

- ავადმყოფ დალი დ-ს ერთადერთი მომვლელი იყო მისი დის შვილი ირმა ო. რომელმაც გაიღო დალი დ-ს მკურნალობის და დაკრძალვის ხარჯები.

სარჩელს თან ერთვოდა შემდეგი დოკუმენტები:

1. ქორწინების მოწმობა, რომლითაც დასტურდება, რომ დათიკო ტ. და დალი დ. ნამდვილად იყვნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში 1965 წლის 23 დეკემბრიდან;

2. შვილის, - შადიმან ყ-ს დაბადების მოწმობა (დაბ: 1967 წელს);

3. დალი დ-ს გარდაცვალების მოწმობა ;

4. ჩუქების ხელშეკრულება, რითაც დასტურდება, რომ სადაო ბინა გაჩუქებულია 2007 წლის 21 ივლისს;

5. ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება (პრივატიზირებულია 1994 წელს დალი დ-ს სახელზე);

6. ბინის ორდერი (სადაო ბინაში პრივატიზაციამდე ჩაწერილები იყვნენ: დალი დ. დათიკო ტ. და შადიმან ტ.)

7. დათიკო ტ-ს პირადობის მოწმობა;

8. რწმუნებულება ( დათიკო ტ. ენდობა შადიმან ტ-ს და აძლევს უფლებას წარმოდგინოს მისი ინტერესები სასამართლოში)

9. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც, - დალი დ-ს საკუთრების უფლება სადაო ბინაზე დარეგისტრირებული აქვს 2002 წელს;

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა ავადმყოფობის გამო. ამიტომ ახსნა-განმარტება მისცა რწმუნებულმა და დააფიქსირა, რომ მოსარჩელე მზად იყო მორიგებისთვისც და ითხოვდა ბინის ღირებულების ნახევარზე 5 ათასით ნაკლებს - 25 ათას დოლარს;

ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ, იმ მედით, რომ ბინას ყადაღა მოეხსნებოდა და გაყიდვდა, - ირმა ო. დასთანხმდა მორიგებას 23 ათას დოლარზე, ბანკიდან სესხი გამოიტანა

და გადაუხადა მოსარჩელის წარმომადგენელს განჩინების გამოტანიდან ერთ კვირაში.

სადაო ბინას ყადაღა მაინც არ მოეხსნა, რადგან 10 დღეში შადიმანი ახალი სარჩელით შემოვიდა იმავე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

შეკითხვები:

1. რატომ იყო ირმა ო-ს ადვოკატისთვის შეცდომა მორიგებაზე დათანხმება?

2. რომელი დოკუმენტი ვერ შეაფასა ადვოკატმა?

3. რა სარჩელით შევიდოდა შადიმანი?

4. რა უნდა ყოფილიყო მტკიცების საგანი მოპასუხისთვის?

### კაზუსი № 18

2004 წლის აპრილის თვეში გოგა ღარიბაშვილმა ზაზა ზაზაძისგან შეიძინა საცხოვრებლად ყოველად უვარგისი 2 ოთახიანი ბინა ქ. მცხეთაში.

ღარიბაშვილმა ზაზაძეს გადასცა 2600 დოლარი, მაგრამ შეთანხმება იყო 2700 დოლარზე.

გოგა გ-მ უთხრა ზაზა ზ-ს რომ დარჩენილ 100 დოლარს მისცემდა მას შემდეგ, როცა შეპირებულ სარდაფსაც გამოუნთავისუფლებდა.

ზაზა ზ. თავის მხრივ, შეპირდა გოგას, რომ ბინას გაუფორმებდა, როცა შეპირებულ 100 დოლარსაც გადაუხდიდა.

ღარიბაშვილები შევიდნენ გაბინძურებულ და უვარგის სახლში, ნახესხი ფულით კაპიტალური რემონტი გააკეთეს და ორი თვის შემდეგ შეიტყვეს, რომ შეპირებული სარდაფი ყოფილა სხვა მეზობლისა, მაგრამ რაკი რემონტი უკვე გაუკეთეს სახლს, გადაწყვიტეს სარდაფის გარეშე შეეძინათ (გაეფორმებინათ) ბინა, მათ მიუტანეს ზაზას დარჩენილი 100 დოლარი, მაგრამ ზაზაძემ კატეგორიული უარი უთხრა ბინის გაფორმებაზე და დასძინა: 'ბინები გაძვირდა, ან დამიმატებთ 1000 დოლარს, ან სასწრაფოდ დაცლით ბინასო.'

2006 წლის მარტში ღარიბაშვილებმა გადაწყვიტეს სარჩელი შეიტანონ სასამართლოში. მათი მოთხოვნაა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის აღიარება, ანუ, მათ სურთ: სასამართლომ აიძულოს მოპასუხე - ღარიბაშვილების სახელზე გააფორმოს ზ.ა. ბინა ყოველგვარი დამატებითი გადასახადების გარეშე.

შეკითხვები და დავალებები:

1. არის თუ არა კანონიერი მოსარჩელის მოთხოვნა?
2. რა სახის სამართალდარღვევაა სახეზე?
3. რა გზით შეიძლება ღარიბაშვილების ინტერესების დაცვა?
4. შეგებებულ სარჩელში ზაზაძემ მოითხოვა ბინის ქირა, როგორ უარყოს ღარიბაშვილების ადვოკატმა ამ მოთხოვნის კანონიერება და საფუძვლიანობა?
5. რა მტკიცებულებების შეგროვებას ურჩევდით ღარიბაშვილებს?
6. რა კითხვებს დაუსვამდით ზაზაძეს?
7. დაწერეთ დასკვნითი სიტყვა ღარიბაშვილების ინტერესების დასაცავად.

### კაზუსი № 19

თედო ნარიმანიძემ 2003 წლის 23 ნოემბერს ტელმან ზუმბაძისგან შეიძინა ავტომანქანა ზილ 4331 და მაშინვე ხელზე გადასცა 3000 ა.შ.შ დოლარი. ზ.ა. ნასყიდობის გაფორმება უნდა მომხდარიყო კვირის ბოლოს, მაგრამ აღარ შედგა, ვინაიდან მანქანა მესამე დღეს მწყობრიდან გამოვიდა, რის გამოც თედო ნ-მ უკან მიუყვანა მანქანა ტელმან ზ-ს და მოსთხოვა გადახდილი 3000 დოლარის უკან დაბრუნება, მაგრამ მან უარი უთხრა თანხის დაბრუნებაზე.

გარკვეული დროის შემდეგ (2007 წლის 23 მაისს) თედო ნ-მ მიმართა სასამართლოს ვალის დაბრუნების მოთხოვნით და ხაზი გაუსვა, რომ მოპასუხემ მას ნაკლოვანი ნივთი მიჰყიდა.

შესაგებელში ტელმან ზ-მ აღნიშნა, რომ მას არანაირი ვალდებულება არ დაურღვევია; რომ უნაკლო ნივთი მიჰყიდა მოსარჩელეს და რომ მის მიერვე იქნა გაფუჭებული ავტომანქანა.

რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და ტელმან ზუმბაძეს დააკისრა 3000 დოლარის გადახდა, ყოველ გადაცილებულ თვეზე პროცენტების დანამატის გათავალისწინებით, - სულ 4100 დოლარის ოდენობით.

მოსამართლე დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 354; 487; 4882; 491 და 499 მუხლის პირველ ნაწილს.

დავალება:

ხარ მოპასუხის ადვოკატი.

გაასაჩივრე ზ.ა. გადაწყვეტილება და დაწერე სააპელაციო საჩივარი.

ადვოკატთან მივიდა მოქალაქე ნინა ცერაძე და მიუტანა გაზეთი 'სიტყვა და საქმე' სადაც გამოქვეყნებული იყო განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ.

ამ განცხადებით ირკვეოდა, რომ ერთი კვირის შემდეგ ცხადდებოდა იძულებითი აუქციონი მეგი ცერაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, რომელშიც დაიბადა და ცხოვრობდა ნინა ცერაძე თავის და-ძმასთან და მამასთან ერთად.

ადვოკატმა ზეპირი კონსულტაციის დროს დამატებით გამოარკვია, რომ მეგი ცერაძე არის მამიდა ნინა ცერაძისა, რომელმაც 1983 წელს მიიღო სადაო ბინა გორის ბაზმეულის ქსოვილების საწარმოო გაერთიანებიდან, შესაბამისად, მის სახელზეა პრივატიზირებული აღნიშნული ბინა და საჯარო რეესტრშიც იგი არის ცნობილი მესაკუთრედ აღნიშნული უძრავი ქონებისა, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული ბანკის მიერ და გაცემული სესხის დაუბრუნებლობის გამო ტარდებოდა ზ.ა. აუქციონიც.

ნინა ცერაძეს და მის ოჯახს სხვა თავშესაფარი არ გააჩნია და აინტერესებთ, - შეიძლება თუ არა აუქციონის შეჩერება და აქვთ თუ არა წილის მოთხოვნის უფლება აღნიშნულ ბინაზე.

შეკითხვები და დავალებები:

1. საწარმოს მუშაკებზე ბინების განაწილება როგორ ხდებოდა და ვისგან რა დოკუმენტი უნდა გამოითხოვოს ადვოკატმა. რისი მტკიცებისთვის სჭირდება ეს დოკუმენტი?

2. რა სანოტარო საქმე უნდა იქნეს გამოთხოვილი და რის დასადასტურებლად გეჭირდება ეს დოკუმენტები?

3. რა დოკუმენტები უნდა წარმოგვიდგინოს ნინა ცერაძემ?

4. რა განცხადებითა და მოთხოვნით უნდა შევიდეთ სააღმართლოში (სასწრაფოდ) სარჩელის წარდგენამდე?

5. რა მოთხოვნები უნდა დააყენო სარჩელში, თუ გამოირკვა, რომ სადაო ბინის პრივატიზაციამდე მასში ჩაწერილები იყვნენ ნინა ცერაძე, მისი და-ძმა და აწ გარდაცვლილი დედა.

6. მოამზადე მიმართვა გორის რაიონული სახელმწიფო არქივის სახელზე.

7. მოამზადე მიმართვა ნოტარიუს ნ-ის სახელზე;

8. მოამზადე განცხადება სარჩელის წარდგენამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ.

9. ჩამოაყალიბე სასარჩელო განცხადება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით:

- გორის საქალაქო საბჭოს 1984 წლის 18 დეკემბრის №209 გადაწყვეტილებით ქგორში ნოზაძის ქ. №5\21-ში საცხოვრებელი ფართი გამოეყოთ: მეგი ცერაძეს, ლადო ცერაძეს და ნანა ზარიძეს.

დამატებითი ინფორმაცია

- 1986 წელს ლადო ცერაძე ამოწერილ იქნა ზ.ა. ბინიდან;

- 1990 წელს აღნიშნულ ბინაში დაიბადნენ და მის შემდეგ იქ ცხოვრობენ ნინა და ნუნუ ცერაძეები.

- 1993 წელს მოხდა ზ.ა. ბინის პრივატიზაცია და აღირიცხა იგი მეგი ცერაძის სახელზე;

- 1994 წელს გარდაიცვალა ნანა ზარიძე (ნინა და ნუნუ ცერაძეების დედა), რომლისგანაც არ მომხდარა ნოტარიული ფორმით წილის დათმობა ბინის პრივატიზაციის დროს;

- 2003 წელს ზ.ა. სადაო ბინა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა მეგი ცერაძის სახელზე;

- 2007 წელს მეგი ცერაძემ 'პროკრედიტ ბანკიდან' გამოიტანა სესხი და უზრუნველყოფის საშუალებად მიუთითა ზ.ა. ბინა, - ნინა და ნუნუ ცერაძეების თანხმობის გარეშე.

- 2008 წელს სესხის გადაუხდელობის გამო იპოთეკით დატვირთული ზ.ა. ბინა გადაეცა სააღსრულებო ბიუროს იძულებითი აუქციონისთვის.

## სიტუაცია №1

ოფისში სამი ადვოკატი ზის.

შემოდის მოქალაქე და ერთერთთან მიდის.

იგი ხმადაბლა უყვება თავის გასაჭირს და თან იშმუშნება.

ადვოკატი ხმამაღლა უსვამს კითხვებს, მოქალაქე კი ჩურჩულით პასუხობდა.

„ხმა ამოიღეთ, ქალბატონო!“ - მრისხანედ მიმართავს ადვოკატი კლიენტს და ღიმილით კოლეგებს გადახედავს.

ამის შემდეგ მოქალაქე მშრალ ინფორმაციას აწვდის ადვოკატს, რის მიხედვითაც ადვოკატი იწყებს ხმამაღლა მსჯელობას და სიტუაციას განიხილავს კოლეგებთან ერთად.

შეკითხვა:

1.რამდენად მართებულია ადვოკატის ასეთი მოქმედება?

2.თქვენ როგორ იმოქმედებდით მსგავს სიტუაციაში?

## სიტუაცია №2

აღელვებული მოქალაქე მიდის ადვოკატთან და ითხოვს სასწრაფოდ საჩივრის დაწერას პროკურატურაში, ვინაიდან მისი მცირეწლოვანი შვილი გაიტაცა მისმა ყოფილმა ქმარმა მისგან დაუკითხავად.

ადვოკატი ულაპარაკოდ ასრულებს მოქალაქის თხოვნას და წერს საჩივარს.

შეკითხვა:

1.სრულყოფილი ინფორმაცია მიიღო თუ არა ადვოკატმა?

2.სწორედ შეაფასა თუ არა ფაქტობრივი გარემოებები?

3.რა საშიშროება არსებობს კლიენტის მოთხოვნის ბრმად შესრულებისას?

4.როგორ უნდა მოქცეულიყო ადვოკატი?

## სიტუაცია №3

მოქალაქე მივიდა ადვოკატთან და უთხრა რომ მისი უსინათლო შვილი მიატოვა მეუღლემ; მიუგლო ორი წლის შვილი და თვითონ საყვარელთან ერთად სადღაც გადაიხვეწა. მოქალაქეს სურს მშობლის უფლება ჩამოერთვას მის რძალს.

ადვოკატმა უთხრა, რომ მეორე დღეს მისუღიყო შვილთან (სათანადო მოსარჩელესთან) ერთად და წარმოედგინა მითითებული დოკუმენტები.

მეორე დღეს ადვოკატმა მოამზადა სარჩელი; მოსარჩელეს გადაახდევინა სახ. ბაჟი და საადვოკატო მომსახურების ხარჯები და მიმართა სასამართლოს მოპასუხისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით.

კლიენტი ასევე ითხოვდა საჩივრის დაწერას პროკურატურაში ბავშვის განსაცდელში მიტოვების გამო.

შეკითხვა:

1. მეორე დღის შეხვედრამდე რა უნდა მოემოქმედებინა ადვოკატს?

2. კონკრეტულ მაგალითზე რაში გამოიხატება პრობლემის სამართლებრივი შესწავლა?

3. რა შეცდომები დაუშვა ადვოკატმა?

4. როგორ აუხსნიდით კლიენტს საქმის პერსპექტივას?

#### სიტუაცია №4

ქალბატონი ვალია მივიდა ადვოკატთან და უთხრა, რომ სურს სასამართლოში უჩივლოს ნუნუ კ-ს რომელსაც მისი ვალი აქვს და არ უხდის. იქვე აღნიშნა, რომ ნუნუ კ-ს ნაქირავეები აქვს მისი ბინა.

ქ-ნი ვალია აპირებს, რომ არც ნაქირავეები ბინაში შეუშვას ნუნუ და არც ნივთები დაუბრუნოს, სანამ ვალს არ გადაუხდის, ხოლო წასვლის წინ დაიმუქრა, რომ ამ ნივთებს გაუყიდიდა ნუნუს და ასე აინაზღაურებდა ვალს.

ადვოკატმა უპასუხოდ დატოვა ქალბატონ ვალიას მუქარა და თანაგრძნობით გააცილა ოფისიდან. მეორე დღეს გამოწერა ორდერი და გაუწია საადვოკატო მომსახურება სასამართლოში.

ერთი თვის შემდეგ ქ-ნი ვალიას მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თვითნებობისა და ქურდობის კვალიფიკაციით.

შეკითხვები:

1. რა შეცდომა დაუშვა ადვოკატმა?

2. რა საფრთხეს შეიცავს ეს შეცდომა?

3. როგორ უნდა მოქცეულიყო ადვოკატი?

#### სიტუაცია №5

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა, ჩაიბარა ადვოკატმა და ამჟამად

გადასცა თავის კლიენტს, რომელმაც მადლობა გადაუხადა თავის ადვოკატს და ერთი თვის თავზე, მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება შევიდა ძალაში, მიმართა აღმასრულებელს, რომელმაც უარი უთხრა აღსრულებაზე, ვინაიდან გადაწყვეტილებაში ეწერა, რომ მოპასუხეს უნდა აენაზღაურებინა მოსარჩელესთვის თანხა, მაგრამ არ იყო დაკონკრეტებული რა თანხის ანაზღაურება ევალეობდა მოპასუხეს.

შეკითხვები:

- 1.რა შეცდომა დაუშვა ადვოკატმა?
- 2.როგორ შეიძლება ამ შეცდომის გამოსწორება?

### სიტუაცია №6

სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელიე კ-ს მოთხოვნა და მოპასუხე ნ-ს დაავალა ტიხარის ამოშენება.

მოსარჩელემ წინასწარ იცოდა, რომ მოპასუხე არ შეასრულებდა გადაწყვეტილებას და ასეც მოხდა: მიუხედავად აღმასრულებლის არაერთგზის გაფრთხილებისა ნ-მ ტიხარი არ ამოაშენა, რის გამოც კ-მ თავის ხარჯებით ააშენა ტიხარი, მაგრამ ამ ხარჯების ამოღება ნ-სგან ვერ მოხერხდა ახალი სარჩელის გარეშე.

შეკითხვა:

რა უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის ადვოკატს და რა დამატებითი მოთხოვნა უნდა დაეყენებინა სარჩელში?

### სიტუაცია №7

ანა მ-მ მიმართა ადვოკატს და სთხოვა სარჩელის მომზადება №5-ე საჯარო სკოლის დირექტორის წინააღმდეგ, რომელმაც უკანონოდ დაითხოვა სამსახურიდან.

ანა დაინტერესდა, რამდენ ხანში შეიძლება მოგვარებულიყო მისი პრობლემა, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხეს რჩებოდა უფლება გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, რაც თავისთავად გააჭიანურებდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

ასეც მოხდა, ანას მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაგრამ მისი სამსახურში აღდგენა მოხერხდა 10 თვის შემდეგ, მას მერე, რაც ძალაში შევიდა გადაწყვეტილება.

შეკითხვა:

რა შეცდომა დაუშვა ადვოკატმა?

### სიტუაცია №8

მოსარჩელემ დააყენა ორი სასარჩელო მოთხოვნა, მაგრამ გადაიხადა ერთი მოთხოვნის შესაბამისი სახ. ბაჟი, რის გამოც სასამართლომ ხარვეზზე დატოვა სარჩელი.

უსახსრობის გამო მოსარჩელე უარს ამბობს მეორე მოთხოვნაზე, თავის ადვოკატთან კი დაიწყო წინადადება: „ფული ახლა არა მაქვს. აგერ ინვალიდობის პენსიას ვიღებ, ცოტას დავაგროვებ და მეორე მოთხოვნით მერე მიემართავ სასამართლოს“.

ადვოკატი ეთანხმება კლიენტს და სასამართლოს მიმართავს მეორე მოთხოვნის მოხსნის განცხადებით

შეკითხვა:

რა შეცდომა დაუშვა ადვოკატმა?

### სიტუაცია №9 ✓

მოქალაქე ა-ს სურს ერთი კვირის შემდეგ სარჩელი შეიტანოს გორის რაიონულ სასამართლოში „ხელის შეშლის აღკვეთაზე“. ამასთანავე, სურს საქმეზე მოწმედ დაიკითხოს მტკიცებულებითი ფაქტის შემსწრე მეზობელი, რომელიც სამი დღის შემდეგ მიემგზავრება უცხოეთში სამუშაოდ.

ა-მ მიმართა ადვოკატს დახმარებისთვის.

დავალება:

მოამზადეთ შუამდგომლობა, რომლითაც ადვოკატი მიმართავდა სასამართლოს მსგავს სიტუაციაში.

### სიტუაცია № 10

2009 წლის 4 დეკემბერს გორის რაიონულ სასამართლოში მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ მოსარჩელის ადვოკატი და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

მოსამართლემ კი ჩათვალა, რომ არც ერთი მხარე არ გამოცხადდა და თანახმად საქართველოს ამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96 და 275(დ) მუხლებისა, - განჩინებით განუხილველად დატოვა სარჩელი.

დავალება:

დაწერე კერძო საჩივარი და გაასაჩივრე ზ.ა. განჩინება.

კაზუსებისა და სიტუაციების ანალიზი

კაზუსი №1

ადვოკატის რჩევა არასწორია და ეს განაპირობა უხეშმა უყურადღებობამ.

დაუკვირდით: მურმან კ-მ კი მოახსენა ადვოკატს, რომ ნოტარიუსმა უარი უთხრა სამკვიდროს გახსნაზე, მაგრამ ასეთი სანოტარო აქტი არ წარმოუდგენია, რაც ვერ შეამჩნია ადვოკატმა დოკუმენტების შემოწმებისას და დაეყრდნო კლიენტის ზეპირსიტყვიერ ინფორმაციას, რომელიც მცდარი იყო და ამის გარკვევა სულ ადვილად შეიძლებოდა, თუ ადვოკატი დასვამდა კითხვას: „სად არის ნოტარიუსის უარი?“ ამის პასუხად ბატონი მურმანი განმარტავდა, რომ მას განცხადებითაც არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის, მან უბრალოდ მიიტანა შინაურული ანდერძი, - (მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ) - აჩვენა ნოტარიუსს, რომელმაც ზეპირსიტყვიერი კონსულტაციის ფორმით უთხრა, რომ მსგავსი ანდერძით სანოტარო მოქმედებას ვერ შეასრულებდა, სანამ ექსპერტიზა არ დაადგენდა მის ნამდვილობას.

ახლა ვნახოთ, რა გამოიწვია იურისტის არასწორმა კონსულტაციამ:

კლიენტი დაეყრდნო ადვოკატის რჩევას და შინაურული ანდერძი წაიღო საექსპერტო ბიუროში ისე, რომ განცხადება სამკვიდროს მიღებაზე ნოტარიუსთან არ დაუწერია, ანუ სამკვიდროს გახსნა - მიღება არ მომხდარა.

ექსპერტიზას დასჭირდა ორი თვე. პასუხი იყო დადებითი, მაგრამ... როგორ ფიქრობთ, ნოტარიუსი ამის შემდეგ გახსნიდა სამკვიდროს? არა, იმიტომ რომ გასული იყო სამოქალაქო კოდექსის 1424 მუხლით დადგენილი 6 თვიანი ვადა სამკვიდროს მიღებისა.

ამჯერად ნოტარიუსი ვერ გასცემდა სამკვიდრო მოწმობას ფაქტობრივი მფლობელობის დადგენის გარეშე და რჩება სასამართლოს გზა, სადაც სარჩელით უნდა შევიდეს გზა აბნეული კლიენტი და ამტკიცოს სამკვიდრო უძრავი ქონების ფაქტობრივი მფლობელობა, ხოლო თუ ვერ დაამტკიცებს, უძრავი ქონება რჩება სახელმწიფოს. (ასეთ საქმეზე მოპასუხედ ერთობა სახელმწიფო ქონების მართვის სამსახური).

ხედავთ, როგორ გართულდა მურმან კ-ს სამართლებრივი მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ადვოკატმა ვერ აღმოაჩინა მთავარი გარემოება და არ ურჩია კლიენტს, - პირველ ყოვლისა 6 თვიან ვადაში განცხადებით მიემართა ნოტარიუსისთვის და მერე ეზრუნა ანდერძის ლეგალიზაციაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი მფლობელობის დადგენა უნდა მოხდეს ენერგოპროს ტრანზიქციებითა და მოწმეთა ჩვენებებით, რითაც უნდა დამტკიცდეს, რომ გარდაცვლილის უძრავ ქონებას მართლაც ფლობდა მურმან კ. ის ხმარობდა და იხდიდა დახარჯული ელექტრო ენერჯიის საფასურს ქალბატონ მარგოს მაგიერ მისი გარდაცვალების შემდეგაც.

ამ მაგალითიდან ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. არ ენდოს კლიენტის ზეპირ ინფორმაციას და მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტი;

2. შეამოწმოს ვადები. მაგალითად: თუ ქალბატონი მარგო ახალი გარდაცვლილი იქნებოდა, ადვოკატის შეცდომაც არ იქნებოდა ფატალური, რადგან 4 - 5 თვეში ექსპერტიზის დასკვნაც მოესწრებოდა და - სამკვიდროს გახსნა - მიღებაც; კონკრეტულ შემთხვევაში კი სამკვიდრებლის გარდაცვალებიდან გასულია 5 თვეზე მეტი. ეს უნდა შეემჩნია ადვოკატს და მოქმედების პრიორიტეტულობაც ამის მიხედვით განესაზღვრა.

3. განსაზღვროს დაცვის პრიორიტეტები. მაგალითად: თუ ადვოკატი შენიშნავდა მთავარ გარემოებას, რომ გადიოდა სამკვიდროს გახსნისა და მიღების კანონით დადგენილი 6 თვიანი ვადა, პრიორიტეტულად ჩათვლიდა რჩევას: შესაბამისი განცხადებით მიემართა კლიენტს ნოტარიუსისთვის.

4. პასუხისმგებლობის გრძნობა და მაქსიმალური ყურადღება კონსულტაციის დროს. წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმონდებოდა მურმან კ. თუ ფაქტობრივი მფლობელობის დადასტურება გაუჭირდებოდა, იგი კარგავდა სამკვიდროს ადვოკატის უპასუხისმგებლო და უყურადღებო რჩევის გათვალისწინების გამო.

5. აუჩქარებლობა კონსულტირების პროცესში აუცილებელია ნებისმიერ ადვოკატისთვის. ანუ, რაოდენ იოლიც არ უნდა მოგვიჩვენოთ პრობლემის გადაწყვეტა, ნუ აჩქარდებით და

ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. იფიქრეთ ამ პრობლემაზე მთლიანობაშიც და წვრილმანებშიც.

## კაზუსი №2

ამ შემთხვევაში ადვოკატის შეცდომა მდგომარეობს ორი ალტერნატივიდან ყველაზე უარესი დაცვითი გზის არჩევაში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ადვოკატის ერთერთი უმთავრესი მოვალეობაა კლიენტის ინტერესები დაიცვას რაც შეიძლება ნაკლები დროის და ფინანსური დანახარჯებით, ანუ აირჩიოს ისეთი დაცვითი პოზიცია, რომელიც უმოკლესი გზით დააყენებს სასურველ შედეგს და ფინანსურადაც ნაკლებად დააზარალებს კლიენტს.

კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად საწინააღმდეგო მოხდა. ადვოკატმა აირჩია გზა, რომელიც გვიან დააყენებს სასურველ შედეგს, რადგან მოწინააღმდეგე მხარე გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას, შესაბამისად იგი ძალაში ვერ შევა და კარგახანს ვერ აღსრულდება.

გარდა ამისა, კლიენტმა გადაიხადა სახ. ბაჟი; ადვოკატის მომსახურების ხარჯები; აპელაციაშიც მოუწეს ხარჯების გაღება და ა. შ.

რა იყო მეორე ალტერნატივა ანრი ა-ს ინტერესების დაცვისა?

ეს გახლავთ ადმინისტრაციული იძულების გზა, ანუ მოპასუხის გამოსახლება პოლიციის ძალით.

შესაბამისად, ანრი ა-ს უნდა მიემართა განცხადებით შ.ს. სამმართველოსთვის, წარედგინა უძრავი ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი (საჯარო რეესტრის ამონაწერი) და მოეთხოვა გივი ა-ს ოჯახის გამოსახლება თანახმად შ.ს. მინისტრის 2007 წლის 31 მარტის №495-ე ბრძანებისა (საკუთრებაში არსებულ უძრავი ნივთის ხელყოფისა და სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის შესახებ).

ეს გზა ეფექტური იმითაა, რომ ზ.ა. №495-ე ბრძანების გასაჩივრება ვერ აჩერებს მის აღსრულებას, ანუ გივი ა-ს გამოსახლება მოხდებოდა დაუყოვნებლივ (5 დღიანი გაფრთხილების შემდეგ) რაც ვერ მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილების დროს მისი გასაჩივრების შემთხვევაში.

ამ მაგალითიდან ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. უნდა ექებოს მოკლე, ზუსტი და ნაკლებ ხარჯიანი გზა კლიენტის ინტერესების დაცვისა;

2. დაცვის პოზიციის შერჩევისას, დამცველმა უნდა გადაამოწმოს სხვა რამე ნორმა ხომ არ არსებობს, რომელიც უკეთესად მოემსახურება სასურველი მიზნის მიღწევაში;

3. არა ეთიკურია დაცვის რთული და ხარჯიანი გზის არჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ ამით მეტ სარგებელს მიიღებს ადვოკატი.

### კაზუსი №3

დავიწყოთ კონსულტაციებით: გვახსოვდეს, რომ კლიენტმა თავისი ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება საერთოდ არ ან ვერ მოგვაწოდოს ინფორმაცია, ან მოგვაწოდოს უამრავი უხარისხო ინფორმაცია, რომელსაც კავშირი არა აქვს დავის არსთან და არც მტკიცების საგნად გამოდგება.

თუ კლიენტი სიტყვაპუნწია უნდა ვიზრუნოთ ნდობის ამადლებაზე, დაუუსვათ შეკითხვები და არ შევაწყვეტინოთ თხრობა;

თუ კლიენტი აბეზარია, მისი საუბარს ადვირი და საცერი სჭირდება, რომ წარემართოთ სასურველი გზით და გავცხრილოთ „სარეველა“ ინფორმაციებისგან.

კონკრეტულ შემთხვევაში გიგა ოსაძე არც სიტყვაპუნწი ჩანს და არც აბეზარი. მან მოგვაწოდა საჭირო ინფორმაცია, მაგრამ მისი მოთხოვნებიც საჭიროებს კორექტირებას.

მაგალითად: აუცილებლად უნდა გავერკვეთ, რამდენად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია მოთხოვნა – ყოფილი ცოლისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა.

ხშირ შემთხვევაში ეს მოთხოვნა კლიენტის უარყოფითი ემოციის გამოძახილია და თუ მას ბრმად დავმორჩილება ადვოკატი, ამით კლიენტსაც დააზარალებს, (ტყუილად ზედმეტ ბაუს გადაახდევინებს) და თავის იმიჯსაც დააყენებს ეჭვ ქვეშ, რადგან ჯერ ერთი, ამ მოთხოვნის დაყენების უფლება მეუღლეს აქვს არა სასამართლოში, არამედ, - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში და მეორეც, მშობლის უფლების ჩამორთმევა ხდება განსაკუთრებულ შემთხვევაში და ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ არსებობს და ეს ყველაფერი კონსულტირების დროს უნდა აუხსნას ადვოკატმა კლიენტს.

სწორი კონსულტირების შემთხვევაში კი ადვოკატი მივა იმ დასკვნამდე, რომ კლიენტის სამართლებრივი მიზანია განკორწინება და ბავშვთან ურთიერთობის განსაზღვრა,

რაც შეეხება ალიმენტზე უარის თქმას, კლიენტის ასეთ პოზიციასაც არ უნდა დაეთანხმოს ადვოკატი და აუხსნას, რომ არც ერთი მოსამართლე ალიმენტისგან სრულიად არ გაანთავისუფლებს მშობელს, რაოდენ გაჭირვებულიც არ უნდა იყოს, ვინაიდან მშობელს ეკისრება ბავშვის რჩენის ვალდებულება.

როცა ამას ავუხსნით კლიენტს, კარგი იქნება, თუ სათანადო ნორმასაც (ს.კ. 1198 მუხ.) წავუკითხავთ და განვუმარტავთ.

შესაბამისად, კლიენტის მოთხოვნა სამართლებრივ ჩარჩოში უნდა ჩასვას ადვოკატმა და შესაგებელის მტკიცების საგანი ისე უნდა განისაზღვროს, რომ შედეგი მიღწევადი იყოს, ანუ გ. ოსაძემ უნდა მოითხოვოს ალიმენტის მაქსიმალურად შემცირება და დაარწმუნოს მოსამართლე, რომ მის მდგომარეობაში მყოფ მშობლისთვის შეუძლებელია მიზერულზე მეტი ალიმენტის დაკისრება.

ამის შესაბამისი მტკიცებულებებია: გ. ოსაძის უმუშევრობა; მისი ოჯახის სოციალურად დაუცველობა და კიდევ ერთი გარემოება, რომლის შესახებ კლიენტმა დოკუმენტი არ წარმოადგინა, მაგრამ ადვოკატთან საუბრისას ახსენა და ეს არ უნდა გამორჩეს დამცველს: გ. ოსაძე ინვალიდია. ამის დამადასტურებელი დოკუმენტი აუცილებლად უნდა დაერთოს საქმეს, თუ სურს, რომ ალიმენტი მნიშვნელოვნად შემცირდეს.

მიაქციეთ ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას. ანა ქურდაძემ გამოითხოვა ცნობა საკრებულოდან, სადაც აღნიშნულია, რომ გ. ოსაძის ოჯახი ფლობს 1,30 ჰა. მიწის ნაკვეთს. (იმის მტკიცებისთვის, რომ მას შემოსავალი აქვს)

ამის კონტრმტკიცებულებად გ. ოსაძემ იმავე საკრებულოდან უნდა გამოითხოვოს ცნობა სადაც დაფიქსირებული იქნება:

რომ ამ 1,30 ჰა-დან გ. ოსაძის კუთვნილებაში არაფერია და რომ ეს მიწები არ არის ხეხილიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის შემოსავლიანი, ხოლო სახნავი მიწის დამუშავება შეძლებულ გლეხსაც უჭირს, არა თუ ინვალიდ, მამით ობოლ და სოციალურად გაჭირვებულ გ. ოსაძეს.

ახლა ვნახოთ, რა იქნება მტკიცების საგანი გ. ოსაძისთვის ბავშვთან ურთიერთობის განსაზღვრისას. მას სურს, რომ ბავშვი

ყოველ შაბათ-კვირას წაიყვანოს და ჰყავდეს თავისთან – სოფელში. ყოფილი ცოლი კი წინააღმდეგია, ის ამბობს, რომ ბავშვი ღამით ვერ გაძლებს სხვაგან და ა. შ.

ამავე დროს, სასამართლო სხდომაზე ანა ქურდაძის რწმუნებულმა დაადასტურა, რომ მისი მარწმუნებელი უცხოეთშია სამუშაოდ და ბავშვს ზრდის ძიძა.

ამ ფაქტის კონსტატირება აუცილებელია საპაექრო სიტყვაში, რა დროსაც გ. ოსაძის ადვოკატი იტყვის: „თუ ბავშვი ძიძასთან ძლებს ერთი თვე, მაშ რატომ ვერ გაძლებს მამასთან?!“

ამას დაემატება მტკიცებულება, რომელიც გიგამ ახსნა-განმარტებისას აღნიშნა, რომ ბავშვი დედის გარეშე მასთან ორჯერ იმყოფებოდა ერთ-ერთი კვირის განმავლობაში.

შიაქციეთ ყურადღება: თუ ამ სიტყვებს მხოლოდ ადვოკატი იტყოდა თავის სიტყვაში, მტკიცებულების ძალა არ ექნებოდა, მაგრამ მტკიცების ძალა აქვს ამ სიტყვებს ადვოკატისთვის მას შემდეგ, რაც იგი იქცა მტკიცებულებად მხარის (გ. ოსაძის) მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა განმარტების შედეგად.

ახლა ვნახოთ, რას უნდა მიექცეს ყურადღება, როცა მოსარჩელე ითხოვს განქორწინებას დაუყოვნებლივ, ანუ შერიგების ვადების მიცემის გარეშე.

სანამ სასამართლო ამ საკითხს განიხილავდეს, ჯერ დამცველმა ადვოკატმა უნდა იზრუნოს, რომ განქორწინება არ მოხდეს ბრმად, ცხელ გულზე და ერთი გაელვებით. (თუმცა, არც ესაა უბედურება, რადგან თუ განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ იგი არ დარეგისტრირდა სამოქალაქო რეესტრში).

თუ ადვოკატი დარწმუნდება, რომ შერიგება შეუძლებელია, წერს სარჩელს, მაგრამ დაუყოვნებლივ განქორწინება მაინც ვერ მოხდება, თუ არ იქნება სათანადო საფუძველი.

თუ გ. ოსაძე საფუძველად მხოლოდ დალატს მიუთითებდა, სასამართლო საკმარისად ვერ ჩათვლიდა, მაგრამ როდესაც მხარე ახსნა-განმარტებისას დააფიქსირებს, რომ ის და თავისი მეუღლე უკვე ერთი წელია ერთად აღარ ცხოვრობენ, სასამართლო მიუა დასკვნამდე, რომ შერიგების ვადის მიცემას არანაირი აზრი არა აქვს, რადგან მას არ მოჰყვება სასურველი შედეგი ოჯახის გამთლიანებისა.

ბოლოს უნდა შევეხოთ საადვოკატო რჩევა-დარიგებას, ანუ დასკვნით კონსულტაციას, რომელიც ადვოკატმა აუცილებლად უნდა გაუწიოს დაპირისპირებულ მხარეებს მსგავს საქმეებზე, (თუ იგი გამორჩა მოსამართლეს).

შვილის თანდასწრებით ერთმანეთის ძაგებას უნდა მოერიდონ გაყრილი შშობლები, რადგან ეს გამოიწვევს ბავშვის სულის დამახინჯებას, - მის გაბოროტებას და რაც მთავარია, ეს ბუმერანგით შემოუბრუნდებათ თვითონ მათ, ვინც ბავშვის სულში სიძულვილს დათესავს სიყვარულის ნაცვლად.

რა უნდა დავიხსოვოთ ზემოთ მოყვანილ კაზუსიდან გამომდინარე?

1. ადვოკატმა უნდა შეძლოს კლიენტისგან ინფორმაციის მიღება; საუბრის მართვა და არასასტირო ინფორმაციების გაცხრილვა;

2. ადვოკატმა უნდა შეძლოს კლიენტის მოთხოვნების კორექტირება და სამართლებრივ ჩარჩოებში ჩასმა;

3. ადვოკატი უნდა გაერკვეს, - კლიენტის მოთხოვნა და მისი სამართლებრივი მიზანი ემთხვევა თუ არა ერთმანეთს;

4. ისეთ მოთხოვნას ნუ დაეყენებთ, რისი დაკმაყოფილების შანსი უკიდურესად მიზერულია;

5. მოთხოვნების კორექტირების დროს კლიენტთან მოვიშველიოთ მოქმედი ნორმები, წაუუკითხოთ და განუშარტოთ მისთვის გასაგებ ენაზე;

6. შეიძლება კლიენტი გვიმაღავს გარკვეულ ფაქტსა და გარემოებას (მაგ: რცხვენია თავისი ინვალიდობის გამოქლავნება), მაგრამ თუ საქმეს სტირდება, უნდა დავარწმუნოთ კლიენტი, რომ ეს ფაქტი და გარემოება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად;

7. გვახსოვდეს: ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ კლიენტისგან ვიცით, ისევე კლიენტმა უნდა აქციოს მტკიცებულებად, - სასამართლოში ახსნა-განმარტების მიცემის გზით;

8. საოჯახო სამართლებრივი საქმეების წარმოებისას, ადვოკატისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს კლიენტის ოჯახის შენარჩუნება და ბავშვის ინტერესები;

#### კაზუსი № 4

კლიენტი, რომელიც ითხოვს ბაჟისგან განთავისუფლებას, - ესე იგი ფინანსურად უჭირს. ასეთ შემთხვევაში, ალბათ,

რადგან ნიშნავს 50 ლარით ბაჟის შემცირებაც და ეს შეუძლია ადვოკატს, თუ კორექტირებას მოახდენს კლიენტის სასარჩელო მოთხოვნაში და მოპასუხისგან მოითხოვს არა 2010, - არამედ 2000 ლარს. ვინაიდან, - 2000 ლარამდე დავის განხილვა მაგისტრატის მოსამართლის განსჯადია, ხოლო თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილისა, მაგისტრატ მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

გაითვალისწინეთ:

ამ კაზუსში მთავარია არა ბაჟის შემცირება, არამედ - კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, - ფაქტების მორგება მოქმედ კანონმდებლობასთან.

### კაზუსი № 5

... ის, რომ ვასილ ლალაშვილი დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო და ომის შემდეგ გადასახლებული იყო მაგადანის ოლქში, არ არის საკმარისი ინფორმაცია საიმისოდ რომ ზემოთ ხსენებული პიროვნება რეპრესირებულად იქნეს ცნობილი.

დავუშვათ, ადვოკატმა დაწვრილებით გამოჰკითხა კლიენტს და გაიგო, რომ ვ. ლალაშვილის გადასახლება მოხდა ომის შემდეგ, გერმანიაში ტყვედ ყოფნის გამო.

ეს უკვე არის საჭირო ინფორმაცია, მაგრამ არ არის შესაბამისი მტკიცებულება, (ცნობა შ.ს.ს. არქივიდან) რომელიც დოკუმენტურად დაადასტურებდა, რომ ვ. ლალაშვილის მსჯავრდება და გაციმბირება მოხდა ნამდვილად გერმანიაში ტყვედ ყოფნის გამო და არა, ვთქვათ, - ქურდობისთვის ან სხვა სისხლის სამართლებრივი დანაშაულისთვის.

დავუშვათ, მიმართა ადვოკატმა შ.ს.ს. არქივს და მიიღო სათანადო დოკუმენტი. ახლა თუ შეუძლია ანა ლალაშვილს, მიმართოს სასამართლოს?

არა, რადგან კანონმა კონკრეტულად განსაზღვრა: ვინ ითვლება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და თუ შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, - შ.ს.ს. არქივის ცნობითაც უნდა ჩაითვალოს, რომ ვასილ ლალაშვილი არის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი და ეს ფაქტი მტკიცებას აღარ საჭიროებს.

მაშ ვის უნდა მიმართოს ანა ლალაშვილმა?

იმისთვის, რომ სწორი რჩევა მისცეს მისმა ადვოკატმა, ჯერ უნდა გაერკვეს, - რა სამართლებრივი მიზანი ამოძრავებს მის კლიენტს?

თუ ანა ლალაშვილს მხოლოდ მამის სახელის რეაბილიტაცია და რეპრესირებულად აღიარება სურს, სასამართლო ამაზე უარს ეტყვის ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო.

თუ ანა ლალაშვილის საბოლოო სამართლებრივ მიზანს სოციალური შეღავათების მიღება წარმოადგენს, მაშინ მით უმეტეს არ უნდა მიმართოს სასამართლოს, რადგან პენსიას და სოციალურ შეღავათებს სასამართლო არ გასცემს.

დასკვნა და გამოსავალი ერთადერთია: ანამ უნდა მიმართოს სოც. სააგენტოს, აღნიშნოს, რომ მამამისი რეპრესირებულად არის ცნობილი ამა და ამ კანონით და ამავე კანონით მოითხოვოს პენსია

როგორც წესი, ასეთი მოთხოვნა არ კმაყოფილდება და აი, მერე მიემართავეთ სასამართლოს, სადაც სასარჩელო წესით ადმინისტრაციულ საქმეზე მოპასუხედ ერთვება სოც. სააგენტო. (ასეთია დღევანდელი სასამართლო პრაქტიკა).

კიდევ ერთი გარემოებაა დასადგენი: ქალბატონმა ანამ რა მოთხოვნები უნდა დააყენოს სასამართლოში სასარჩელო წესით მიმართვისას.

უნდა მოითხოვოს მამის რეპრესირებულად ცნობა? მაგრამ ჩვენ ხომ აღნიშნეთ, რომ კანონმა უკვე განსაზღვრა პირები და კრიტერიუმები, თუ ვინ რისთვის შეიძლება იქნეს ცნობილი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. მართალია, მაგრამ აქ არის ლაპარაკი უდაო წარმოების წესით რეპრესირებულად ცნობის მიზანშეუწონლობაზე, ანუ ის, რაც კანონმა ცნო და განსაზღვრა, აღარ საჭიროებს სასამართლოს წესით ხელახლა დადგენას.

სასამართლო ერთობა მხოლოდ სადაო გარემოებებში, როცა ესა თუ ის უწყება (დაწესებულება) საეჭვოდა და სადაოდ მიიჩნევს ამა თუ იმ პირის რეპრესირებულად მიჩნევას.

კონკრეტულ შემთხვევაში სოც. სააგენტომ სადაოდ მიიჩნია ვ. ლალაშვილის რეპრესირებულობა, რის გამოც არ გაავრცელა მის მემკვიდრეზე კანონით გათვალისწინებული სოც. შეღავათები.

გასაგებია, ქ-ნი ანა ითხოვს სასამართლოსგან მამის პოლიტ. რეპრესირებულად ცნობას, მაგრამ მეორე მოთხოვნად უნდა დააყენოს თუ არა პენსიის დანიშვნის საკითხიც?

ამ მეორე მოთხოვნის დაყენება ადვოკატის მხრიდან იქნება შეცდომა შემდეგი გარემოებების გამო:

1. თუ სასამართლო რეპრესირებულად ცნობს ვასილ ლალაშვილს, მისი გადაწყვეტილების საფუძველზე სოც. სააგენტო იძულებული და ვალდებული იქნება დაუნიშნოს ქ-ნ ანას შესაბამისი პენსია (საპენსიო ასაკს მიღწევისას). მაშასადამე, ცალკე გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნაზე საჭირო არ არის.

2. პენსიის დანიშვნაზე სასარჩელო მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, ქალბატონმა ანამ უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, მაშინ როცა ამ მოთხოვნის დაყენებას არავითარი აზრი არა აქვს ზემოთ ხსენებული გარემოებების გამო, ხოლო სახ. ბაჟის გადახდისგან თავისუფლდება, თუ მისი მოთხოვნა იქნება მხოლოდ მამის რეპრესირებულად ცნობა.

### კაზუსი № 6

პავლე გიორგაძეს გაშვებული აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო ვადა და ამიტომაც ცდილობს ალიმენტის ოდენობის შეცვლას, მაგრამ არსებული ფაქტებისა და გარემოებების შესწავლის შემდეგ ადვოკატმა უარი უნდა უთხრას ამგვარი სარჩელის მომზადებაზე და უნდა ამჯობინოს საპროცესო ვადის აღდგენაზე ზრუნვა, (თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65 და 215-ე მუხლებისა), ვინაიდან აშკარაა, რომ 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეში არსებული მტკიცებულებების სათანადოდ შეფასების გარეშე და ეჭვმიტანილობა გაუქმებას (შეცვლას);

რაც შეეხება ალიმენტის შეცვლა-შემცირებაზე სარჩელის შეტანას, იგი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ აშკარად შეიცვლება ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა.

კონკრეტულ შემთხვევაში, პავლე გიორგაძემ უნდა წარადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების შემდეგ. ასეთი გაუარესება ვერ დგინდება წარმოდგენილი მტკიცებულებით.

მართალია, პავლე გიორგაძის მდგომარეობა ისედაც გაუარესებული იყო სასამართლოში საქმის განხილვის დროს,

მაგრამ ეს გარემოებები არ შეფასდა სათანადოდ და ამიტომაც იმსახურებს იგი შეცვლას, მხოლოდ გასაჩივრების გზით და არა ახალი სარჩელით.

თუ საპროსცესო ვადის აღდგენაზე უარს ეტყვის სასამართლო, მაშინ პ. გიორგაძეს შეუძლია შეიტანოს სასამართლოში სარჩელი „ალიმენტის ოდენობის შეცვლაზე“ ორი თვის შემდეგ, როცა მისი მეორე ცოლი იმშობიარებს, რაც მნიშვნელოვანი მტკიცებულება იქნება მოსარჩელის ოჯახური მდგომარეობის შეცვლისა და იქნება საფუძველიც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა.

კიდევ ერთი რჩევა შეიძლება მივცეთ პავლე გიორგაძეს: იმ შემთხვევაში, თუ ძალაში შევა 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, საწამ ალიმენტის ოდენობის შეცვლაზე შევიდოდეს სასამართლოში, იგი თავისი ნებით უნდა გამოცხადდეს აღმასრულებელთან და გადაიხადოს ალიმენტი იმ ოდენობით, რის შესაძლებლობაც აქვს (მაგ: 30 - 40 ლარი და არა 140 ლარი, რომელიც სასამართლომ დააკისრა).

ეს მოქმედება საჭიროა იმისთვის, რომ მის მიმართ არ განხორციელდეს იძულებითი ღონისძიებები და არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ალიმენტის ჯიუტად გადაუხდელობის ან სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო.

## კაზუსი № 7

ამ კაზუსში დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის სწორედ დაყენებას მტკიცების საგანს და მის თანამიმდევრობას.

თუ ოლეგ ლატარიას ადვოკატი ყურადღებას გადაიტანს სამკვიდრო ბინაზე, მტკიცების საგანი გასცდება მოთხოვნის კანონიერებას და ოლეგ ლატარიას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება შემდეგი გარემოებების გამო:

1. სადაო ბინა მამკვიდრებლის, - არჩილ ლატარიას გარდაცვალების შემდეგაა აშენებული და ბუნებრივია, სამკვიდრო მასაში ვერ შევიდოდა

2. არის მტკიცებულება, რომლის თანახმადაც მოპასუხე ვასილ ლატარიამ ააშენა სადაო სახლი მამისეულ ნაფუძნარზე;

3. მამკვიდრებლის ქონების ფაქტობრივი მფლობელობის თვალსაზრისითაც უპირატესი მდგომარეობა მოპასუხე ვასილ ლატარიას მხარესაა.

4. ვასილ ლატარიას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილობა ავტომატურად არ წარმოშობს ბინის წილზე საკუთრების უფლებას მამკვიდრეობის მიღების გზით.

როგორც ვხედავთ, ოლეგ ლატარიას სამართლებრივი მდგომარეობა სავალალოა, მაგრამ არის გამოსავალიც:

მოსარჩელის ადვოკატმა ღურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებზე:

1.საქმეში არის მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ სადაო სახლი აშენებულია არჩილ, ვასილ და ოლეგ ლატარიას საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე;

2.ზემოთ აღნიშნული საერთო საკუთრება არ გაუქმებულა არც არჩილ ლატარიას გარდაცვალების შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ მამის კუთვნილ ქონებაზე ფაქტობრივი მფლობელობა ოლეგ ლატარიამ შეინარჩუნა;

3.თანახმად ს.კ. 173-ე და 959 მუხლებისა საერთო საკუთრებაში არსებული საზიარო ნივთის განკარგვა ხდება თანამესაკუთრეების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე;

4.თანახმად ს.კ. 171-ე მუხლისა ნივთზე საკუთრების (თანასაკუთრების) უფლება ვრცელდება ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზეც;

5.თანახმად ს.კ. 150-ე მუხლისა მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება მასზე არსებული შენობა ნაგებობანიც;

6.ყოველივე ზემოთ აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ვასილ ლატარიას არ ჰქონდა უფლება ოლეგ ლატარიას თანხმობის გარეშე აეშენებინა სახლი საზიარო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, ვინაიდან არჩილ ლატარიას გარდაცვალების შემდეგ მისი სახლის დანგრევის შედეგად ეს ნასახლარი იქცა ოლეგ და ვასილ ლატარიების საზიარო საკუთრების მიწად;

7.ყოველივე ზემოთ აღნიშნული მეტყველებს იმაზეც, რომ უფლება უძრავი ქონების თანასაკუთრებისა გადავიდა საზიარო მიწის შემადგენელ ნაწილზეც - ვასილ ლატარიას მიერ აშენებულ სახლზე.

8.თანახმად ს.კ. 968 მუხლისა, საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

შესაბამისად, ფაქტობრივი მფლობელობით მამის მემკვიდრეობის მიღების შემდეგ ოლეგ ლატარიას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვასილ ლატარიასგან საზიარო წილის გაუქმება ნატურით გამოყოფის გზით, სადაც შევა მამის, -

არჩილ ლატრიას წილის ნახევარიც თავისი შემადგენელი ნაწილით (სადაო სახლის 13 ნაწილი).

ახლა დავასკვნათ: არსებული ფაქტების, გარემოებების და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ფონზე, - რა მოთხოვნით უნდა მიმართოს ოლქე ლატარიამ სასამართლოს?

მივაქციოთ ყურადღება ერთ მაცდურ მტკიცებულებას: 2003 წლის 8 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქ. დუშეთში გაგარინის ქ.№1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი (რომელიც აშენდა 2002 წელს) - საკუთრების უფლებით აღირიცხა 1968 წელს გარდაცვლილ არჩილ ლატარიას სახელზე.

ს.კ. 312-ე მუხლით დადგენილი ნორმის მიხედვით: „საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია“ რაც იმას ნიშნავს, რომ არჩილ ლატარიას სამკვიდროში მოიაზრება ზ.ა. სადაო სახლიც.

მაგრამ იმავე ს.კ. 312-ე მუხლის ხსენებულ ნორმას აქვს ასეთი გაგრძელება: „ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უსწორობა“

მაშასადამე, შესაძლებელია სასამართლომ უსწოროდ ჩათვალოს რეესტრის ის მონაცემი, რომლის მიხედვითაც გარდაცვლილის საკუთრებაში აღირიცხა მისი გარდაცვალების შემდეგ სხვის მიერ აშენებული უძრავი ქონება.

მიუხედავად რთული სამართლებრივი მდგომარეობისა, მიგვაჩნია, რომ ოლქე ლატარიას უფლებისა და ინტერესების დაცვა შესაძლებელია შემდეგი თანამიმდევრობით:

8. ოლქე ლატარიამ უნდა მიმართოს ნოტარიუსს და მოითხოვოს სამკვიდრო მოწმობა მამის დანაშთ ქონებაზე;

9. ნოტარიუსი მოითხოვს მამის სამკვიდროს ფაქტობრივი მფლობელობის დამადასტურებელ საბუთს და ამ შემთხვევაში ოლქე ლატარია წარადგენს საჯარო რეესტრის ამონაწერს, რომლის თანახმადაც ზ.ა. მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებულია არჩილ, ვასილ და ოლქე ლატარიების საერთო საკუთრებად;

10. თუ ნოტარიუსი უარს ეტყვის ოლქე ლატარია მიმართავს სასამართლოს სასარჩელო წესით (მოპასუხე ვასილ ლატარია) იმის დასამტკიცებლად, რომ ფაქტობრივი მფლობელობით იგი ფლობს მამის სამკვიდროს;

11. სასამართლოს მხრიდან სასურველი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ოლქე ლატარია მიმართავს კვლავ ნო-

ტარიუსს და იღებს სამკვიდრო მოწმობას მამის დანაშთ ქონებაზე;

12. ზ.ა. სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ ოლეგ ლატარია საჯარო რეესტრში არეგისტრირებს თანასაკუთრების უფლებას, რომელშიც შედის მამისეული სამკვიდროს წილიც;

13. ვასილ ლატარიასთან მორიგება-შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ოლეგ ლატარია კვლავ მიმართავს სასამართლოს და მოითხოვს საზიარო უფლების გაუქმებასა და წილის ნატურით გამოყოფას.

## კაზუსი № 8

სასარჩელო მოთხოვნებში მართლაც უამრავი შეცდომები დაუშვა ადვოკატმა, კერძოდ:

1. მართალია, მოსარჩელემ პატიოსნად წარმოადგინა დაკრძალვის ხარჯებთან დაკავშირებული ქვითრები, რომელიც 1400 ლარს შეადგენდა, მაგრამ ადვოკატს შეეძლო მტკიცებულებების გარეშეც მოეთხოვა 3000 ლარის დაკისრება მოპასუხისთვის, ვინაიდან არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, დანაშაულის გზით მიყენებული ზარალის შემთხვევაში დაზარალებულის დაკრძალვის მიზერულ ხარჯად, მტკიცებულებების გარეშე, განისაზღვრა 3000 ლარი;

2. დანაშაულიდან გამომდინარე მორალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლოა კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან დაზარალებულმა ან მისმა უფლება მონაცვლემ შეიძლება დააყენოს ასეთი მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სულიერ ტანჯვას განიცდიდა უშუალოდ დანაშაულის პროცესში. მაგალითად თუ მშობლის თვალწინ კლავენ ან აუპატიურებენ შვილს და ა.შ. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სასამართლო არ აკმაყოფილებს მსგავს მოთხოვნებს და ეს უნდა იცოდეს ადვოკატმა;

3. ადვოკატს უნდა სცოდნოდა, რომ სარჩოს ოდენობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო დაზარალებულის ხელფასის ცნობა, რომელიც დამცველს უნდა გამოეთხოვა სამსახურის ადმინისტრაციისგან.

ამ ცნობის გარეშე მოსამართლე იძულებული იქნება მიზერული ოდენობის სარჩო დააკისროს მოპასუხეს.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთ მოყვანილი კაზუსიდან?

1. ნებისმიერი საქმის წარმოების პროცესში ადვოკატმა უნდა გადაამოწმოს – მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში ხომ არ არის რაიმე სიახლე: ახალი ნორმა; ცვლილება ნორმაში; უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და ა.შ.

2. ზემოთ ხსენებული გადამოწმების პროცესში ურიგო არ იქნება გამოცდილი კოლეგების მოსაზრებების მოსმანა და გათვალისწინება;

3. ადვოკატის არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს, როდესაც იგი ამა თუ იმ გარემოების მტკიცებისას იყენებს არასათანადო მტკიცებულებებს, მაშინ როცა აღნიშნული გარემოება უნდა დადასტურდეს კანონით განსაზღვრულ მტკიცებულებით. (მაგალითად: გარემოება, რომ დაზარალებული მუშაობდა და იღებდა ხელფასს, უნდა დადასტურდეს სამსახურიდან მიღებულ ხელფასის ცნობით და არა თანამშრომელთა დამოწმებით.)

4. თუ მთავარ სხდომაზე აღმოაჩენთ, რომ მთავარი მკიცებულება აკლია ერთერთ მოთხოვნას, საქმე უნდა გამოითხოვოთ ამ მოთხოვნის ნაწილში (სსკ 83\1) და ხელახლა მიმართოთ სასამართლოს გამოთხოვილი მოთხოვნით და სათანადო მტკიცებულებით.

## კაზუსი № 9

ქალბატონი თამარის სამართლებრივი მდგომარეობა მართლაც სავალალოა. მან შეიძლება მოითხოვოს ალიმენტი შვილის სარჩოდ და გაყიდული ბინის შედეგად მიღებული სარგებელის ნახევარი, მაგრამ მეუღლისგან ვერ მიიღებს ვერც ერთს და ვერც – მეორეს, ვინაიდან მის სახელზე არანაირი უძრავ-მომძრავი ქონება არ ირიცხება და თვითონაც გადახვეწილია საზღვარგარეთ.

ამ ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ (რომ ბადრი გ-ს სახელზე არანაირი ქონება არ ირიცხება) – ადვოკატმა თამარს უნდა ურჩიოს, რომ სარჩელი შეიტანოს ზესტაფონის სასამართლოში მხოლოდ ალიმენტის მოთხოვნით. იქვე უნდა დააყენოს შუამდგომლობა, საჯარო გამოცხადების გზით იქნეს წარმოებული საქმე მოპასუხე ბადრი გ-ს მიმართ.

შეცდომა იქნება, თუ ადვოკატი ურჩევს თამარს – მოითხოვოს 2009 წლის 12 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებს გაუქმე-

ბა და ბინის თანამესაკუთრედ ცნობა. აღნიშნული მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება და ტყუილად სახ. ბაჟის გადახდა მოუწევს ქალბატონ თამარს.

ეხლა ვნახოთ, რა ნორმები უნდა იცოდეს ადვოკატმა, მსგავს სიტუაციაში შეცდომაში რომ არ შეიყვანოს კლიენტი:

1. თანახმად ს.კ. 183-ე მუხლისა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად საჭიროა ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. (იგივე ითქმის თანასაკუთრების უფლებაზეც);

2. თანახმად ს.კ. 312-ე მუხლის პირველი ნაწილისა „საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია“

3. თანახმად ს.კ. 312-ე მუხლის მესამე ნაწილისა „თუ მესაკუთრე ახდენს უძრავი ქონების გასხვისებას... დაუშვებელია გარიგების დადებისას (უფლების რეგისტრაციისას) თანამესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა, თუ იგი ასეთად არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში“

4. თანახმად ს.კ. 1160-ე მუხლის მეორე ნაწილისა, „მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმებოდა გარიგებას“ ( ე.ი. აქ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ თუ ერთი მეუღლე განკარგავს თანასაკუთრების ქონებას, ივარაუდება, რომ ამგვარი განკარგვა ხორციელდება მეორე მეუღლესთან შეთანხმებით. )

5. იმავე ს.კ. 1160-ე მუხლის მესამე ნაწილისა, - „მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი“

ბოლოს ვუპასუხოთ კითხვას: როგორ მოიქცეოდა ადვოკატი, თუ ზ.ა. ბინის გაყიდვამდე მივიდოდა მასთან ქალბატონი თამარი და აცნობებდა მოსალოდნელ გასხვისების შესახებ?

უპირველეს ყოვლისა საჯარო რეესტრიდან სასწრაფოდ უნდა აეღო ამონაწერი აღნიშნულ ბინაზე და დაუყოვნებლივ მიემართა სასამართლოსთვის, რათა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებულიყო სადაო ბინა.

ამის შემდეგ თამარი შევიდოდა სასამართლოში აღიარებით სარჩელით და მოითხოვდა სადაო ბინაზე კანონით შექმნილი თანასაკუთრების უფლების ცნობას.

ამ შემთხვევაში მტკიცების საგნისთვის საკმარისია ორად ორი მტკიცებულება: ქორწინების მოწმობა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ქალბატონ თამარის მოთხოვნა უსათოოდ დაკმაყოფილდებოდა, რის შემდეგაც აღნიშნულ ბინაზე თანასაკუთრების უფლებას დაარეგისტრირებდა საჯარო რეესტრში.

## კაზუსი № 10

ადვოკატს უნდა აეხსნა ქალბატონ მაიასთვის, რომ მისი მოთხოვნა ამ ეტაპზე უკანონო იყო და განემარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313 –ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადაც: „იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დამადასტურებელი საბუთის მიღების შეუძლებლობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული (გამოცემული) ადმინისტრაციული აქტით“

ეს ნორმა ქალბატონ მაიასთვის გასაგებ ენაზე ასე უნდა განემარტოთ: სამკვიდრო მოწმობის მიღების შეუძლებლობა უნდა დადასტურდეს ნოტარიუსის მიერ გამოცემული სანოტარო აქტით, - დადგენილებით, სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

თუ ამ ნორმას მიაგნებდა და განუმარტავდა ადვოკატი კლიენტს, თვითონაც მიხვდებოდა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებს აკლდა მთავარი საბუთი: ზემოთ ხსენებული ნოტარიუსის დადგენილება „სამკვიდროს მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“, რომლის გარეშეც სასამართლო წარმოებაში არ მიიღებს განცხადებას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ.

რა მოხდებოდა, თუ ადვოკატი ამ ეტაპზე მიმართავდა ნოტარიუსს შეკითხვით, თუ რატომ არ გასცემდა სამკვიდრო მოწმობას ქალბატონ მაია ზაუტაშვილზე?

ჯერ ერთი, ქალბატონ მაიას განცხადებითაც არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის და ეგეც რომ არ იყოს, სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლამდე ნოტარიუსი დადგენილებას (სანოტარო აქტს) ვერ გასცემს, შეიძლება მხოლოდ ცნობის ტოლფასი ინფორმაცია მიაწოდოს ადვოკატს, რომელსაც მტკიცებულებითი ძალა ვერ ექნება სასამართლოში, დოკუმენტის არასათანადოობის გამო.

ასე და და ამგვარად, ადვოკატისთვის სწორი სამართლებრივი პოზიცია იქნებოდა ისიც და ქალბატონი მაიაც დაელოდნონ სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლას, მიიღონ შესაბამისი დოკუმენტი და მერე მიმართონ სასამართლოს. მაგრამ არა ხაშურში, არამედ გორში, განმცხადებლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

(მიაქციეთ ყურადღება: ერთი შეხედვით ადვოკატმა სწორედ იაზროვნა: განსჯადობის საკითხი მოიძია და დააზუსტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ თავისა და იმ ნორმების მიხედვით, რომელიც განსჯადობას არეგულირებს. კერძოდ: სსსკ -ის მე-16-ე მუხლის მეოთხე ნაწილით „სარჩევები...მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“ მაგრამ ადვოკატს სარჩელი ხომ არ შეჰქონდა? ამიტომ მას უნდა გადაემოწმებინა სპეციალურ ნორმებში რამე ხომ არ იყო განსჯადობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მას შეჰქონდა განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც იმავე კოდექსში ცალკე თავით და სპეციალური ნორმებით რეგულირდება და სადაც (მუხ. 314) წერია, რომ „განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შესახებ შეიტანება... განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“ თუ ეს სპეციალური ნორმა არ იქნებოდა, მაშინ ანალოგიის პრინციპით ადვოკატს შეეძლო ესარგებლა ზ.ა. მე-16-ე მუხლით.)

განმცხადებლებს შორის ქალბატონ მაიასთან ერთად უნდა დასახელდნენ ვიტალი და ნანა ზაუტაშვილები.

განცხადებაში უნდა იყოს ორი მოთხოვნა: სამკვიდროს კუთვნილების დადგენა (რომ გარდაცვლილ მიშა ზაუტაშვილს ეკუთვნის მიხეილ ზაუტაშვილზე რეგისტრირებული უძრავი ქონება) და ნათესაური კავშირის დადგენა - (რომ მიშა ზაუტაშვილი ნამდვილად მამაა განმცხადებლებისა).

მიაქციეთ ყურადღება ადვოკატის კიდევ ერთ შეცდომას: მან მხოლოდ ერთი მოთხოვნა დააყენა განცხადებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ნოტარიუსი მაინც ვერ გასცემდა საკვიდრო მოწმობას და ქალბატონი მზია იძულებული იქნებოდა ხელახლა მიემართა სასამართლოსთვის, ამჯერად ნათესაური კავშირის დასადგენად.

რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა ზემოთ მოყვანილ კაზუსიდან?

1. ადვოკატი არ უნდა მოექცეს კლიენტის ზეგავლენის ქვეშ და ბრმად არ უნდა შეასრულოს მისი მოთხოვნები და მითითებები;

2. ადვოკატმა დაცვითი პოზიცია უნდა შეარჩიოს ფაქტების გარემოებების და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების კარგად გაცნობის შემდეგ;

3. გვახსოვდეს: სამოქალაქო საქმის წარმოების დროს მოსამართლე ვერ გასცდება მოსარჩელის მოთხოვნებს, ამიტომაც ორმაგდება ამ დროს პასუხისმგებლობა ადვოკატისა, რადგან არასწორი და არასრული მოთხოვნა საბოლოო ჯამში აზარალებს კლიენტს, - ამ მოთხოვნის აღსრულების შეუძლებლობის ან კლიენტის ინტერესების დაუკმაყოფილებლობის გამო.

4. ზოგადი ნორმებით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა დავრწმუნდებით, რომ იგივე საკითხს არ არეგულირებს სპეციალური ნორმები.

### კაზუსი №11

წარმოდგენილი ფაქტებისა და გარემოებების დალაგება უნდა მოხდეს კლიენტის ინტერესების, მიზნებისა და პრიორიტეტების მიხედვით.

რა არის ქალბატომ მარიამის ინტერესი? - რომ იგი არ გამოასახლონ სახლიდან.

რა არის მისი მიზანი? - რომ დაიკანონოს თავისი წილი უძრავი ქონება.

პრიორიტეტული რაღა არის? - რომ შეჩერდეს მისი გამოსახლება.

ჩვენ რომ მოქმედება მიზნის მიხედვით დავიწყოთ და სარჩელით შევიდეთ, ქალბატონი მარიამი დაზარალდება: მას გამოასახლებენ და ღია ცის ქვეშ დატოვილი ასაკოვანი ქალბატონი შეიძლება ვერც მოესწროს საბოლოო მიზნის მიღწევით მიღებულ სიკეთეს.

ამიტომაც აქვს მნიშვნელობა პრიორიტეტული მოქმედების განსაზღვრას, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში აღმინისტრაციული იძულების (გამოსახლების) შეჩერებაში მდგომარეობს.

რა ფაქტები, გარემოებები და მტკიცებულებები გვაქვს გამოსახლების შესაჩერებლად?

1. ქალბატონი მარიამი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ანდრო გ-სთან 1990 წლიდან;

2. ქალბატონი მარიამი ბინის ორდერში არ არის ჩაწერილი. მაგრამ მის პირადობის მოწმობაში საცხოვრებელ ადგილად მითითებულია სადაო ბინის მისამართი;

3. ანდრო გ. ჩაწერილი იყო ბინის ორდერში და სარგებლობდა ბინის თანამესაკუთრის უფლებით;

4. ანდრო გ-ს გარდაცვალების შემდეგ ზ.ა. უფლება გადავიდა ქალბატონ მარიამზე, როგორც ერთ-ერთ პირველი რიგის მემკვიდრეზე;

5. დგინდება, რომ ქალბატონი მარიამი ფაქტობრივი მფლობელია ანდრო გ-ს სამკვიდროსი;

6. ქალბატონ მარიამის გამოსახლების მოთხოვნით მიმართა ნათია კ-მ. იგი 15,80 კვმ-ის მესაკუთრეა იმ ბინისა, რომლის საერთო ფართი შეადგენს 74 კვმ-ს. ე.ი. ნათია კ-ს, როგორც მესაკუთრის მოთხოვნა შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ 15,80 კვმ-ზე; ქალბატონი მარიამი კი იტყვის რომ სარგებლობს დანარჩენი ფართით;

7. ღია გ-მაც რომ მიმართოს მარიამის გამოსახლების მოთხოვნით, რეესტრული უზუსტობის გამო გამოსახლება მაინც ვერ მოხდება, რადგან ღია მესაკუთრეა 56 კვმ-ისა; ნათია კ. მესაკუთრეა 15,80 კვ.მ-სა; ხოლო ბინის საერთო ფართია 74 კვმ ესე იგი ზედმეტი რჩება 2,80 კვ.მ რაც ყველგფერთან ერთად უნდა მიუთითოს ქალბატონმა მარიამმა თავის განცხადებაში; დაურთოს შესაბამისი მტკიცებულებები და მოითხოვოს გამოსახლების შეჩერება.

გამოსახლების შეჩერების შემდეგ პრიორიტეტულია სარჩელის წარდგენამდე სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა, ანუ ყადაღის დადება სადაო ბინაზე, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი იქნება ადმინისტრაციულ სამართლებრივი და მოპასუხედ იქნება ქალაქის გამგეობის მუნიციპალიტეტი.

შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს სარჩელის წარდგენა ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ „ადმინისტრაციული აქტების (№432 ბრძანებისა და №225 საკუთრების მოწმობის) ბათილად ცნობის შესახებ“ - სადაც მესამე პირებად ჩართული იქნებიან ნათია კ. და ღია გ.

პარალელურად ქალბატონმა მარიამმა უნდა იზრუნოს ფაქტობრივი მფლობელობით მეუღლის სამკვიდროდ მიღებაზე და ვინაიდან ბინის მესაკუთრეები (ჯერჯერობით) სხვები არიან, მან უნდა წარადგინოს გარდაცვლილი მეუღლის საბანკო ანგარიშის (შემ. სალაროს) წიგნაკი, რაც იქნება დასტური გარდაცვლილი მეუღლის ქონების ფაქტობრივად ფლობისა.

გარდაცვლილი მეუღლე რეგისტრირებული იყო ზ.ა. სადაო ბინაში და იყო ამ ფართის კანონიერი მოსარგებლე, რომელთანაც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ქალბატონი მარიამი. შესაბამისად, მასზე სრული მოცულობით გადადის მემკვიდრეობის უფლებები და მოვალეობები, მათ შორის უფლება, საკუთრებაში მიიღოს სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

სამკვიდრო მოწმობის მიღებისა და ზ.ა. ადმინისტრაციული აქტების გაბათილების შემდეგ ქალბატონი მარიამი ისარგებლებს პრეზიდენტის №73 (10.03.07) ბრძანებულებით და მიმართავს იმავე ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობას სადაო ბინის წილზე საკუთრების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ბინაზე თანასაკუთრების უფლებას დაარეგისტრირებს საჯარო რეესტრში.

შეკითხვა განსჯისათვის:

როგორ შეიცვლებოდა დაცვის პოზიცია, თუ ქალბატონი მარიამს არ აღმოჩნდებოდა გარდაცვლილ მეუღლის საბანკო ანგარიშსწორების წიგნაკი და ნოტარიუსი უარს ეტყოდა(!) სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე?

## კაზუსი № 12

ეს კაზუსი კიდევ ერთი მაგალითია იმისა, როგორ ამჯობინებს ადვოკატი დაცვის რთულსა და ხარჯიან გზას.

სასარჩელო ფორმა კლიენტის ინტერესების დაცვისა, გარდა იმისა რომ გულისხმობს ზედმეტი ბაჟის გადახდას, - ასევე ტოვებს საშიშროებას, რომ იგი გასაჩივრდება, გამოიწვევს დამატებით ხარჯებს, გააჭიანურებს გადაწყვეტილების აღსრულებას და ა.შ.

კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატს შეეძლო თავისუფლად ესარგებლა უდავო წარმოების წესით და სასამართლოში შესულიყო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მოთხოვნით.

რომლის დაკმაყოფილების შემდეგაც, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სრს ქურთის თემის სამსახური ვალდებული იქნებოდა აღესრულებინა გადაწყვეტილება და დაერიგისტრირებინა ბავშვის დაბადების ფაქტი.

კერძოდ, თანახმად სსსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტისა, მოეთხოვა ბავშვის დაბადების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა.

რომლის დაკმაყოფილების შემდეგაც, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სრს ქურთის თემის სამსახური ვალდებული იქნებოდა აღესრულებინა გადაწყვეტილება და დაერიგისტრირებინა ბავშვის დაბადების ფაქტი.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებს შორის ზემოთ აღნიშნული ნორმის გარდა, კარგი იქნება თუ ადვოკატი მიუთითებდა საერთაშორისო ნორმას, კერძოდ: ბავშვთა კონვენციის მე-7-ე მუხლს, რომლის თანახმადაც - „ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და დაბადებისთანავე აქვს უფლება ჰქონდეს სახელი; შეიძინოს მოქალაქეობა...“ და ა.შ.

გვახსოვდეს:

შიდა ნორმებთან ერთად საერთაშორისო ნორმების გამოყენება კიდევ უფრო კვალიფიციურს გახდის ადვოკატის დაცვით პოზიციას.

### კაზუსი № 13

განჩინება რა თქმა უნდა უკანონოა, რადგან სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და ამ სარჩელთან დაკავშირებული ნებისმიერი განცხადება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წარმოების წესით უნდა განხილულიყო, ზემოთ აღნიშნული განჩინება კი მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებით, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა კანონიერი, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში არ იქნებოდა შესაბამისი ნორმა.

კონკრეტულ შემთხვევაში, განჩინების გასაჩივრებისას მტკიცების საგანში შევა პროცესუალური მნიშვნელობის ფაქტი.

კერძოდ, საჩივარში ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მოსამართლის მიერ მხედველობაში არ იქნა მიღებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16-ე მუხლის მეხუთე ნაწილი რომლის თანახმადაც: „...მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებით.“

ადვოკატს უნდა ახსოვდეს:

დმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სამოქალაქო საპროცესო ნორმა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს სპეციალური ნორმები ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში.

### კაზუსი № 14

იმისთვის, რომ ადვოკატმა წარმოდგენილი სიტუაციის სრულყოფილი ანალიზი და შეფასება გააკეთოს, ნორმალურად და ცოტა ეჭვის თვალთაც უნდა გაეცნოს კლიენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებსა და ინფორმაციებს.

მაგალითად: კლიენტი ეუბნება ადვოკატს, რომ სადაო ბინა პრივატიზირებული არ არის და შესაბამისად მას (კობა ბ-ს) აქვს უფლება ამ ბინაზე, რადგან მამა ბინის ორდერში იყო ჩაწერილი და მემკვიდრეობით ბინის პრივატიზების უფლებაც გადადის.

ამ ინფორმაციასთან ერთად კლიენტი აწვდის ადვოკატს მტკიცებულებას: მისი განცხადების პასუხად მიღებულ ცნობას ძველი თბილისის გამგეობიდან, მაგრამ ამ დოკუმენტის კარგად წაკითხვით ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ 2007 წლიდან დღემდე არ გაკეთებულა პრივატიზაცია მითითებულ ბინაზე, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ბინა პრივატიზირებული არ არის.

კლიენტი ეუბნება ადვოკატს, რომ სადაო ბინა არ არის დარეგისტრირებული სჯარო რეესტრში არც მამის და არც დედინაცვლის სახელზე და უჩვენებს ცნობას საჯარო რეესტრიდან, სადაც წერია, რომ „უძრავ ნივთზე მდებარე ვახტანგის ქ.№7/12 ვასილ ბიბილაშვილის და ანა ბიბილაშვილის საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.“

მაგრამ ეს ცნობა ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული უძრავი ქონება დედინაცვლის სახელზე არ არის რეგისტრირებული? ის ხომ ანა საურის სახელითაა წარმოდგენილ ქორწინების მოწმობაში.

მაშასადამე, კლიენტმა არასწორად მიმართა საჯარო რეესტრს და მიიღო შესაბამისი არასწორი პასუხი, რომელსაც თუ დაეყრდნობა ადვოკატი და სარჩელით მიმართავს სასამართლოს, -წააგებს, მაგრამ თუ ნორმალურად გამოითხოვს მტკიცებულებებს, მიღებული ინფორმაციების ფონზე კლიენტს

მისცემს მტკივნეულ, მაგრამ სწორ რჩევას, რომ შეწყვიტოს დავა აღნიშნულ ბინაზე, რადგან იგი პრივატიზირებულია ანა საურის მიერ 1993 წელს და აღნიშნულ ბინაზე მისი საკუთრების უფლება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 2006 წელს. (ანუ, გარდაცვლილი მამის სამკვიდრო მასაში აღნიშნული ბინა არ შედიოდა.)

## კაზუსი №15

ამ კაზუსში ყველაზე მთავარი იმის აღმოჩენაა, თუ რატომ უნდა მიემართა ადვოკატს სასამართლოსთვის სამი დღის ვადაში.

საქმე იმაშია, რომ სახელფასო დავალიანების მოთხოვნა განსხვავდება სანივთე ქონების კომპესაციის მოთხოვნისგან იმით, რომ პირველზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება, ხოლო მეორე მოთხოვნის წარდგენა მოსარჩელეს შეუძლია სამი წლის განმავლობაში მოთხოვნის წარმოშობის დღიდან.

ვინაიდან ბატონი ჯემალი განთავისუფლეს 2006 წლის 18 თებერვალს, სანივთე ქონების კომპესაციის მოთხოვნის წარდგენის ნაწილში მას დარჩა სამი დღე, რადგან ადვოკატს საამისოდ მიმართა 2009 წლის 15 თებერვალს.

მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა შრომითი დავა, დღეს არსებული პრაქტიკით მსგავსი სარჩელების წარდგენა ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმით, მოპასუხი (თავდაცვის სამინისტროს) ადგილსამყოფელის მიხედვით, ანუ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ადვოკატმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან უნდა გამოითხოვოს სათანადოდ დამოწმებული შემდეგი დოკუმენტები:

1. ბრძანება ბატონი ჯემალის განთავისუფლების შესახებ;
2. ცნობა სახელფასო დავალიანების შესახებ;
3. ცნობა სანივთე ქონების კომპესაციის შესახებ;

ვინაიდან აღნიშნული ცნობების მოპოვება დროს საჭიროებს, ადვოკატმა სარჩელშივე შუამდგომლობით უნდა მოითხოვოს გონივრული დრო მტკიცებულებების მოპოვება – წარდგენისათვის.

## კაზუსი № 16

ადვოკატმა უნდა განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

1. თვითონ მივიდეს და ვიზუალურად დაათვალიეროს, ხელისშემშლელი გარემოებები;
2. განსაზღვროს, რომელი სპეციალისტის (ორგანიზაციადწესებულების) პრეროგატივაა ზემოთ აღნიშნული გარემოებების შემოწმება და დასკვნების გაკეთება;
3. გააკეთოს განცხადება-მიმართვები ზ.ა. სპეციალისტების (ორგანიზაციის) სახელზე სათანადო მოთხოვნებით;
4. გადაამოწმოს რეესტრული დოკუმენტები კლიენტის უძრავი ქონების ფართის საზღვრების დასადგენად;
5. გადაამოწმოს მარეგულირებელი ნორმები;
6. გაიაროს კონსულტაციები ზ.ა. სპეციალისტებთან;
7. ყველა ზ.ა. დოკუმენტების და ინფორმაციების მიღების შემდეგ მიმართოს სარჩელით სასამართლოს.

## კაზუსი № 17

ადვოკატის უხეში შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან ბრმად აღიარა სასარჩელო მოთხოვნის კანონიერება და საზარალო მორიგებისკენ უბიძგა კლიენტს.

ის ფაქტი, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონება თანასაკუთრებად ითვლება, - საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამ თანასაკუთრების მართვა - განკარგვასაც თავისი წესები აქვს და ეს უნდა იცოდეს ადვოკატმა.

სამოქალაქო კოდექსის მეოთხე თავის მესამე ნაწილისთვის ზოგადადაც რომ გადაეხედა დამცველს, უსათოოდ იპოვიდა ოქროს ნორმას, რომლის მეშვეობითაც, - (მასთან ფაქტობრივი გარემოებების შეფარდებით), - შეეძლო წარმატებით დაეცვა მოპასუხე.

მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ, რა წერია სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლში.

ამ ნორმის სათაურიც კი ხაზს უსვამს, რომ თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ანუ, კანონი თვლის, რომ თუ რომელიმე მეუღლე ასეთ ქონებას გაყიდის, გააჩუქებს ან სხვაგვარად განკარგავს, ამას აკეთებს მეორე მეუღლესთან შეთანხმებით, ამიტომაც, ნებისმიერი ზემოთ ხსენებული გარიგების შემდეგ ამ გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნა ითვლება უკანონო.

კონკრეტულ შემთხვევაში, ამ ნორმის თანახმად, ბატონ დათიკოს არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა ზ.ა. ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა, იმ მოტივით, რომ მან არ არ იცოდა ან არ ეთანხმებოდა ამ გარიგებას.

როგორ უნდა მოქცეულიყო მოპასუხის დამცველი, თუ მოსარჩელე ყურადღებას გადაიტანდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილებაზე?

ამ ნორმის თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინების პრივატიზაცია ხდებოდა ამ ბინებით მოსარგებლებზე (ვინც მასში იყვნენ ჩაწერილები პრივატიზაციამდე). ხოლო თუ ერთ-ერთ წევრზე ხდებოდა პრივატიზაცია, დანარჩენი წევრებიც ინარჩუნებდნენ თანასაკუთრების უფლებას, გარდა წილის უფლების დათმობის შემთხვევისა.

კონკრეტულ შემთხვევაში, სანოტარო საქმიდან დგინდება, რომ დათიკო ტ-ს არ დაუთმია თავისი წილი, მან უბრალოდ თანხმობა მისცა მეუღლეს ბინის პრივატიზება მომხდარიყო მის სახელზე.

ამ შემთხვევაში დათიკო ტ-ს ბინის მესამედზე ექნება პრეტენზია, რაც თავისთავად ნაკლები ზარალია მოპასუხისთვის, ვიდრე თანამესაკუთრებით ქონების ნახევარის ღირებულების მოთხოვნა იყო.

მაგრამ აქაც შეიძლება შემოდავება თანამესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციიდან გამომდინარე.

როცა არც მფლობელი ხარ სადაო ქონებისა; არც საჯარო რეესტრში არა გაქვს დაფიქსირებული შენი უფლება და მესაკუთრესთან 17 წლის ფაქტობრივი გაყრილობის შემდეგ აყენებ მოთხოვნას, წესით ამორალურიცაა და უკანონოც ასეთი მოთხოვნის დაყენება-დაკმაყოფილება.

სულ მთლად წამგებიანიც რომ ყოფილიყო მოპასუხის პოზიცია, ადვოკატს არ უნდა ეჩქარა და მორიგების რჩევა არ უნდა მიეცა კლიენტისთვის შემდეგი გარემოების გამო:

წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის იყო სადაო ბინის ორდერი, რომლის შინაარსი და საშიშროება ვერ შეაფასა მოპასუხის ადვოკატმა.

ეს დოკუმენტი კი გვეუბნებოდა, რომ მოსარჩელის წარმომადგენელს შადიმან ტ-ს ასევე ჰქონდა შემოდავების და მოთხოვნის დაყენების უფლება იმავე უძრავ ქონებაზე (თანახმად ზ.ა. 1992 წლის №107-ე დადგენილებისა).

ასეთი რეალური საშიშროების ფონზე, ღალატის ტოლფასია - კლიენტს ურჩიო დასთანხმდეს კაბალურ მორიგებას (სხვა ამბავია, თუ მორიგება ქონების 13-ზე შედგებოდა) და ბანკიდან გამოტანილი სესხით გაისტუმროს მოსარჩელის ვალი.

ამ ყველაფერს (მორიგებას) მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ზ.ა. საშიშროება არ იქნებოდა; სადაო ბინას მოეხსნებოდა ყადაღა, მოპასუხე გაყიდდა მას და დროულად მოიშორებდა ბანკის ვალსაც.

რეალობა კი ასე განვითარდა: შადიმანმა ხელახლა შეიტანა სარჩელი, ბინას ყადაღა გაუგრძელდა და ა.შ.

მოპასუხის ადვოკატმა სხვა შეცდომაც საუშვა: მან არ გააპროტესტა მოსარჩელის პროცესზე წარმოუდგენლობა და ეჭვის ქვეშ არ დააყენა დაინტერესებულობა მოსარჩელის წარმომადგენლისა.

განა არ შეიძლება, მოსარჩელეს ისე გაეცა მინდობილობა წარმომადგენელზე, რომ არც კი სცოდნოდა სარჩელისა და იმ მოთხოვნის არსებობა, რომლის დაყენების უფლება მხოლოდ მას ჰქონდა.

შესაბამისად, მოსარჩელე აუცილებლად უნდა გამოცხადებულიყო პროცესზე, მიეცა ახსნა-განმარტება და ასე, ეჭვების გაფანტვის შემდეგ შეიძლებოდა მისი ინტერესები დაეცვა წარმომადგენელს.

ამ მაგალითიდან გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. მოპასუხის ადვოკატმა ეჭვის თვალით უნდა შეხედოს სასარჩელო მოთხოვნას, მის კანონიერებას და საფუძვლიანობას; წარმოდგენილ მტკიცებულებებს; ფაქტებს; გარემოებებს და ა.შ.

2. შესაგებელი შეიძლება მშრალად შეაესოს მოპასუხემ, (ზოგჯერ ეს დაცვის პოზიციაა, - მოსარჩელის ასაბნევად),- მაგრამ პროცესზე მოპასუხე და მისი ადვოკატი შეიარაღებული უნდა იყოს კონტრ-არგუმენტებით; სარჩელის უარყოფელი მატერიალური და პროცესუალური ნორმებით; ფაქტებით; გარემოებებითა და მტკიცებულებებით.

3. საქმის გაცნობისას ადვოკატის მსჯელობა უნდა იყოს ასეთი თანამიმდევრობის:

- რა სამართლებრივ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე?
- რა და რა ნორმებით რეგულირდება მსგავსი ურთიერთობები?
- რომელი ნორმა მოერგება კლიენტის ინტერესებს?

- რომელი ფაქტები და გარემოებები შეეფარდება არსებულ ნორმებს?
- სად და როგორ მოვიძიოთ სათანადო მტკიცებულებები?
- როგორ შეიძლება იქნეს გაკრიტიკებული მოწინააღმდეგის პოზიცია; მოთხოვნები; მტკიცებულებები?
- რა კითხვები შეიძლება დაესვას ამა თუ იმ მოწმეს; ექსპერტს; მოწინააღმდეგეს?
- სად და როგორ მოვიპოვოთ კონტრ. მტკიცებულებები?
- ვისთან გავიაროთ კონსულტაცია? (სპეციალისტის აზრი).
- დაცვის რა და რა ალტერნატივები არსებობს?

### კაზუსი № 18

რა თქმა უნდა, უხეში შეცდომა იქნება, თუ ადვოკატი დაემორჩილება კლიენტის ნებას და სარჩელს შეიტანს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების აღიარებაზე.

ადვოკატმა უნდა გააცნოს კლიენტს სათანადო ნორმები სამოქალაქო კოდექსიდან (ს.კ. 59; 68; 183 მუხ.) და მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნას, რომ ბინის ყიდვა არ მომხდარა, რადგან არ იქნა დაცული უძრავი ნივთის შექმნისთვის აუცილებელი და იმპერატიულად სავალდებულო მოთხოვნები: არ მომხდარა გარიგების წერილობით გაფორმება; მისი სანოტარო წესით გაფორმება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

შესაძლებელია, კლიენტმა თაღლითადაც მიიჩნიოს მოპასუხე და ითხოვოს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ არც ამ მოთხოვნას არ უნდა დამორჩილდეს ადვოკატი და აუხსნას კლიენტს, რომ თაღლითობა იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ზაზაძე არ იქნებოდა უფლებამოსილი გაეყიდა სადაო ბინა.

ის რომ ზაზაძემ მოატყუა ღარიბაშვილები, - სარდაფი ჩემიანო - არ იძლევა მოტყუებით დადებული გარიგების საფუძველს, რადგან გარიგების საგანი იყო ბინა, რომლის შესაკუთრაც იყო ზაზაძე.

ახლა ვნახოთ, რა სამართლებრივ ურთიერთობას თან გვაქვს საქმე.

წარმოდგენილი ფაქტები და გარემოებები მოვაქციოთ სამართლებრივ ჩარჩოში.

ვაქტია, რომ მხარეებმა გამოხატეს ნება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისა, რომლის შესრულება გულისხმობდა გარკვეულ ვალდებულებებს.

საკითხავია: თუ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გამყიდველის მხრიდან ვალდებულება არაჯეროვნად იქნა შესრულებული, რადგან თანხის გადაცემას არ მოჰყვა ბინის ნასყიდობის სათანადოდ გაფორმება?

თუ ასეა, ს.კ 367-ე მუხლით ვალდებულების შესრულების დაუყოვნებლივი მოთხოვნის უფლება აქვს მხარეს და ღარიბაშვილიც თავისუფლად მოითხოვდა ბინის ნასყიდობის იძულებით გაფორმებას.

სინამდვილეში ვალდებულება არ წარმოშობილა, რადგან ორმხრივი ნების გამოხატვა ამ შემთხვევაში უნდა ასახულიყო კანონის დაცვით შესრულებულ „უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებაში“

რადგან ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახეზეა ს.კ 352-ე მუხლით გათვალისწინებული უარის თქმა ხელშეკრულებაზე, რომლის შედეგები გამოიხატება იმაში, რომ „მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ ნატურით“

მაგრამ ეს ნორმა აშკარად ვერ იცავს ღარიბაშვილების ინტერესებსა და დარღვეულ უფლებებს.

უფრო მეტიც, - გარდა იმისა, რომ მყიდველმა კაპიტალური რემონტის ხარჯები გაიღო და იმავე თანხით ბინას ვედარ შეიძენს, ღარიბაშვილები ვერ იბრუნებენ გაცემულ თანხასაც, რადგან ზაზაძე აპირებს მხოლოდ 600 დოლარის დაბრუნებას (მან შესაგებელში აღიარა, რომ მიიღო მხოლოდ 600 დოლარი და რაკი დანარჩენი 2000 დოლარის გადახდა დაუგვიანა მყიდველმა, ამიტომაც უარს ამბობს გარიგებაზე).

ბუნებრივია, - მოსარჩელის დაცვისას მთელი ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, რომელიც გამომდინარეობს მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებიდან, რა დროსაც უნდა მიეთითოს ს.კ. 980-ე და 987-ე მუხლებზე, რომლის თანახმადაც:

„თუ მიმღებმა გასწია ხარჯები... იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შექენილდა მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა დაბრუნოს საგანი ხარჯების და დანაკლისის ანაზღაურების პირობით“

ამ შემთხვევაში მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრება განისაზღვრება იმით, რომ მას უბრუნდება თავისი ნივთი და ამ ნივთის გაზრდილი ღირებულებით იღებს სხვაგვარ სარგებელს.<sup>1</sup>

ზიანის ფაქტები და ოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი მტკიცებულებებით:

1. მოპასუხე ნაწილობრივ აღიარებს თანხის მიღების ფაქტს. (სამწუხაროდ, თანხის გადაცემა მიღების ხელწერილი არ არსებობს, რის გამოც მხოლოდ მოწმეებით ვერ დადასტურდება 2600 დოლარის გადაცემა და მტკიცებულებად ჩაითვლება მხოლოდ 600 დოლარის მიღების აღიარება), რომლის დაბრუნებასთან ერთად უნდა იქნეს მოთხოვნილი ამ თანხის კანონით განსაზღვრული პროცენტებიც;

2. საჭიროა მოწმე მეზობლების ჩვენებები, რომლებიც დაადასტურებენ ბინის სავალალო მდგომარეობას გაყიდვამდე და მის კაპიტალურად გარემონტების ფაქტს ღარიბაშვილის მხრიდან;

3. საჭიროა საინჟინრო-ტექნიკური და აუდიტორული ექსპერტიზა, რომელიც დაადგენს ღარიბაშვილის მიერ ჩატარებული კაპიტალური რემონტის სახეობასა და ხარჯებს;

4. საჭიროა ცნობა სტატისტიკიდან, იმის დასადგენად, თუ რამდენად გაიზარდა საბაზრო ღირებულება სადაო ბინის ტოლფას უძრავ ქონებაზე;

5. მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადებული სასამართლო და საადვოკატო მომსახურების ხარჯებიც.

ახლა ვცადოთ და ავაწყოთ დასკვნითი სიტყვა აღნიშნულ საქმეზე.

შესავალი ნაწილი შეიცავს მიმართვას სასამართლოსადმი და ზოგადად ყურადღების მიქცევას დაცვისთვის მნიშვნელოვან დეტალებზე. ამ დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს შედარებები, ანდაზები, სხვადასხვა შეგონებები და ა.შ.

მაგალითად, კონკრეტული საქმე შეიძლება დავიწყოთ ასე: „ბატონო მოსამართლე, მჯერა დღევანდელი პროცესი და თქვენს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იქნება ბევრისთვის, პირველ ყოვლისა კი - აქ მოდავე მხარეებისთვის:

მოსარჩელე მიხედება და აწი მაინც ეცოდინება, რას ნიშნავს მოწოდება: „იცოდეთ კანონი და დაცული იქნები!“

მოპასუხე კი დარწმუნდება, რომ ღალატი, თაღლითობა, სიცრუე, ანგარება და სხვა მსგავსი ცოდვები იქ ზეციურ სამსჯავროზეც მოეკითხება და მანამდე, ამისთვის, - არც ამქვეყნიური მართლმსაჯულება დატოვებს დაუსჯელად.

ამის შემდეგ ადვოკატი აყალიბებს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც წინ უძღოდა დავას და პარალელურად ახდენს პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებას:

ბატონო მოსამართლე, როგორ ფიქრობთ, ღარიბაშვილები უცხო პირთანაც ასე მოიქცეოდნენ? ასე, ყოველგვარი ხელწერილის გარეშე ჩაუთვლიდნენ ფულს და ბინის გაფორმებასაც ორი თვით გადადებდნენ?

არა, რა თქმა უნდა, უცხოსთან მეტ სიფრთხილესა და ოფიციალურობას გამოიჩენდნენ, ამ შემთხვევაში კი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა ახლობლებს შორის ხდებოდა, რადროსაც ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, წინა პლანზე ნდობის ფაქტორი გამოდის.

გავიხსენოთ, რა ბრძანა ამის შესახებ მოსარჩელის მეუღლემ:

„იმდენად ახლოს ვიყავით ზაზა ზაზაძის ოჯახთან, რომ გვეუხერხულა კიდევ, რომ ფულის გადაცემის დროს ხელწერილი ჩამოგვეერთმია მათთვის“

ახლა ვნახოთ, როგორ მსვენებრად ისარგებლა მოპასუხემ და მისმა ოჯახმა მოსარჩელის და მისი მეუღლის გულუბრიყველობით:

მოწმე ლოლო ზაზაძემ (მოპასუხის დედამ) აღნიშნა, რომ „მოსარჩელემ 600 ლოლარი გადაიხადა და კიდევ 2000 გადასახდელი აქვს“

ამასობაში, ყველამ: მთელმა სამეზობლო-საახლობლომ და თვით საბინაო ტრესტის თანამშრომლებმაც იციან და წარმოდგენილი ერთობლივი განცხადებითაც ადასტურებენ, რომ ღარიბაშვილებმა 2600 ლოლარი გადაუხადეს ზაზაძეებს და მისაცემი დარჩათ მხოლოდ 100 ლოლარი.

მაგრამ როცა ღვთის მოშიშება არა გაქვს და არც სათანადო მტკიცებულებებია შენს საწინააღმდეგო, ადვილია ეშმაკს მიჰყიდო სული და ანგარების ცოდვით შეპყრობილმა ისარგებლო კეთილი კაცის გულუბრიყველობით; ფული გა-

მოსძალო; ისიც გააბოროტო და სხვასაც დააკარგინო ისეთი სათნოებები, როგორცაა: ურთიერთ ნდობა, სიყვარული და ერთგულება...

მიაქციეთ ყურადღება: დაცვის პოზიცია მოსარჩელის ადვოკატისთვის ვერ იქნება მიმართული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ლეგალიზაციისკენ. მას მოქმედი კანონი ეწინააღმდეგება (ზეპირი შეთანხმების გამო). ამიტომ, მთელი ყურადღება გადადის რა უსაფუძვლო გამდიდრებით მიყენებულ ზიანზე, ადვოკატი ცდილობს მოსამართლის წინაშე გამოკვეთოს მორალური სახე ერთის მხრივ, - გულუბრიყველოდ კეთილ მოსარჩელისა და მეორეს მხრივ, - ანგარების ცოდვით შეპყრობილ მოპასუხისა.

ეს გვჭირდება იმისთვის, რომ მოსამართლე კეთილად განეწყოს და დაუჯეროს მოსარჩელეს და პირიქით, - ეჭვი შეეპაროს მოპასუხის მტკიცების სამართლიანობასა და საფუძვლიანობაში.

... ის, რომ მხარეთა შორის ნებელობის გამოხატვა მოხდა ბინის ნასყიდობაზე, ამას არც მოპასუხე უარყოფს.

არც ის არის სადაო, რომ 2700 დოლარზე იყო შეთანხმება, მაგრამ რამდენად დამაჯერებელია მოპასუხის მტკიცება, რომ მან მხოლოდ 600 დოლარი მიიღო მოსარჩელისგან, შეუშვა სახლში და ორი წელი ელოდება დანარჩენი 2100 დოლარის გადახდას(!)

აღნიშნულის შეფასება თქვენთვის მომინდვია, ბატონო მოსამართლე, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ამას ამბობს ის ადამიანი, რომელმაც მანამდე სხვისი სარდაფის გაყიდვა სცადა.

განა მოპასუხის საეჭვო კეთილსინდისიერებაზე არ მეტყველებს სასამართლო სხდომაზე დადასტურებული საგანგაშო ფაქტი: როდესაც ზაზა ზაზაძემ მეზობლის სარდაფი მიყიდა ღარიბაშვილს.

განა მორალური და მართლზომიერია ზაზაძის ქმედება, როდესაც ბინების გაძვირების გამო უთხრა უარი ღარიბაშვილს უძრავი ქონების ნასყიდობის გაფორმებაზე და დამატებით 1000 დოლარი მოითხოვა?

განა ზნეობრივი და კანონიერია ზაზაძის შეგვებებული სარჩელი და მასში წარმოდგენილი მოთხოვნა ქირის გადახდასთან დაკავშირებით?

რომელ ქირას ითხოვს მოპასუხე?

რომელი შეთანხმებით დადგინდა ღარიბაშვილის ვალდებულება, რომ ბინის ქირა უნდა ეხადა ზაზაძისთვის?

ცინიზმის მწვერვალია ზაზაძის „კეთილშობილება“ როდესაც იგი თავის შეგებებულ სარჩელში მორიგების პირობებს გეთავაზობს და ამბობს, - „მე თანახმა ვარ ვაკატიო ღარიბაშვილს ბინის ქირის გადახდის ვალდებულება, თუ ეს ვალი გაიბარება მის მიერ გაღებულ სარემონტო ხარჯებშიო.“ ...

ამის შემდეგ ადვოკატი გადადის იმ მტკიცებულებებზე, რომელიც მისი პოზიციისა და მოთხოვნების საფუძველს წარმოადგენს.

მაგალითად მოთხოვნა სარემონტო ხარჯების დაკისრებისა და მისი ოდენობა რა მტკიცებულებებიდან გამომდინარეობს და როგორ მტკიცდება მისი კანონიერება და საფუძვლიანობა;

მეორეს მხრივ, სამართლიანი, მაგრამ უკანონო იქნებოდა, თუ გაღებული 2600 დოლარის დაბრუნებასა და მის პროცენტებს მოითხოვს ღარიბაშვილი. მან ეს მოთხოვნა, სამწუხაროდ, შეიძლება დააყენოს მხოლოდ ზაზაძისგან აღიარებულ 600 დოლარის ფარგლებში.

სამაგიეროდ უნდა გაზარდოს სხვა ხარჯები, რომელსაც მოსამართლე, სავარაუდოდ, დაუკმაყოფილებს შინაგანი რწმენიდან და მორალური თანაგრძნობიდან გამომდინარე.

მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ მოპასუხეს შეგებებულ სარჩელში ღარიბაშვილების გამოსახლების მოთხოვნაცა აქვს, რომელსაც, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ დააკმაყოფილებს მოსამართლე, მაგრამ ეს გამოსახლება უნდა მოხდეს ზაზაძის მხრიდან ზარალის გადახდის შემდეგ და ეს მოთხოვნა არ უნდა დაავიწყდეს ღარიბაშვილის ადვოკატს.

## კაზუსი № 19

სააპელაციო მოთხოვნა იქნება რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელზე უარის თქმა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მინიშნება გადაწყვეტილებაში, თითქოს გამყიდველმა მყიდველს გადასცა ნაკლოვანი ნივთი.

ამ დროს მოსამართლე დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის ჩვენებას და არ გაიზიარა მოპასუხის აზრი, რომ არანაირი პრობლემა მის მანქანას არ ჰქონია გაყიდვის დროს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მოსმართლე კანონიერად უთვლის მოსარჩელეს ხელშეკრულებიდან გასვლას და ასევე კანონიერად თვლის გადახდილი თანხის უკან გამოთხოვას, მაშინ როცა ეჭვგარეშე ფაქტებით დამტკიცებული არ არის, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალდებულების დარღვევას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და რაც მთავარია:

მოსამართლემ არაფრად ჩააგდო ის ფაქტი და გარემოება, რომ სარჩელის წარდგენის მომენტისთვის მოსარჩელის მხრიდან დარღვეული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამ წლიანი ვადა.

სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში სამართლიანი იქნება, თუ ტელმან ზუმბაძეს ურჩევს მისი ადვოკატი, რომ ნელ-ნელა, თავისი ნებით გადაუხადოს თედო ნ-ს 2700 დოლარი (3000 დოლარიდან იმ ხარჯების გამოკლებით, რას გაფუჭებული მანქანის შეკეთებას დასჭირდა).

## კაზუსი № 20

მიაქციეთ ყურადღება: ერთ კვირაში აუქციონია ჩანიშნული სადაო ბინაზე. ამიტომ, ადვოკატმა სასწრაფოდ უნდა მოამზადოს განცხადება სარჩელის წარდგენამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და მოითხოვოს: შეჩერებულ იქნეს №.. სააღსრულებო წარმოება და ჩანიშნული აუქციონი მეგიცერადის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ ბინაზე.

მეორე მოთხოვნა იქნება - ყადაღის დადება ზ.ა. სადაო ბინაზე.

მაგრამ ზ.ა. განცხადებისა და ყადაღის მოთხოვნის საფუძვლიანობისთვის საჭიროა სათანადო დოკუმენტები, რომლებიც მტყვევლებს სადაო ბინის მიმართ მოსარჩელეთა უფლებებზე და მოთხოვნათა კანონიერებაზე.

ამგვარად, - განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ:

- პირადობის მოწმობები, რომლებშიც რეგისტრაციის მისამართად მითითებულია სადაო ბინის მისამართი;

- ცნობა საბინაო მომსახურებიდან ან ს.ა.რ.ო-დან სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი აღნიშნულ მისამართზე არიან ჩაწერილები და იქ ცხოვრობენ;

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაო ბინაზე;

- განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ;

- განკარგულება აუქციონის დანიშვნის შესახებ

განცხადებაში უნდა მიუთითონ, რომ მომავალში აპირებენ სარჩელის აღძვრას სააღსრულებო ბიუროსა და მეგი ცერაძის „თანამესაკუთრედ ცნობისა და აუქციონის დანიშვნის შესახებ განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ“

ასევე უნდა მიუთითოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ვინაიდან შესაძლებელია გასხვისდეს სადაო ბინა, რომლის მიმართაც აქვთ თანასაკუთრების უფლების კანონიერი პრეტენზია.

ზემოთ აღნიშნული განცხადების მომზადებისა და სასამართლოში წარდგენის პარალელურად ადვოკატმა გორის რაიონული სახელმწიფო არქივიდან უნდა გამოითხოვოს ის დოკუმენტები, (გადაწყვეტილება და სიები) რის საფუძველზეც და ვისზეც მოხდა სადაო ბინის განაწილება 1984 წელს;

ასევე გამოთხოვილ უნდა იქნეს № ნოტარიუსისგან სანოტარო საქმე სადაო ბინის პრივატიზაციასთან დაკავშირებით;

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებით დავადგენთ, რომ ბინის მიღების დროს სადაო ბინაში ჩაწერილები იყვნენ მოსარჩელეთა მშობლები, ხოლო პრივატიზაციის წინ - თვითონ მოსარჩელები და მათი დედა.

პრივატიზაციის საქმიდან დავადგენთ იმასაც, რომ მოსარჩელების დედას არ დაუთმია თავისი წილი უძრავი ქონებიდან.

მოსარჩელებმა ასევე უნდა წარმოადგინონ:

- დედის გარდაცვალების მოწმობა (იმის დასადაგენად, რომ სადაო ბინაში ჩაწერილი ნანა ზარიძე გარდაიცვალა ბინის პრივატიზაციის შემდეგ);

- მოსარჩელეთა დაბადების მოწმობები, რითაც დასტურდება, რომ ნანა ზარიძე იყო მათი დედა;

- სადაო ბინის ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ დამოწმებული ცნობა, რომ მოსარჩელები დღესაც ჩაწერილები არიან და ფაქტობრივად ცხოვრობენ სადაო ბინაში;

- მოსარჩელეთა პირადობის მოწმობები;

- განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ;

- განკარგულება აუქციონის ჩატარების შესახებ;

- პრივატიზაციის ხელშეკრულება და ამ პრივატიზაციასთან დაკავშირებული სანოტარო საქმე (რომლის წარმოდგენის შუამდგომლობით უნდა მივმართოთ სასამართლოს თუ ნოტარიუსმა უარი გვითხრა);

- აღმსკომის გადაწყვეტილება (1984წ) და სიები, რომლის მიხედვითაც განაწილდა ბინები და რომელშიც დაფიქსირებულ არიან მოსარჩელეთა მშობლებიც;

ვიწყებთ სარჩელის შედგენას:

რა არის დავის საგანი? სადაო ბინაზე ნაწილობრივ მესაკუთრედ ცნობა; ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა; აუქციონის დანიშვნის განკარგულების ბათილად ცნობა და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა.

როგორც ხედავთ, რთულ და მრავალმხრივ დავასთან გვაქვს საქმე ანუ, სახეზეა როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ - სამართლებრივი მოთხოვნები.

როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი? ჯერ ადმინისტრაციული სარჩელით შევიდეს სასამართლოში (აუქციონის დანიშვნის განკარგულების ბათილად ცნობისა და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით) და შემდეგ მოითხოვოს სამოქალაქო წესით თანამესაკუთრედ ცნობა და პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა?

ასეთი თანამიმდევრობით საქმის განხილვა ვერ მოხერხდება, რადგან აუქციონის შეჩერება - შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოსარჩელეთა თანამესაკუთრედ ცნობის საკითხი გაირკვევა.

მაგრამ სამოქალაქო სარჩელით შესვლა, სავარაუდოდ ვერ შეაჩერებს საღსრულებო წარმოებასა და ჩანიშნულ აუქციონს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია, მოსარჩელემ სასამართლოს მიმართოს ზ.ა. გაერთიანებული მოთხოვნებით, ხოლო სასამართლომ თავისი ინიციატივითა და სარჩელის უზრუნველყოფის შენარჩუნებით, გამოაყოს სამოქალაქო დავა ადმინისტრაციული საგან; ეს უკანასკნელი

შეაჩეროს; განიხილოს ჯერ სამოქალაქო და შემდეგ - ადმინისტრაციულ სამართალს მიკუთვნებული მოთხოვნები.

ახლა ვნახოთ, რომელი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებით მტკიცდება სასარჩელო მოთხოვნების კანონიერება და საფუძველიანობა:

1. სარჩელს დაერთოება აღმასკომის 1984 წლის №227 გადაწყვეტილება (სიებითურთ), რითაც მტკიცდება სადაო სახლის განაწილება იმ პირებზე, რომელთა შორის მოპასუხესთან ერთად მოხსენიებულნი არიან მოსარჩელეთა მშობლებიც;

2. პირადობისა და დაბადების მოწმობებით მოსარჩელეები დაამტკიცებენ, რომ ზემოთ ხსენებულ პირთა შეილები არიან;

3. საბინაო სამსახურიდან; ს.ა.რ.ო-დან და ბინის ამხანაგობიდან წარდგენილი ცნობებით მოსარჩელეები დაამტკიცებენ, - რომ ისინი სადაო ბინის პრივატიზაციამდე დაიბადნენ და დღემდე ცხოვრობენ აღნიშნულ ბინაში;

4. ნოტარიუსისგან გამოთხოვილ პრივატიზაციის სანოტარო საქმით და ნანა ზარიძის გარდაცვალების მოწმობობით დგინდება, რომ: პრივატიზაცია მოხდა 1993 წელს; ნ. ზარიძე გარდაიცვალა 1994 წელს; ხოლო ბინის პრივატიზაცია მოხდა მეტი ცერადეზე ნანა ზარიძისგან წილის ნოტარიულად დათმობის გარეშე;

5. ზემოთ ხსენებული ფაქტების კონსტატაციის შემდეგ სარჩელშიც და დასკვნით სიტყვაშიც ყურადღებას ვამახვილებთ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე და ავლნიშნავთ, რომ: თანახმად საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107-ე დადგენილებისა, - მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში გადაეცემოდა ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით.

6. მართალია, მამა (ლადო ცერადე) პრივატიზაციამდე ამოეწერა სადაო ბინიდან, მაგრამ იგი მაინც მოიაზრებოდა ზ.ა. კანონით განსაზღვრულ ოჯახის წევრთა შორის, რის გამოც ადვოკატმა ისიც უნდა შეიყვანოს მოსარჩელეთა სიაში.

7. ხოლო მოსარჩელეთა დედა (ნ. ზარიძე) იმ დროს ცოცხალი იყო და საჭირო იყო ნოტარიულად დათმობა წილისა, რაც არ მოხდა და რაც იმას ნიშნავს, რომ მან შეინარჩუნა ბინაზე თანასაკუთრების უფლება;

8. იმავე №107 (1,02.92წ) დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელი სახლი უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც იმ დროისთვის ამ საცხოვრებელი სახლის დამქირაველები ან დამქირაველის ოჯახის წევრები იყვნენ. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად: სადაო ბინის დაქირაველთა შორის იყო ნანა ზარიძე, ხოლო მისი ოჯახის წევრებია მოსარჩელები და მათი მამა, რომლებსაც თანაბრად ეკუთვნით წილი სადაო ბინიდან;

9. დასკვნით სიტყვაში, მოთხოვნათა სამართლებრივი შეფასებისას, კარგი იქნება, თუ ადვოკატი მოიშველიებს საქართველოს კონსტიტუციას (მუხლი 21.1) რომლის თანახმად საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოში და დაუშვებელია ამ საყოველთაო უფლების გაუქმება.

10. კიდევ უფრო ღირებულს გახდის დაცვით სიტყვას საერთაშორისო ნორმის მოშველიება. მაგალითად: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლით - „ყოველ ფიზიკურ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება“

ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ დავა სამოქალაქო სამართლებრივი კუთხიდან; დავალაგეთ ფაქტები და გარემოებები; მიუხადავთ მტკიცებულებები; შეუფარდეთ სათანადო ნორმები და ფაქტიურად დავამტკიცეთ, რომ მოსარჩელებს ეკუთვნით წილი სადაო ბინიდან.

სამოქალაქო კუთხით სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში უდაო მტკიცებულება იქნება ის ფაქტი, რომ გასაჩივრებულ სააღსრულებო წარმოებითა და აუქციონით უშუალოდ ზიანდება მოსარჩელების კანონიერი უფლებები და ინტერესები.

შესაბამისად: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კუთხით დავის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ნორმატიულ აქტებზე, რომლითაც დგინდება ზემოთ ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობის კანონიერება.

ადვოკატმა უნდა მოიხმოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 და 62.2 მუხლები და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32.1 და 22-ე მუხლები, რომელთა საერთო ანალიზითა და შეფარდებით ზემოთ

ხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებთან ვასკვნით ჩვენი მოთხოვნების კანონიერებასა და საფუძვლიანობას, რომელიც ამ შემთხვევაში მდგომარეობს აუქციონის დანიშვნის განკარგულების ბათილად ცნობასა და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტაში, ვინაიდან აღნიშნული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებენ მოსარჩელეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს; კონკრეტულად, ისინი უკანონოდ ზღუდავენ მოსარჩელეთა საკუთრების კონსტიტუციურ უფლებებს.

საბოლოო ჯამში შედეგი იქნება ის, რომ ცვლილებები შეევა 1993 წლის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში და საჯარო რეესტრში სადაო ბინაზე მესაკუთრეებად თანაზიარი უფლებებით ცნობილი იქნებიან მოპასუხე და მოსარჩელეები, თითოეული 1/4 წილის უფლებით.

შესაბამისად, სააღსრულებო წარმოება უნდა გაგრძელდეს და გადახდევინება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მეტი ცერადის კუთვნილ 1/4 წილზე.

## სიტუაცია № 1

ადვოკატმა აშკარად დაარღვია ეთიკური ნორმები და ადვოკატთა შესახებ კანონის ის ნორმაც, რომელიც მას ავალდებულებს კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვას.

შესაძლოა ვინმემ, მსგავს სიტუაციაში, კლიენტად არც ჩათვალოს მოქალაქე, რომელმაც ჯერ ხელშეკრულება არ გააფორმა ადვოკატთან, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ზემოთ ხსენებული ნორმა ერთნაირად იცავს ნებისმიერი მოქალაქის ინფორმაციის საიდუმლოებას, თუ იგი მიწოდებულ იქნა ადვოკატისთვის, კონსულტირების ან საადვოკატო მომსახურების ნებისმიერ სტადიაზე.

შესაძლებელია, კლიენტისთვის სულ ერთი იყოს, ან პირიქით, სასურველიც იყოს მისთვის, თავისი პრობლემის საჯაროდ განხილვა.

მაგრამ როდესაც ადვოკატი ხედავს, რომ მომმართველ მოქალაქეს ეუხერხულება თავის პრობლემაზე ხმამაღლა ლაპარაკი, ასეთ შემთხვევაში კანონიც და მორალიც ავალდებულებს ადვოკატს, რომ მან საიდუმლოდ შეინახოს მიღებული ინფორმაცია.

კონკრეტული სიტუაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ მოქალაქის თვალში ადვოკატმა დაკარგა ნდობა, რის გამოც მას მიაწოდა მშრალი ინფორმაცია და ფაქტიურად შეწყვიტა მასთან ურთიერთობა. ანუ, ადვოკატმა დაკარგა პოტენციური კლიენტი, ნდობის დაკარგვასთან ერთად.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადვოკატის მომსახურებით უკმაყოფილო კლიენტი, სხვა მოქალაქეებსაც უარყოფითად განაწყობს ამ ადვოკატის წინააღმდეგ.

## სიტუაცია № 2

ადვოკატმა არასწორად შეაფასა მიწოდებული ინფორმაცია და ბრმად დაემორჩილა კლიენტის სურვილს.

კერძოდ, მოქალაქემ სიტყვა „გატაცების“ შემდეგ ბრძანა, რომ ეს მოხდა მისგან დაუკითხავად, რაც იმას ნიშნავს, რომ მამას შვილი წაუყვანია ყოფილი ცოლისგან დაუკითხავად.

ეს კი სამოქალაქო სამართლებრივი დავის საკითხია, რაც უნდა გამოერკვია ადვოკატს დამატებითი კითხვებით.

### სიტუაცია № 3

დამატებითი კონსულტაციისთვის კლიენტის დაბარებას მაშინ აქვს ფასი, როცა:

ა. ადვოკატი სთხოვს კლიენტს, წარმოადგინოს მის ხელთ არსებული დოკუმენტები სადაო საკითხის ირგვლივ;

ბ. პირველადი კონსულტაციის შემდეგ მიღებული ინფორმაციის მიხედვით ადვოკატი ეცნობა ყველა იმ ნორმას, რომელიც მსგავს ურთიერთობებს არეგულირებს;

კონკრეტულ შემთხვევაში, კლიენტთან კვლავ შეხვედრის წინ ადვოკატი უნდა გასცნობოდა სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებს, რომელიც არეგულირებს მშობლის უფლების ჩამორთმევას; ასევე უნდა გასცნობოდა სისხლის სამართლის იმ ნორმას (თავისი კომენტარებით), რომელიც დასჯადად მიიჩნევს განსაცდელში მიტოვებას;

და თუ ყველა შესაბამის ნორმას შესაბამისი გულმოდგინებით გაეცნობოდა, ადვოკატი აღმოაჩენდა, რომ:

1. სამოქალაქო სარჩელით ვერ მიმართავდა სასამართლოს მშობლის უფლების ჩამორთმევაზე, არამედ უნდა მიემართათ განცხადებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის;

2. რომც მიემართა სასამართლოსთვის სახ. ბაჟი არ უნდა გადაეხადა პირველი ჯგუფის ინვალიდს;

3. განსაცდელში მიტოვება ვერ მტკიცდებოდა, რადგან 3 წლის ბავშვი სხვა დროსაც ბევრჯერ დარჩენილა უსინათლო მამასთან;

4. ქმარ-შვილის მიტოვება და მეორად გათხოვება არ არის საკმარისი საფუძველი მშობლის უფლების ჩამორთმევისთვის;

5. შეიძლება აღიმენტის დაკისრება და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა სასამართლოს მეშვეობით, მაგრამ ეს არ შედის კლიენტის ინტერესაბში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესწავლისა და ანალიზის შემდეგ ადვოკატს კლიენტისთვის უარი უნდა ეთქვა მომსახურებაზე.

### სიტუაცია №4

ვინაიდან ყოველი მუქარა შეიცავს აღსრულების საფრთხეს, ადვოკატს უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვა კლიენტის მუ-

ქარა მოპასუხისადმი და სამართლებრივად აეხსნა, - რა შეიძლება მოჰყოლოდა ასე თვითნებობით ზარალის ანაზღაურებას; უნდა განემარტა, რომ ეს იყო სისხლის სამართლებრივი დანაშაული და არაეინ აპატიებდა მსგავს ქმედებას.

თავისი პასიურობითა და პროფესიონალური სიბრძნეობით ადვოკატმა საკუთარი თავიც ჩააყენა საფრთხეში, ვინაიდან, შესაძლებელია ქალბატონმა ვალიამ გამომძიებელთან დაკითხვისას თქვას, რომ კონსულტაცია გაიარა ადვოკატთან, რომელმაც მოუწონა ზარალის ამ გზით ანაზღაურება და ამის შემდეგ გადაწყვიტა დაზარალებულის ნიეთების გაყიდვა.

### სიტუაცია №5

თანახმად, საქართველოს ამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლისა მოსარჩელეს ან მის ადვოკატს 7 დღის ვადაში უნდა მიემართა გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლისთვის და მოეთხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამომტანა.

7 დღის ვადის გაშვების შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია გადაწყვეტილების გასაჩივრებით სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრების 1 თვიანი ვადაც გასულია და გამოსავალი რჩება ამ ვადის აღდგენაზე შუამდგომლობის წარდგენა...

მსგავს უსიამუნებისგან რომ თავი დავაღწიოთ, ყურადღებით უნდა წავიკითხოთ ჩაბარებული გადაწყვეტილება, რადგან სარჩელის დაკმაყოფილება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ აღსრულდება დაკმაყოფილებული მოთხოვნა, თუ იგი არასათანადოდ არის წარმოდგენილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

### სიტუაცია №6

ადვოკატის პროფესიონალიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოკლე გზით მიიყვანოს სასურველ შედეგამდე. კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატს უნდა სცოდნოდ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებობს ნორმა (მუხლი 254) რომელიც მოსარჩელეს უფლებას აძლევს თვითონ შეასრულოს მოპასუხისადმი დავალებული მოქმედება ისე, რომ მაშინვე აინაზღაუროს გაწეული ხარჯები მოპასუხისგან. ამ

შემთხვევაში აღმასრულებელი თავისუფლად განახორციელებდა იძულებით გადახდევინებას მოვალე მოპასუხისგან.

თუ ეს ნორმა ეცოდინებოდა, მაშინ დამცველი სარჩელშივე დააყენებდა მოთხოვნას, რომ ზ.ა. სსსკ 254-ე მუხლის გათვალისწინებით გამოტანილიყო გადაწყვეტილება, რადგან თავიდანვე ნათელი იყო, რომ მოპასუხე თავისი ნებით და თავისდროულად ტიხარს არ ამოაშენებდა

### სიტუაცია № 7

არსებობს ე.წ. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები, რომლებიც კონკრეტულ მოთხოვნებს ეხება და ეს მოთხოვნები მხოლოდ მაშინ აღსრულდება დაუყოვნებლივ, თუ ამას მოითხოვენ მოსარჩელეები, ანუ მოსამართლე თავისი ინიციატივით ამ სიკეთეს ვერ იზამს, მოქალაქემ (მოსარჩელემ) არ იცის, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ნორმა (სსსკ 268-ე მუხლი) ადვოკატებმა უნდა იცოდნენ და დროულად დააყენონ სათანადო შუამდგომლობა.

კონკრეტულ შემთხვევაში, უკანონოდ დათხოვილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენა ასევე შედის სსსკ 268-ე მუხლის ჩამონათვალში და თუ ადვოკატი დროულად აღმოაჩენდა და გაითვალისწინებდა ამას; სარჩელშივე დააყენებდა დაუყოვნებლივი აღსრულების მოთხოვნას და მისი გამარჯვებაც უფრო ხარისხიანი იქნებოდა: ანა აღსდგებოდა სამსახურში დაუყოვნებლივ, მაშინვე აიღებდა ხელფსსაც და სასურველი შედეგის მოლოდინი არ გაგრძელდებოდა 10 თვე.

### სიტუაცია № 8

ამ კაზუსიდან ჩანს, რომ ადვოკატი კარგად არ იცნობს არც კლიენტს და არც მოქმედ კანონმდებლობას.

შესაძლებელია, კლიენტმა არ ჩათვალოს საჭიროდ ამა თუ იმ ინფორმაციის მიწოდება ადვოკატისთვის, ან განზრახ დამალოს რაღაც (მაგალითად - ინვალიდობა);

ასეთ შემთხვევაშიც კი ადვოკატი უნდა ცდილობდეს, მაქსიმალურად გახსნას კლიენტი და მეტი ინფორმაცია მიიღოს მის შესახებ, რა თქმა უნდა იმის გათვალისწინებით, რომ ეს ინფორმაცია გამოყენებულ იქნება პრობლემის ღრმად შესწავლისა და კლიენტის ინტერესების დაცვისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში კლიენტმა დამცველს მიაწოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც უსათოოდ უნდა გამოყენებინა ადვოკატს, რომ სცოდნოდა კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ და სათანადოდ რომ შეეფასებინა შემთხვევით მიღებული ინფორმაცია.

საქმე იმაშია, რომ ზემოთ ხსენებული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, - ინვალიდები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

შესაბამისად, მოსარჩელეს ის თანხაც უნდა დაუბრუნდეს, რაც გადაიხადა. ადვოკატის უნიათობის გამო კი ამ თანხასაც კარგავს და მეორე მოთხოვნის განხილვის გაჭიანურებითაც ზარალდება.

### სიტუაცია № 9

ამ შემთხვევაში თუ მოქალაქე ა-ს ადვოკატი ჯერ არ აუყვანია, განცხადებით თვითონ მიმართავს სასამართლოს „მტკიცებულების უზრუნველყოფის“ მოთხოვნით.

თუ ადვოკატმა გააფორმა ხელშეკრულება კლიენტთან შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით (იხილეთ: ნიმუში გვ. 137)

### სიტუაცია № 10

კერძო საჩივრის ნიმუში იხილეთ № 138 გვერდზე (ნიმუში №3)

იგი შეიტანება განჩინების გამომტან მოსამართლის სახელზე, მაგრამ იხილავს ზემდგომი სასამართლო.

# ბანყოფილება მესამე

## ნიმუშები

\*\*\*

### ნიმუში №1

მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოქალაქე ვერა უზნაძის რწმუნებულის- ადვოკატ რევაზ მაისურაძის, მის. ქ. მცხეთა ვეკუას ქ. №6

### ბანცხალება

(იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ)

მოგახსენებთ, რომ მცხეთის რაიონის გამგეობის 1993 წლის 24 მაისის №45 დადგენილების საფუძველზე და მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №32 აქტის საფუძველზე ჩემს მარწმუნებელს ვერა უზნაძეს გამოეყო და მის მფლობელობაში გადავიდა 0,10 ჰა მიწის ნაკვეთი მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2009 წლის 12 ნოემბერს ვ. უზნაძემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ზემოთ ხსენებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის მოთხოვნით, რაზეც მიიღო უარი იმ ფაქტობრივი გარემოების გამო, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთის №32 მიღება-ჩაბარების აქტი გაცემულია ვერა ჩიტაძის სახელზე.

ჩიტაძე გახლავთ ჩემი მარწმუნებლის ქორწინებამდელი გვარი, რაც დასტურდება დაბადების მოწმობით, ხოლო ვერა ჩიტაძე და ვერა უზნაძე რომ ერთი და იგივე პიროვნებაა, დამატებით დადასტურდება ჩვენს მიერ წაროდგენილ მოწმეთა ჩვენებებითა და წინამდებარე განცხადებას თანდართულ სხვა დოკუმენტებით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული და თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის 'დ' პუქტისა - იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის სახით დაადგინოთ, რომ ვერა ვასილის ასულ ჩიტაძის სახელზე გაცემული №32-ე მი-

წის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი ეკუთვნის ვერა ვასილის ასულ უნზძეს.

დანართი:

1. მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №32
2. პირადობის მოწმობა №567658
3. დაბადების მოწმობა №79756
4. ქორწინების მოწმობა №45678
5. მიწის ნაკვეთის ნახაზი
6. რეგისტრაციაზე უარი საჯარო რეესტრიდან
7. სახ, ბაჟის ქვითარი

განმცხადებელი -

ადვოკატ-რწმუნებული: რ.მაისურაძე

## ნიმუში №2

გორის რაიონულ სასამართლოს.

მოქალაქე ანა მარანელის ადვოკატ-

წარმომადგენლის მალხაზ ნინუას

მისამართი: ქ. გორი, გორიჯერის ქ. №2

### შუამდგომლობა

(მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ)

მოგახსენებთ, რომ ჩემი მარწმუნებელი მოქალაქე ა. მარანელი აპირებს სამოქალაქო სარჩელის შემოტანას გორის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე გ. ბიწაძის წინააღმდეგ, - „ხელისშეშლის აღკვეთის“ მოთხოვნით.

აღნიშნულ საქმეზე მოწმედ დასახელებული გვყავს ქალბატონი ნანა მურადაშვილი, რომელიც ფლობს მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას, მაგრამ მისი მოწმედ დაკითხვა სარჩელის წარდგენის შემდეგ ვერ მოხერხდება, ვინაიდან იგი ოთხი დღის შემდეგ მიემგზავრება იტალიაში სამუშაოდ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული და თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლისა, მტკიცებულების უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენს მხრიდან სასამართლოში საქმის აღძვრამდე, დაუყოვნებლივ დაკითხვით მოწმედ ქალბატონი ნანა მურა-

დაშვილი, რომლის მისამართია: გორის რაიონი სოფელი ატენი.

დანართი: მინდობილობა

შუამდგომლობით -  
ადვოკატი:

### ნიმუში № 3

გორის რაიონული სასამართლოს  
მოსამართლეს, ბატონ გიორგი სამუშიას  
მოსარჩელე გულო კიკნაძის დამცველის  
ადვოკატ ბესიკ კასრაძის  
მისამართი: ქ.გორი, ჯორბენაძის ქ. №24  
ტელეფონი: 899. 31. 04. 07.

#### კერძო საჩივარი

(გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის  
№2175 განჩინების გაუქმების შესახებ)

მოგახსენებთ, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ 2009 წლის 4 დეკემბერს გამოიტანა განჩინება, რომლითაც განუხილველად დატოვა გულო კიკნაძის სამოქალაქო სარჩელი.

აღნიშნული განჩინება უკანონოა და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგი გარემოებებისა გამო:

1. მოსამართლე მიუთითებს, რომ მხარეები არ გამოცხადდნენ პროცესზე, რაც გახდა საფუძველი სსსკ-ს 275-ე მუხლის „დ“ პუნქტით სარჩელის განუხილველად დატოვებისა.

აღნიშნული მოტივაცია მაშინ იქნებოდა კანონიერი, თუ სასამართლოში საქმის წარმოების უფლება ექნებოდათ მხოლოდ მხარეებს. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მუხლი 93) კანონიერად ცნობს საქმის წარმოებას წარმომადგენლის მეშვეობითაც.

2. მოსამართლემ არაფრად ჩათვალა ჩემი, როგორც მოსარჩელის ადვოკატის გამოცხადება პროცესზე.

ადვოკატისადმი ასეთი დამოკიდებულება გარდა იმისა, რომ მორალურად შეურაცხყოფელია, არის სერიოზული კანონდარღვევა მოსამართლის მხრიდან, ვინაიდან, - სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი განსაზღვრავს პირაბს, რომ-

ლებიც შეიძლება იყენენ წარმომადგენლებად სასამართლოში და მათ ჩამონათვალში პირველ რიგში დასახელებულნი არიან ადვოკატები.

3. მოსამართლემ წარმომადგენლის უფლებამოსილების დასადასტურებლად მომთხოვა ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნებზე.

ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს კანონდარღვევას, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მე-3 ნაწილით „ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება „ადვოკატის შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი წესით“ ხოლო აღნიშნული კანონის მე-19 მუხლით - ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე, ... მინდობილობით ან ორდერით.

ჩემს მიერ წარდგენილ იქნა ორდერი №32 რომელიც ადასტურებდა, რომ სასამართლოში ვიცავდი მოსარჩელე გულო კიკნაძის ინტერესებს. მაშასადამე მქონდა მხარის წარმომადგენლის უფლებამოსილება, რაც სრულიად უსაფუძვლოდ კანონგარეშედ მიიჩნია მოსამართლემ.

4. გასაჩივრებული განჩინების უკანონობა იმაშიც გამოიხატება, რომ ამ პროცესუალური დოკუმენტით მოსამართლემ ხელი შემიშალა ჩემი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში.

კერძოდ: მე დავაყენე შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა (მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო),

რომელიც განხილვის ღირსადაც არ ჩათვალა მოსამართლემ, - ისევ და ისევ იმ მიზეზისა გამო, რომ მე ვიყავი არაუფლებამოსილი პირი და მოსარჩელის გამოცხადების გარეშე არ მქონდა უფლება დამეყენებინა აღნიშნული მოთხოვნა (სსსკ-ის 230 მუხ.)

აღნიშნული განჩინებით მოსამართლემ მოახდინა რა დაცვის უფლების დისკრიმინაცია, დაარღვია: საქართველოს კონსტიტუცია (მუხ. 42\3); საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 80; 93-ე; 94-ე; 96-ე 98-ე; 230-ე მუხლები და საქართველოს კანონი 'ადვოკატთა შესახებ' (მუხლები: 1; 2; 3; 4; 6; 19).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული და თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

განმცხადებელი:

ბ. კასრაძე

12. 12 2009წ

#### ნიმუში № 4

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების  
საქმეთა პალატის მოსამართლეს  
ქალბატონ ლ. ნოდის  
კასატორ ზურაბ იმერლიშვილის  
წარმომადგენლის, ადვოკატ ტანია ტიტენ-  
იძის  
მისამართი: ქ. გორი მენაბდის ქ. №4

#### განცხადება

(ხარვეზის გამოსწორების შესახებ)

თქვენს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე № 980\ 117-08 ჩემი მარწმუნებლის, - ზურაბ იმერლიშვილის საკასაციო საჩივრისა გამო, რის მიმართაც თქვენს მიერ 2008 წლის 7 ნოემბერს გამოტანილ იქნა განჩინება „ხარვეზის შევსების შესახებ“

კერძოდ, ზემოთ ხსენებულ განჩინებით დადგენილია, რომ ზ. იმერლიშვილის საკასაციო საჩივარი ხარვეზიანია – სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

წარმოვიდგინებ ცნობას გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბერბუკის თემიდან (№1798. 09.12.08წ.) რომლითაც დასტურდება, რომ აგვისტოს საომარი მოვლენების შედეგად ჩემი მარწმუნებლის მატერიალურ-სოციალური მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა და მას დღესდღეობით არანაირი საშუალება არა აქვს გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული, გაანთავისუფლოთ ზურაბ იმერლიშვილი სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან; შესაბამისად, თქვენს მიერ დადგენილი ხარვეზი სცნოთ გამოსწორებულად და მიიროთ წარმოებაში ჩვენს მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი.

დანართი: გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბერბუკის თემის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა № 1798 09.12.08წ.

განმცხადებელი -  
ადვოკატ-რწმუნებული: ტ. ტიტვინიძე

19.12.08წ

### ნიმუში №5

#### ხელწერილი

მე, მოსარჩელე ნუნუ მოსიძის ადვოკატ - წარმომადგენელი ნოდარ ბუხრაძე წინამდებარე ხელწერილით ვადასტურებ, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 აგვისტოს №2\54 განჩინების აღსრულების მიზნით მოქალაქე ნადია შინდიაშვილისაგან მივიღე ათას რვაასი (1800) ლარი ჩემს მარწმუნებლისთვის გადასაცემად.

ადვოკატ-წარმომადგენელი ნ. ბუხრაძე

30. 08. 2010 წ

### ნიმუში №6

#### ანგარიში

შ.პ.ს., „სტომატოლოგიურ პოლიკლინიკის“ დირექტორს, ბატონ ბადრი ვანიშვილს.  
ადვოკატ ზაზა საურისაგან მისამართი:  
ქ. თბილისი კლდის ქ№5

გთხოვთ, აანაზღაუროთ ჩემი საადვოკატო ბიუროს მიერ გაწეული შრომა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენს შორის 2009 წლის 13 მაისს გაფორმებულ კონტრაქტიდან და გამოიხატა შემდეგი სახის მომსახურებით:

1.საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, რისთვისაც ვითხოვთ კონტრაქტით გათვალისწინებული 500 ლარის ანაზღაურებას და

2. შპს „სტომატოლოგიური პოლიკლინიკის დოკუმენტების სამართლებრივი მოწესრიგებისთვის ვითხოვთ 300 ლარის გადახდას.

3. მთლიანობაში, ვითხოვთ რუაასი (800) ლარის ჩარიცხვას კონტრაქტში მითითებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე: 360101011402749

ადვოკატი: ზ. საური

2009 წ. 30. 09.

**ნიმუში №7**

### **ც ნ ო ბ ა**

ექლევა ივანე ცომაიას, მასთან დაკავშირებით, რომ იგი 2009 წლის 28 ნოემბრიდან ნამდვილად გადის სტაჟირებას იოსებ დევიძის საადვოკატო ბიუროში, როგორც სტაჟიორ-ადვოკატი.

ცნობა გაიცა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში წარსადგენად.

ადვოკატი: ი. დევიძე

02. 12. 2009 წ.

**ნიმუში №8**

### **ნ ა რ ი ლ ი - შ ა კ ი თ ხ ვ ა**

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ადვოკატი ვასილ მოსიძე  
სიითი № 000000

მისამართი: ქ. თბილისი გორის ქ, №8

№ —

10.03.2009წ

შინდისის თემის რწმუნებულს  
ბატონ. ვ. სოსიაშვილს

სასამართლოში საქმის წარმოების მიზნით გთხოვთ გეგ-  
ნობით:

სოფელ შინდისში მცხოვრები ანა ნემსაძე და ანიკა ლომიძე არის

თუ არა ერთი და იგივე პიროვნება.

ადუოკატი: ვასილ მოსიძე

**ნიმუში №9**

**ნარილი-თხოვნა**

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადუოკატთა ასოციაციის

ადუოკატი უშანგი იაშვილი

სიითი № 0000000

მისამართი: ქ. გორი სტალინის ქ. №9

№ \_\_\_\_\_

02.09.09

დმანისის №5 საჯარო სკოლის  
დირექტორს ქ-ნ მ. ფურაძეს

დმანისის რაიონულ სასამართლოში იხილება ვ. მინდ-  
აძის სარჩელი თქვენს წინააღმდეგ, „სამუშაოზე აღდგენის შესახ-  
ებ“

აღნიშნულ საქმიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვაწოდოთ  
დმანისის №5 საჯარო სკოლის პედაგოგთა სია და სახელფასო  
უწყისი 2009 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

დანართი: ორდერი №2134

ადუოკატი: უ.იაშვილი

**ნიმუში № 10**

**რეკლამაცია-პრეტენზია**

ს.ს.ი.პ საქართველოს ადუოკატთა ასოციაცია

ადუოკატი ია იაძე

სიითი № 000000

მისამართი : ქ. მცხეთა ცაბაძის ქ. №4

№ \_\_\_\_\_

18. 07. 09

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

## საპრეტენზიო წერილი

2009 წლის 28 მაისს სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა ჩემი მარწმუნებელი ცერაძე ვაჟა, რომელიც 2004 წლიდან მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს №2 ბრიგადაში ოფიცრად.

ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვაჟა ცერაძეს განთავისუფლებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა ანაზღაურებოდა ხელფასი.

მიუხედავად ამისა, ჩემს მარწმუნებელს დღემდე არ აუღია ხუთი თვის ხელფასი 2009 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით.

გთხოვთ, დროულად გამოასწოროთ აღნიშნული ხარვეზი და მისცეთ კუთვნილი ხელფასი ვაჟა ცერაძეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ შეტანილი იქნება სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დანართი: 4 ფურცლად.

ადვოკატ-რწმუნებული: ი. იაძე

ნიმუში №11

ხელშეკრულება  
საადვოკატო მომსახურებისა  
№

ერთის მხრივ, აქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი ბეჟა კობიძე, სიითი ნომრით, - 0980 (შემდგომში ადვოკატი);

მეორეს მხრივ, - მოქალაქე \_\_\_\_\_

(შემდგომში კლიენტი), მცხოვრები: \_\_\_\_\_

ვლებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდგომ:

1. საქმის ვითარებიდან და კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია:

დაიცვას \_\_\_\_\_

სად \_\_\_\_\_

რა საქმეზე \_\_\_\_\_

შესაბამისად, მომსახურების პერიოდში დაცვის ქვეშ მყოფს გაუწიოს იურიდიული კონსულტაციები, საქმის საჭიროებიდან

გამომდინარე გამოითხოვოს სათანადო დოკუმენტები, მოამზადოს წერილები, შუამდგომლობები, საჩივრები, და ერთგულად აღასრულოს კლიენტის კანონიერი მოთხოვნები, ინტერესები და უფლებები.

2. კლიენტი ვალდებულია, საადვოკატო მომსახურებისთვის ადვოკატს გადაუხადოს:

მყარი ჰონორარი \_\_\_\_\_

სამგზავრო, ტექნიკური და სხვა ხარჯები \_\_\_\_\_

მთლიანობაში \_\_\_\_\_

3. საადვოკატო მომსახურების ხარჯების გადახდა მოხდება ბანკის მეშვეობით შემდეგ სპეც ანგარიშზე: 360101011402749

4. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 7 დღის ვადაში საადვოკატო ხარჯების გადაუხდელობისა და სათანადო ქვითრის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ავტომატურად უქმდება ორდერი და ადვოკატი თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისაგან.

5. ხელშემკვერელი მხარეები დამატებით შევთანხმდით შემდეგზე:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

მხარეთა ხელმოწერები:

\_\_\_\_\_

## ნიმუში №12

ო ქ მ ი № \_\_\_\_\_

სხდომა

(ორგანიზაციის დასახელება)

ესწრებოდნენ: 1. \_\_\_\_\_

2. \_\_\_\_\_

3. \_\_\_\_\_

4. \_\_\_\_\_

თავმჯდომარე: \_\_\_\_\_

მდივანი: \_\_\_\_\_

დღის წესრიგი:

1. \_\_\_\_\_

2. \_\_\_\_\_

3. \_\_\_\_\_

მოისმინეს:

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_

დაადგინეს:

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_

თავმჯდომარე: \_\_\_\_\_

მდივანი: \_\_\_\_\_

ნიმუში № 13

### მორიგების აქტი

ქ. გორი

12. 03. 09.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი:

- ერთის მხრივ, - მოსარჩელე № 2\89-09 სამოქალაქო საქმეზე,  
- ამირან ასტამაზე (შემდგომში მოსარჩელე) და  
მეორეს მხრივ, - მოპასუხე ვლადიმერ დევიძე (შემდგომში მოპასუხე) შევთანხმდით შემდეგზე:

1. მოპასუხე თანახმაა მოსარჩელეს უყიდოს ერთ ოთახიანი იზოლირებული და საცხოვრებლად ვარგისი ბინა ქ. გორში;

2. მოსარჩელე თანახმაა შეწყვიტოს მოპასუხესთან ყველანაირი სამოქალაქო დაუა და უარი თქვას №2\89-09 სარჩელეში წარმოდგენილ მოთხოვნებზე;

3. მოპასუხემ წინამდებარე მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს 2009 წლის 12 მაისამდე;

4. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, კომპენსაციის სახით დაეკისროს - ათი ათასი ლარის გადახდა იძულებითი წესით.

მორიგების აქტს ვეთანხმებით და ხელს ვაწერთ:

მოსარჩელე: \_\_\_\_\_

მოსარჩელის წარმომადგენელი-ადვოკატი: \_\_\_\_\_

მოპასუხე: \_\_\_\_\_

მოპასუხის წარმომადგენელი-ადვოკატი: \_\_\_\_\_

## ბანცხადება გადახდის ბრძანებაზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას

განმცხადებელი: შპს „ა“

ადგილსამყოფეთ თბილისი, \_\_\_\_\_

წარმომადგენელი: როინ მიგრიაული

მოვალე: შპს „ბ“

მის: ქ. თბილისი, \_\_\_\_\_

2010წ. \_\_\_\_\_

### ბანცხადება

(გადახდის ბრძანების მიღების შესახებ)

შესაბამისი მინდობილობის საფძველზე წარმოვადგენ შპს „ა“-ს ქონებრივ ინტერესებს. (იხ. დანართი №1).

#### I. ფაქტობივი გარემოებები

შპს „ა“ აწარმოებს წყალსადენისა და კანალიზაციისათვის საჭირო ლითონისა და ბეტონის პროდუქციას.

2007-2009 წლებში შპს „ბ“ გაფორმებული ზეპირი შეთანხმების თანახმად შპს „ა“-მ მიაწოდა მას შემდეგი სახის პროდუქცია: წყალსადენისა და კანალიზაციის ჩარჩო-ხუფები, წყალსადენისა და კანალიზაციის ცხაურები, გვერდმომღები კომპლექტში, სახანძრო ბოჭოს - ჩარჩო ხუფები და სხვ.

შპს „ბ“ გადაიხადა შეძენილი პროდუქციის მხოლოდ ღირებულების ნაწილი, ხოლო გადასახდელმა თანხამ შეადგინა 70 000 (სამოცდაათი ათას) ლარი. აღნიშნული დავალიანება აღიარებულია თავად მოვალის მიერ. კერძოდ, 2009 წლის 01 ნოემბერს შპს „ა“-სა და შპს „ბ“-ს შორის გაფორმდა შედარების აქტი, რომლის თანახმადაც მოხდა ზემოაღნიშნული ვალის აღირება.

#### მტკიცებულება

1. შედარების აქტი (დანართი №2).

ჩემმა მარწმუნებელმა ზეპირი და სატელეფონო შეტყობინებებით არაერთგზის მოსთხოვა შპს „ა“-მ აღნიშნული ვალის დაბრუნება.

2009წ. 02 ოქტომბერს ჩემმა მარწმუნებელმა მოვალეს ახლა უკვე წერილობით მიმართა და მოითხოვა მისგან დარჩენილი დავალიანების გადახდა, რისთვისაც მისცა 20 დღის ვადა. შპს „ბ“-მ ჩემს მარწმუნებელს აცნობა, რომ იმ დროისათვის ორგანიზაციაში შექმნილი იყო მძიმე ფინანსური სიტუაცია, რის გამოც მოითხოვა დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელება 2009 წლის 15 დეკემბრამდე. ამასთან, განაცხდა, რომ ამ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მას არანაირი პრეტენზია არ ექნებოდა.

### *მტკიცებულება:*

1. 2009წ. 02 ოქტომბრის წერილი (იხ. დანართი №3);
2. შპს „ბ“-ს წერილი“ (იხ. დანართი №4).

2.

მიუხედავად წერილობითი მოთხოვნისა, მოვალის მიერ დავალიანების დაფარვა არც 2009 წლის 15 დეკემბრამდე მომხდარა. ამიტომ, 2010 წლის 28 აპრილს შპს „ბ“-ს როგორც შპს „ა“-ს წარმომადგენელმა წერილობით ხელმეორედ მივმართე მოვალეს და მოვითხოვე ვადის დაბრუნება, ხოლო დაბრუნების ვადად განსაზღვრული იქნა ახალი ვადა – 2010წ. 05 მაისი. აღნიშნული წერილით მოვალე ასევე გაფრთხილებული იქნა, რომ დანიშნულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მიემართავდით სასამართლოს და მოვითხოვდით აგრეთვე მიყენებული ზიანისა და საპროცესო ხარჯების (სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების) ანაზღაურებას. აღნიშნული წერილი შპს „ბ“-ს ჩაბარდა 2010 წლის 29 აპრილს.

### *მტკიცებულებები:*

- 1) 2010წ. 28 აპრილის წერილი (დანართი №5)
- 2) საფოსტო შეტყობინება (დანართი №6)

თუმცა, მიუხედავად აღნიშნული გაფრთხილებისა, დანიშნულ ვადაში მოვალის მიერ ასევე არ ყოფილა დავალიანება გადახდილი, რამაც ჩემი მარწმუნებელი აიძულა, მიემართა სასამართლოსათვის და მოეთხოვა დავალიანების დაბრუნება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, ფაქტია,

რომ შპს „ბ“-ს წინააღმდეგია ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

## II. სამართლებრივი შეფასება

სამოქალაქო კოდექსის 69.1 მუხლის საფუძველზე, გარიგება მხარეთა შორის შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით.

სამოქალაქო კოდექსის 361.2 მუხლის საფუძველზე პირის მიერ ნაკისრი ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა განიხილება როგორც ვალდებულების დარღვევა.

ფაქტობრივ გარემოებებიდან გამომდინარე, სახეზეა, რომ მოვალე აღიარებს შპს „ა“-ს მიმართ არსებულ დავალიანებას 70 482,62 (სამოცდაათი ათას ოთხას ოთხმოცდაორი) ლარის ოდენობით, რაც დასტურდება შესაბამის შედარების აქტზე მოვალის ხელმოწერით.

ფაქტობრივი გარემოებებიდან ასევე ირკვევა, მოვალის მიერ მხარეთა შორის წერილობითი გარიგებით (შედარების აქტით) ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, კერძოდ, დავალიანების დათქმულ დროზე გადაუხდელობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად თუ ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული დამატებითი ვადა უშედეგოდ გავიდა.

ვადის გადაცილების გამო ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორს შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს ზიანის ანაზღაურება სსკ 394-ე მუხლისა და 404-ე მუხლების საფუძველზე. სსკ-ის 412-ე მუხლით ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

როგორც აღვნიშნეთ, კრედიტორმა წერილობითი შეტყობინებისას შპს „ბ“-ს აცნობა მის მიერ ვალდებულების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობით მოსალოდნელი ზიანის წარმოშობის შესახებ, თუმცა შპს „ბ“-ს ვალი დღემდე არ დაუბრუნებია, რითაც დაარღვია ნაკისრი ვალდებულება. შესაბამისად, სახეზეა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების

ვადის გადაცილება, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ბ“ პუნქტი.

სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის თანახმად მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას, ხოლო 404-ე მუხლით კი კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

როგორც აღვნიშნეთ, მოსარჩელემ წერილობითი შეტყობინებისას შპს „ბ“-ს აცნობა მის მიერ ვალდებულების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობით მოსალოდნელი ზიანის წარმოშობის შესახებ. აქედან გამომდინარე, განცხადების შემოტანის მომენტიდან მოვალისათვის ცნობილია აღნიშნული გარემოება.

### III. დასაშვებობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლის საფუძველზე გამარტივებული წესით შეიძლება განხილული იქნეს მოსარჩელის მოთხოვნები გარკვეული ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ.

სსსკ 303-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე განცხადებით აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული ჩემი მარწმუნებლის მხრიდან რაიმე საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე. აღნიშნული დასტურდება კრედიტორსა და მოვალეს შორის შედგენილი შედარების აქტით, ასევე მოვალის წერილით, რომლითაც მოვალე აღიარებს ვალის არსებობას და არ უთითებს კრედიტორის მხრიდან საპასუხო მოქმედების შესრულებაზე. აღნიშნული მტკიცებულებებიდან აშკარაა, რომ მოვალე აღიარებს ვალის არსებობას და არ გააჩნია საპასუხო პრეტენზია კრედიტორთან.

### მოთხოვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-309 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ:

1. მიიღოთ „გადახდის ბრძანება“;

2. შპს „ბ“-ს შპს „ა“-ს სასარგებლოდ დააკისროთ ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

3. შპს „ბ“-ს შპს „ა“-ს სასარგებლოდ დააკისროთ აგრეთვე სსსკ 37-ე მუხლის თანახმად პროცესის ხარჯების (მათ შორის ადვოკატის ჰონორარის — ლარის) ანაზღაურება.

დანართები:

1. მინდობილობა - დანართი №1;
2. შედარების აქტი - დანართი №2;
3. 2009წ. 02 ოქტომბრის წერილი - დანართი №3;
4. შპს „ბ“-ს წერილი - დანართი №4;
5. 2010წ. 28 აპრილის წერილი - დანართი №5;
6. საფოსტო შეტყობინება - დანართი №6;
7. ადვოკატის ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება) - დანართი №7.

როინ მიგრიაული

შპს „ა-ს“ წარმომადგენელი  
ადვოკატი

ნიმუში №15

საპრატივნიო ნარილი

\_\_\_\_\_ დირექტორს

ბატონ \_\_\_\_\_

ქ. თბილისი, \_\_\_\_\_

2010წ. \_\_\_\_\_

№

ბატონო \_\_\_\_\_,

მოგახსენებთ, რომ შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე წარმოვადგენ შპს „ა“-ს ქონებრივ ინტერესებს (იხ. დანართი №1).

ჩემი მარწმუნებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, თქვენდამი რწმუნებულ საზოგადოებასა და შპს „ა“-ს შორის გაფორმდა შედარების აქტი, რომლის თანახმადაც შპს „ბ“ ფულადი ვალდებულება შპს „ა“-ს მიმართ შეადგენდა 70 482,67 (სამოცდაათი ათას ოთხას ოთხმოცდაორ) ლარს.

2009წ. 02 ოქტომბერს შპს „ა“-ს დირექტორმა \_\_\_\_\_  
წერილობით მოითხოვა თქვენგან დავალიანების გადახდა და  
ამისათვის მოგცათ დამატებითი ვადა წერილის მიღებიდან 20  
დღის ვადაში.

ზემოაღნიშნულ წერილთან დაკავშირებით თქვენ შპს  
„ა“-ს აცნობეთ, რომ იმ დროისათვის თქვენს ორგანიზაციაში  
შექმნილი იყო მძიმე ფინანსური სიტუაცია, რის გამოც ითხ-  
ოვეთ დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელება 2009 წლის  
15 დეკემბრამდე. ამ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხ-  
ვევაში აცხადებდით, რომ არანაირი პრეტენზია არ გექნებო-  
დათ. მიუხედავად ამისა, თქვენს მიერ დავალიანების დაფარვა  
მანც არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, შპს „ა“-ს  
მიმართ არსებული დავალიანება 70 482.67 ლარის ოდენო-  
ბით დაფაროთ

2010 წლის \_\_\_\_\_

აღნიშნულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევა-  
ში, ჩემი მარწმუნებელი იძულებული გახდება, სარჩელით მიმა-  
რთოს სასამართლოს და მოითხოვოს არა მხოლოდ მისი კუთვ-  
ნილი ვალის დაბრუნება არამედ აგრეთვე ვალის დაუბრუნებ-  
ლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მათ შორის გაწეუ-  
ლი საადვოკატო მომსახურებისა და სასამართლო ხარჯები.

დანართი: მინდობილობა

პატივისცემით  
როინ მიგრიაული  
შპს „ა“-ს წარმომადგენელი,  
დვოკატი

ნიმუში №16

აგზარიში

ბატონ

შპს „\_\_\_\_\_“  
მის: \_\_\_\_\_

2010წ. 25 თებერვალი  
№—

ბატონო \_\_\_\_\_,

ჩვენს შორის 2010წ. 5 იანვარს გაფორმებული საპროტოკოლორო შეთანხმების მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგინთ ანგარიშს თანხაზე — (\_\_\_\_\_) ლარი, რაც შეადგენს ჩვენი მომსახურების მეორე ნაწილს.

გარდა აღნიშნული თანხისა, აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად თარგანისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.

გთხოვთ, აღნიშნული თანხა გადმორიცხოთ ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე:

\_\_\_\_\_ “\_\_\_\_\_”

სს “\_\_\_\_\_ ბანკი” ცენტრალური ფილიალი  
ბანკის კოდი \_\_\_\_\_,  
ანგარიშის № \_\_\_\_\_  
(საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_)

წინასწარ გიხდით მადლობას.  
პატივისცემით

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

ნიმუში №17

2011წ. — \_\_\_\_\_

№106

### ც ნ ო ბ ა

ექლევა \_\_\_\_\_ (პირადი ნომერი № \_\_\_\_\_)  
მასზედ, რომ იგი მუშაობს \_\_\_\_\_.  
ცნობა ექლევა \_\_\_\_\_ წარსადგენად.

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_,  
\_\_\_\_\_

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
5. თ. ლილუაშვილი; ვ. ხრუსტალი: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები“ - თბილისი 2004წ
6. ბ. ხარაზიშვილი - მტკიცებითი სამართალი - თბილისი 1982წ
7. ა.კუჩერინა - ადვოკატურა - მოსკოვი 2004წ
8. თ. მრევლშვილი - საქმიანი ქაღალდების შედგენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1991 წ
9. ქეოჩიტაშვილი - აკადემიური წერა. თბილისი 2009წ
10. Адвокатская деятельность - под ред. В.Н. Бупобина, Москва - 2003.

# შინაარსი

შესავალი.....	5
---------------	---

## ნაწილი პირველი

თავი პირველი: მოქალაქეთა მიღება-კონსულტაციები.....	7
§1. კონსულტაციის არსი.....	7
§2. სიტუაციის ანალიზი და შეფასება.....	8
§3. ინტერესთა შეუთავსებლობა.....	9
§4. ფსიქოლოგიური მდგომარეობა.....	9
§5. ნდობის ამადლება.....	10
§6. კონსულტირების ზოგადი გეგმა.....	11
§7. მთავარი გარემოებების გარკვევა.....	11
§8. მზადება კლიენტთან შესახვედრად.....	12
§9. წერილობითი კონსულტაციები.....	13
§10. კონსულტირების მთავარი ფორმულა.....	14
§11. ინტერვიუს მეთოდი.....	14
§12. სწორი პოზიცია.....	16
§13. მოთხოვნის კანონიერების განსაზღვრა.....	16
§14. კონსულტაციის თვითშეფასება.....	18

თავი მეორე: საქმის მასალების შესწავლა.....	19
§1. ზეპირი ინფორმაცია.....	19
§2. დოკუმენტების შესწავლა.....	19
§3. შედარებითი მეთოდი.....	20
§4. ფორმალური მეთოდი.....	21
§5. ლოგიკური მეთოდი.....	22
§6. ანალიზის მეთოდი.....	22

თავი მესამე: ადვოკატის სამართლებრივი პოზიცია.....	23
§1. პოზიციის შემუშავების ეტაპები.....	23
§2. მოქმედებები საკანონმდებლო ხარვეზის დროს.....	25

თავი მეოთხე: მტკიცებები და მტკიცებულებები.....	26
§1. მტკიცების არსი და საგანი.....	26
§2. ფაქტები და გარემოებები.....	27
§3. მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება.....	29

თავი მეხუთე: დოკუმენტების მომზადება.....	30
§1. დოკუმენტების დაჯგუფება.....	30
§2. განცხადება.....	32
§3. მიმართვა.....	33
§4. სასარჩელო განცხადება.....	33
§5. შუამდგომლობა.....	39
§6. შესაგებელი.....	40
§7. შეგებებული სარჩელი.....	41
§8. საჩივარი.....	42
§9. სააპელაციო საჩივარი.....	43
§10. კერძო საჩივარი.....	45
§11. ახსნა-განმარტებითი ბარათი.....	45
§12. ხელწერილი.....	45
§13. დახასიათება-რეკომენდაცია.....	45
§14. ოქმი.....	46
§15. ანგარიში.....	46
§16. ცნობა.....	47
§17. წერილი-შეკითხვა.....	47
§18. წერილი-თხოვნა.....	48
§19. რეკლამაცია(პრეტენზია).....	48
§20. ხელშეკრულება.....	48
§21. აქტი.....	49
თავი მეექვსე: ადვოკატი სასამართლოში.....	50
§1. მოსამზადებელი პერიოდი.....	50
§1.1. შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ.....	50
§1.2. შეცდომების გასწორება.....	51
§1.3. ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნა.....	52
§1.4. კლიენტის პროცესისთვის მომზადება.....	52
§1.5. შუამდგომლობის დაყენება.....	52
§1.6. მტკიცებულების წარდგენის დაყოვნება.....	52
§1.7. მტკიცებულების მიკუთვნება კონკრეტულ დავასთან.....	53
§1.8. მტკიცებულებათა გამოვლენა.....	53
§1.9. მტკიცებულებათა ბაზის გამყარება.....	54
§1.10. დავის დეესკალაცია.....	54
§2. მთავარი სხდომა.....	56
§2.1. მოსამართლის დარწმუნება.....	56

§2.2. მტკიცებულებათა მიმართ კომენტარის გაკეთება.....	57
§2.3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოთხოვნა.....	57
§2.4. მხარეების და მოწმეების დაკითხვა.....	57
§2.5. დაცვის აქტიური საშუალებები.....	57
§2.6. პასიური დაცვა.....	58
§2.7. შერეული დაცვა.....	58
§2.8. სხდომის ოქმი.....	58
§2.9.1 დასკვნითი (საპაექრო) სიტყვა.....	58
§2.9.2. დასკვნითი სიტყვის ანალიზი.....	59
§3. გასაჩივრება.....	61
თავი მეშვიდე: საადვოკატო ეთიკა.....	63
§1. საადვოკატო ეთიკის არსი.....	63
§2. საპრონონარო პოლიტიკა.....	64
§3. ინტერესთა კონფლიქტი.....	64
§4. კოლეგიალური ეთიკა.....	65
თავი მერვე: ადვოკატის საქმიანობის ორგანიზაცია.....	65
§1. ადვოკატის სამუშაოს დაგეგმარება.....	66
§2. ლიტერატურა, პრაქტიკა, თვითშეფასება.....	67
§3. მართლმადიდებელი ადვოკატის საქმიანობის დაგეგმარება.....	68

### ნაწილი მეორე

განყოფილება პირველი: კაზუსები და სიტუაციები.....	69
კაზუსი №1.....	69
კაზუსი №2.....	70
კაზუსი №3.....	71
კაზუსი №4.....	73
კაზუსი №5.....	73
კაზუსი №6.....	74
კაზუსი №7.....	74
კაზუსი №8.....	75
კაზუსი №9.....	76
კაზუსი №10.....	78
კაზუსი №11.....	79
კაზუსი №12.....	80
კაზუსი №13.....	81

კაზუსი №14.....	82
კაზუსი №15.....	83
კაზუსი №16.....	83
კაზუსი №17.....	84
კაზუსი №18.....	86
კაზუსი №19.....	87
კაზუსი №20.....	88

სიტუაცია №1.....	90
სიტუაცია №2.....	90
სიტუაცია №3.....	90
სიტუაცია №4.....	91
სიტუაცია №5.....	91
სიტუაცია №6.....	92
სიტუაცია №7.....	92
სიტუაცია №8.....	93
სიტუაცია №9.....	93
სიტუაცია №10.....	93

განყოფილება მეორე: კაზუსებისა და სიტუაციების ანალიზი.....	94
კაზუსი №1.....	94
კაზუსი №2.....	96
კაზუსი №3.....	97
კაზუსი №4.....	100
კაზუსი №5.....	101
კაზუსი №6.....	103
კაზუსი №7.....	104
კაზუსი №8.....	107
კაზუსი №9.....	108
კაზუსი №10.....	110
კაზუსი №11.....	112
კაზუსი №12.....	114
კაზუსი №13.....	115
კაზუსი №14.....	116
კაზუსი №15.....	117
კაზუსი №16.....	118
კაზუსი №17.....	118
კაზუსი №18.....	121

კაზუსი №19.....	126
კაზუსი №20.....	127
სიტუაცია №1.....	133
სიტუაცია №2.....	133
სიტუაცია №3.....	134
სიტუაცია №4.....	134
სიტუაცია №5.....	135
სიტუაცია №6.....	135
სიტუაცია №7.....	136
სიტუაცია №8.....	136
სიტუაცია №9.....	137
სიტუაცია №10.....	137
განყოფილება მესამე: ნიმუშები.....	138
№1 განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ.....	138
№2 შუამდგომლობა მტკიცებულების უზრუნველყოფის სესახებ.....	139
№3 კერძო საჩივარი.....	140
№4 განცხადება ხარვეზის გამოსწორების შესახებ.....	142
№5 ხელწერილი.....	143
№6 ანგარიში.....	143
№7 ცნობა.....	144
№8 წერილი-შეკითხვა.....	144
№9 წერილი-თხოვნა.....	145
№10 რეკლამაცია-პრეტენზია.....	145
№11 ხელშეკრულება.....	146
№12 ოქმი.....	147
№13 აქტი მორიგების შესახებ.....	148
№14 განცხადება გადახდის ბრძანებაზე.....	149
№15 საპრეტენზიო წერილი.....	153
№16 ანგარიში.....	154
№17 ცნობა.....	155
გამოყენებული ლიტერატურა.....	156

## პატივცემულო მკითხველო!

იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ დაარსების დღიდან სისტემატურად გამოსცემს ახალ წიგნებს სამართლის სხვადასხვა დარგში. ჩვენი ძალისხმევით არაერთმა საინტერესო გამოკვლევამ იხილა შვის სინათლე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბონა კაუზა“ იქცა იურისტის ბიბლიოთეკის გამდიდრების საუკეთესო საშუალებად.

ქართული სამართლებრივი აზროვნების შემდგომი განვითარებისა და ნიჭიერ მეცნიერთა წახალისების მიზნით „ბონა კაუზა“ სამართლის მკვლევარებს გთავაზობთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.


● „ბონა კაუზა“ უზრუნველყოფს იურისპრუდენციაში თქვენი სამეცნიერო ნაშრომების გამოცემას.

● წიგნები დაიბეჭდება ფირმის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორებს გადაეცემათ ჰონორარი.

მზად ვართ, განვიხილოთ აგრეთვე თქვენი წინადადებები თანამშრომლობის სხვა ფორმატთან დაკავშირებით.

● „ბონა კაუზა“ გთავაზობთ წიგნების ოპერატიულ გამოცემას მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შეღავათიანი, ხელმისაწვდომი პირობებით.

დანიტერესებულმა პირებმა გთხოვეთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. N12.

 990 071 მობილური 8(99) 78 61 77

ელ. ფოსტა: [bonacausa@yahoo.com](mailto:bonacausa@yahoo.com)

ვებ-გვერდი: [www.bonacausa.ge](http://www.bonacausa.ge)

ქალაქი ოფსეტური, ბეჭდვა რიზოგრაფზე  
ქალაქის ზომა 70X84 1\32  
ფასი სახელშეკრულებო

